# The New ECONOMIST

DOI suffix: 10.36962/NEC19012024

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL, PRECISE AND REVIEWED

N1, 2024, VOL 19, ISSUE 1

Economy is the basis of everything!



ISSN 2667-9752 (ONLINE)
ISSN 1512-4649 (PRINT)

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ეკონომიკა ყველაფრის საფუძველია!

# ახალი ეკონომისტი

**The Magazine “The New Economist”**
**HAS BEEN REVIEWED:**

In “Georgian Reviewed Magazine” –
P.L.L.E. Institute of Techinform.
Identifiable in the **Google Scholar**
and **Research Gate** bases.

**ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:**

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;

- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, (Business School ESM);
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;

- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;

- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Nursultan).

**ADDRESS: 5 A. Jorjadze str.,**
**0105, Tbilisi, Georgia.**
**Tel.: +995 (32) 2 990 576;**
**Mob.: +995 55 277 554; +995 (58) 944 800.**

**ჟურნალი “ახალი ეკონომისტი”**
**რეფერირებულია:**

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ
გამოცემებში „ქართულ რეფერატულ ჟურნალში“.
იდენტიფიცირებადია gugl sqolarsa და
riserC geitsis ბაზებში.

referirebulad aRiarebulia:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, (ბიზნესის სკოლა ESM);
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ნურსულტანი).

misamarTi: saqarTvelo,
0105, Tbilisi, a. jorjaZis q. #5
tel.: +995 (32) 2 990 576;
mob.: +995 (55) 277 554; +995 (58) 944 800.

**E-mail: editor@neweconomist.com.ge; loidk@yahoo.com**
**web-site: www.neweconomist.com.ge; www.loi.com. ge**

# The New ECONOMIST

**INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL,**

**PRECISE AND REVIEWED N1(72), 2024, VOL.19, ISSUE 1.**



**LOID KARCHAVA** - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration,
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

**EDITORIAL BOARD**

Doctors of science, Professors:

GIORGI ABASHISHVILI; RAMAZ ABESADZE; NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences); EVGENI BARATASHVILI; GIVI BEDIANASHVILI; ROSTOM BERIDZE; RAMAZ GERLIANI; REVAZ GVELESIANI; VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Belarusia State University); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Rector of Kutaisi University); NATIA TURNAVA (Acting President of the National Bank of Georgia); NAMIG YSAZADE; MERAB KAKULIA; REVAZ KVATASHIDZE; GIA KVASHILAVA (Prezident of the Academy of Phasis); MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part); VASIL KIKUTADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (Academician of Georgian Academy of Agriculture); The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; EKATERINE LOMIA; LASHA MGELADZE; ELGUJA MEQVABISHVILI; DAVID NARMANIA (Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission (GNERC), Chairman); SOLOMON PAVLIASHVILI (Academician of Georgian National Academy of Science; Deputy Minister of Environmental Protection and Agriculture of Georgia); AVTANDIL SILAGADZE (Academician of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA; GELA SVIRAVA; LASHA TABATADZE (Risponsible Secretary); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI; NIKO CHIKHLADZE; ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; VASIL KHIZANISHVILI; DAVID JALAGONIA (Chancellor of Sukhumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); DIMITRI JAPARIDZE (Ilia State University, Dean of the Faculty Business, Technology and Education); MICHAEL JIBUTI (Academician of Georgian National Academy of Science, Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი

# ახალი ეკონომისტი

**საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №1 (72), 2024, ტ. 19, გამოც.1**

**ლოიდ ქარჩავა** - mTavari redaqtori da saredaqcio kolegiis Tavmjdomare,
biznesis administrirebis doqtori,
saqarTvelos mecnierTa sabWos Tavmjdomare;
saqarTvelos biznesis mecnierebaTa akademiis namdvili wevri;
fazisis saero-samecniero akademiis namdvili wevri.

## სარედაქციო კოლეგია:

mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:

**გიორგი აბაშიშვილი; რამაზ აბესაძე; ნინო აბესაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი** (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); **ევგენი ბარათაშვილი; გივი ბედიანაშვილი; როსტომ ბერიძე** (ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი); **რამაზ გერლიანი; რევაზ გველესიანი; ვლადიმერ გრიგოლაია** (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); **ალექსეი დანილჩენკო** (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი); **შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე** (ქუთაისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); **ნათია თურნავა** (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი); **ნამიგ ისაზადე; მერაბ კაკულია; რევაზ კვატაშიძე** (მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი); **გია კვაშილავა** (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); **მურთაზ კვირკვაია** (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი); **ვასილ კიკუტაძე; კახა კორძაია** (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); **პაატა კოღუაშვილი** (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, აკადემიკოსი); **ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-ბაგრატიონი** (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); **ეკატერინე ლომია; რევაზ ლორთქიფანიძე; ლაშა მგელაძე; ელგუჯა მექვაბიშვილი; დავით ნარმანია** (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე); **სოლომონ პავლიაშვილი** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე); **ავთანდილ სილაგაძე** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი); **ალექსანდრე სიჭინავა; გელა სვირავა; ლაშა ტაბატაძე** (პასუხისმგებელი მდივანი); **სლავა ფეტელავა; ლევან ქისტაური; რუსუდან ქუთათელაძე** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); **თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ფაია შულენბაევა** (ყაზახეთის რესპუბლიკა); **ლალი ჩაგელიშვილი; დავით ჩერქეზიშვილი; ნიკო ჩიხლაძე; ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; ვასილ ხიზანიშვილი; დავით ჯალაღონია** (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერი); **ჰამლეტ ჯანჯღავა** (მთავარი რედაქტორის მოადგილე); **დიმიტრი ჯაფარიძე** (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი); **მიხეილ ჯიბუტი** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი; საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); **ნანა ჯღარკავა.**

**სტატიაზე, მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.**

© ჟურნალი „The New Economist“, „ახალი ეკონომისტი“, 2024წ.
© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 15 ლარი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



## INTERVIEW

INTERVIEW with the head of the Department of Agriculture and Rural Development Policy of the Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia, Doctor of Economic Sciences, **Mrs. Ekaterine Zviadadze** ------- 7

## SCIENCE

**David Vekua, Archil Tsertsvadze**
Some aspects of overcoming property inequality in the conditions of an inclusive economy in Georgia ---- 11

**Revaz Kvatashidze, Shalva Malashkhia**
Raw material base for the production os phosphate fertilizers in Georgia ---- 16

**Shalva Julakidze**
Ways to increase the validity of group decision ---- 21

**Sopiko Tevdoradze, Zurab Mushkudiani, Nugzar Tevdoradze**
The Effect of Criminal Activity on Tourism ---- 25

**Emzar Julakidze**
Obvious and Hidden Priorities of Operational Strategy ---- 32

**Tinatin Medzmariashvili**
The Role of Strategic Management in the Procurement Process ---- 36

**David Rusia**
The working principles of Open Banking and its benefits for Financial Institutions and Startups ---- 40

**Tamar Devidze, Marekh Devidze**
Palestine-Israel conflict ---- 46

**Mariam Khorava**
Geoeconomic Strategy in the Conditions of Modern Geopolitical Challenges ---- 60

**Nino Shengelia**
The significance of developing digital competencies among employees in the agricultural sector ---- 67

**Natia Zhgenti**
Economic policy of environmental protection facing modern challenges ---- 74

**Tornike Osadze**
Labour Market Institutions and Features of their Functioning in Georgia ---- 82

## JUBILEE

**Giorgi Malashkhia - 90** ---- 88

**Elene Kharabadze - 80** ---- 89

## NEW BOOKS

**Larisa Takalandze -** CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY IN THE EUROPEAN UNION ------ 90

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)


## ინტერვიუ

ინტერვიუ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორთან, ქალბატონ **ეკატერინე ზვიადაძესთან** ------------------7

## მეცნიერება

**დავით ვეკუა, არჩილ ცერცვაძე**
საქართველოში ქონებრივი უთანასწორობის დაძლევის ზოგიერთი ასპექტი ინკლუზიური ეკონომიკის პირობებში ---------- 11

**რევაზ კვატაშიძე, შალვა მალაშხია**
ფოსფორიანი სასუქების წარმოების სანედლეულო ბაზა საქართველოში --------- 16

**შალვა ჯულაყიძე**
ჯგუფური გადაწყვეტილების მართებულობის ამაღლების გზები ------------------- 21

**სოფიკო თევდორაძე, ზურაბ მუშკუდიანი, ნუგზარ თევდორაძე**
კრიმინალური საქმიანობის გავლენა ტურიზმზე ---------- 25

**ემზარ ჯულაყიძე**
ოპერაციული სტრატეგიის აშკარა და ფარული პრიორიტეტები---------- 32

**თინათინ მექმარიაშვილი**
სტრატეგიული მენეჯმენტის როლი შესყიდვების პროცესში---------- 36

**დავით რუსია**
ღია ბანკინგის მუშაობის პრინციპი და მისი სარგებელი ფინანსური ინსტიტუტებისთვის და სტარტაპებისთვის---------- 40

**თამარ დევიძე, მარეხ დევიძე**
პალესტინა - ისრაელის კონფლიქტი ---------- 46

**მარიამ ხორავა**
გეოეკონომიკური სტრატეგია თანამედროვე გეოპოლიტიკური გამოწვევების პირობებში---------- 60

**ნინო შენგელია**
აგრარულ სექტორში დასაქმებულთა ციფრული კომპეტენციების ფორმირების მნიშვნელობა ---------- 67

**ნათია ჟღენტი**
გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე---- 74

**თორნიკე ოსაძე**
შრომის ბაზრის ინსტიტუტები და მათი ფუნქციონირების თავისებურებანი საქართველოში ---------- 82

## იუბილე

**გიორგი მალაშხია - 90**---------- 88
**ელენე ხარაბაძე - 80**---------- 89

## ახალი წიგნები

**ლარისა თაკალანძე** - ახალი სახელმძღვანელო „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირში“---------- 90


THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)





# ინტერვიუ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორთან, ქალბატონ ეკატერინე ზვიადაძესთან



**- მოგესალმებით ქალბატონო ეკატერინე, მადლობას მოგახსენებთ ინტერვიუსათვის.**

- მოგესალმებით, მივესალმები თქვენს მკითხველს.

**- ქალბატონო ეკატერინე, როგორც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარეობს ინსტიტუციური ცვლილებები, რა არის ინსტიტუციური ცვლილებებისა და რეფორმების მიზანი და რას შეუწყობს ხელს?**

- დიახ, 2023 წლის დეკემბერში საქართველოს მიენიჭა კანდიდატის სტატუსი, დამეთანხმებით, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ქვეყნის მიერ გატარებული რეფორმებისა და უამრავი ჩართული ადამიანის ძალისხმევის მნიშვნელოვანი აღიარებაა. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, 2015 წლიდან მიმდინარეობს საკანონმდებლო დაახლოების პროცესი. ასევე, წარმატებით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD), რომლის ოთხივე ფაზა შეუფერხებლად განხორციელდა და სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებები 100%-ით იქნა შესრულებული. უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული და მიმდინარე ინსტიტუციური ცვლილებებისა და რეფორმის მიზანია ევროკავშირის რეგულაციების მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის ევროპული მართვის სისტემის სტანდარტების დანერგვა. გაძლიერდა დარგობრივი მიმართულებები, ჩამოყალიბდა მემცენარეობის, მეცხოველეობის და აკვაკულტურის სამმართველოები, რომლებიც რეფორმამდე ერთ სტრუქტურულ ერთეულში იყო გაერთიანებული. დავასაქმეთ ახალგაზრდა სპეციალისტები. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ ჩამოყალიბდა კოოპერატივების და სოფლის განვითარების სამმართველო. სამმართველოს კომპეტენციაში შედის როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავება, ისე სოფლის განვითარების მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ფორმულირება. ამ ეტაპზე, სამმართველო აქტიურადაა ჩართული ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების ავტორიზაციის პროცესში.

აქვე აღსანიშნავია, რომ გაძლიერდა ეკონომიკური კვლევისა და მონაცემთა ანალიზის სამმართველო, რომელიც აქტიურად მუშაობს დარგში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზზე: კერძოდ, სამმართველო შესაბამისი პერიოდულობით ამზადებს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობების ან/და სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველ ანგარიშებს (სამუშაო ძალა, ეროვნული ანგარიშები, მემცენარეობა-მეცხოველეობა, სამომხმარებლო ფასები, საგარეო ვაჭრობა); შერჩეული აგროსასურსათო პროდუქციისთვის, სამმართველო ახორციელებს ბაზრის ანალიზს და ამზადებს პრეზენტაციას, რაც გამოქვეყნებული გვაქვს სამინისტროს ვებ-გვერდზეც და დაინტერესებულ მომხმარებელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია აღნიშნული პროდუქტის წარმოების, საექსპორტო პოტენციალისა და საერთაშორისო ბაზარზე არსებული ტენდენციების შესახებ. ვებ-გვერდზე, ასევე, განთავსებული გვაქვს სოფლის მეურნეობის დარგის ამსახველი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



საინფორმაციო ხასიათის წლიური პუბლიკაციები - „საქართველოს მემცენარეობა რიცხვებში", „საქართველოს მეცხოველეობა რიცხვებში" და „სოფლის მეურნეობა რიცხვებში", რომელიც აერთიანებს ქვეყანაში არსებულ ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას სრულად, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ თემებზე, ერთ ფორმატში, მოიძიონ ინფორმაცია. ასევე, ერთობლივი ძალისხმევით, გავაკეთეთ სახელმძღვანელო „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა", რომელიც სასარგებლოა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულების შემსწავლელი სტუდენტების, მენეჯერების, სპეციალისტებისა და სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა ფართო სპექტრისთვის. დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის კოორდინაციის სამმართველო, რომლის ძირითადი ფუნქცია სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების მიმართულებით პოლიტიკის შემუშავების კოორდინაციაა. სამმართველო უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიისა და შესაბამისი წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგს, ამზადებს წლიური ანგარიშებს, მონაწილეობას იღებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების შესაბამისი სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და ანგარიშგებაში.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ აკვაკულტურის მიმართულებაც, რომელიც ხელს შეუწყობს აკვაკულტურის ფერმერთა მისწრაფებას განავითარონ საქართველოში ინოვაციური ტიპის აკვაკულტურა. რაც გულისხმობს, წყლის ბიოლოგიური რესურსების შენარჩუნების, აღწარმოების და მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფას, თევზის მოპოვების, მოშენების და გადამუშავების მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას და ამის შედეგად ქვეყნის შიდა ბაზარზე თვითუზრუნველყოფის მაქსიმალურად შესაძლო დონის მიღწევას. იმავდროულად, დიდი ყურადღება დაეთმობა აკვაკულტურის პროდუქციის და მომსახურების გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას.

საბოლოოდ მინდა ავღნიშნო, რომ საკმაოდ ძლიერი და მრავალმხრივი სტრუქტურული ერთეული ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის სახით, რომელიც საკმაოდ საპასუხისმგებლოა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებების განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

**- ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 2024 წლიდან იწყება თემზე დაფუძნებული ადგილობრივი მხარდაჭერის პროგრამა, რას ითვალისწინებს ეს პროგრამა და რას შესთავაზებს სოფლის მოსახლეობას?**

- 2023 წელს დეპარტამენტი აქტიურად იყო ჩართული „თემზე დაფუძნებული ადგილობრივი მხარდაჭერის პროგრამის" შემუშავებაში, ევროკავშირის LEADER/CLLD მიდგომის შესაბამისად. პროგრამა ითვალისწინებს, ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების ჩართულობით, სოფლად სოციალურ-ეკონომიკური, გარემოსდაცვითი საქმიანობების ხელშეწყობას, ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით. ჩვენ 2023 წელს უკვე დავიწყეთ პროგრამის განხორციელება, რომლის პირველ ეტაპს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების ავტორიზაცია წარმოადგენს. ავტორიზაციის მისაღებად განცხადებების მიღება 2024 წელსაც გრძელდება. ავტორიზირებული ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები (LAGs) ჩაერთვებიან პროგრამის განხორციელებაში და იქნებიან თანაგანმახორციელებლები საქართველოში არსებულ გადამხდელი სააგენტოს ანალოგთან, სოფლის განვითარების სააგენტოსთან ერთად. ავტორიზაციის პროცესის გასამართად 2023 წელს შევიმუშავეთ „ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის ავტორიზაციის წესი", რომელშიც დეტალურად გაიწერა პროცედურული საკითხები და კრიტერიუმები, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ავტორიზაციის მაძიებელმა.

**- დამატებით რა ახალ ინიციატივები აქვს სამინისტროს, მაგალითად, მეცხოველეობის განვითარებისთვის რა აქტივობები იგეგმება?**

- 2023 წელს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ინიციატივით და სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის კოორდინაციით დაიწყო ახალ პროგრამაზე მუშაობა, რასაც საფუძვლად დაედო დარგის წინაშე მდგარი გამოწვევები და საჭიროებები, შესაბამისად, მოხდა პრიორიტეტიზაცია მეცხოველეობის მიმართულებებს შორის და გამოიკვეთა მსხვილფეხა მეცხოველეობის (მეძროხეობა) განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა. სახელმწიფო პროგრამა მსხვილფეხა მეცხოველეობის განვითარებისათვის მიმდინარე წლიდან განხორციელდება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში თანამედროვე სტანდარტების, მათ შორის, ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომის გაუმჯობესებას, მსხვილფეხა მეცხოველეობის მიმართულების ფერმების ჩამოყალიბებას და ფუნ-

ქციონირებას. ფერმერებისთვის, იქმნება ბიზნესის გაფართოების და სრულყოფის შესაძლებლობები. კერძო სექტორს შესაძლებლობა ექნება შეიძინოს მაღალპროდუქტიული ჯიშები და განახორციელოს ფერმის აშენება, მოდერნიზაცია-აღჭურვა, აგრეთვე შეიძინოს ფერმაში საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისთვის საჭირო დანადგარ-მოწყობილობები და ისარგებლოს შეღავათებით 7 წლის განმავლობაში. ინიციატივა გათვლილია როგორც მსხვილ, ასევე საშუალო და მცირე მეურნეობებზე და ფარავს როგორც მეხორცულ, ისე მერძეულ მიმართულებას, რაც თავისთავად შეუწყობს ხელს ხორცისა და რძის წარმოების ზრდას. აღსანიშნავია ისიც, რომ ინიციატივა მოიცავს სანაშენე ფერმებსაც, რითაც უნდა მოხდეს ამ მიმართულების წახალისება. მთავრობს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, 2024 წელს მცირე ფერმერებისათვის მხარდაჭერის პროგრამა განხორციელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელიც მოიცავს როგორც საგრანტო, ასევე, საკრედიტო შესაძლებლობას. დახმარების პაკეტი გულისხმობს ფერმის აშენებას, რეკონსტრუქცია/აღჭურვას, რძის პირველადი დამუშავებისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენას. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ დარგის განვითარებისა და რეგულირებისთვის დაგეგმილია აქტივობები მეცხოველეობის სხვადასხვა მიმართულებისთვის, წინადადებების, რეკომენდაციების შემუშავება მიზნობრივი პროგრამების შექმნისთვის, ასევე, ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება.

დაგეგმილი გვაქვს აკვაკულტურის ფერმერთა ცოდნის და უნარების ამაღლება თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განხორციელების მეშვეობით. აღნიშნული პროცესი დაეყრდნობა თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილებას და წარიმართება საერთაშორისო პრაქტიკოს-ექსპერტების მონაწილეობით. აკვაკულტურის დარგი მხარდაჭერილი იქნება შემდეგი ინსტრუმენტებით: სასწავლო პროგრამები ცოდნის გადაცემის მიზნით, კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და სხვა.

**- როგორც აღნიშნეთ, თქვენს დეპარტამენტში გაძლიერდა ეკონომიკური ანალიზის მიმართულება, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია. როგორ შეაფასებდით სექტორის ეკონომიკურ მდგომარეობას, რა დადებითი ტენდენციები იკვეთება დარგში უკანასკნელი წლების განმავლობაში?**

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, 2022 წლის მონაცემებით, აგრობიზნესის პროდუქციის (პირველადი და გადამუშავებული პროდუქცია) გამოშვებამ 16.0 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც ბოლო ათი წლის მანძილზე 111%-ითაა გაზრდილი, ხოლო 2021 წელთან შედარებით 13%-იანი ზრდა ფიქსირდება. ასევე, ბოლო 10 წლის განმავლობაში 102%-იანი ზრდა ფიქსირდება დარგში შექმნილ მთლიან შიდა პროდუქტში და 4.8 მილიარდ ლარს შეადგენს, რაც 2021 წელთან შედარებით 10%-ითაა გაზრდილი. რაც შეეხება საერთაშორისო ვაჭრობას, აღსანიშნავია, რომ 2023 წელს საქართველოდან, მსოფლიოს 106 ქვეყანაში 1.44 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი განხორციელდა, რაც 15%-ით აღემატება 2022 წლის მაჩვენებელს და 181%-ითაა გაზრდილი ბოლო 11 წელიწადში. 2023 წელს, ძირითად საექსპორტო პროდუქტებს წარმოადგენდა: ყურძნის ნატურალური ღვინოები (259.0 მლნ აშშ დოლარი), სპირტიანი სასმელები (196.2 მლნ აშშ დოლარი), მინერალური და მტკნარი წყლები (131.5 მლნ აშშ დოლარი), უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (109.1 მლნ აშშ დოლარი), კაკლოვანი ხილი (ძირითადად თხილი) (89.5 მლნ აშშ დოლარი), ცოცხალი ცხვარი (44.1 მლნ აშშ დოლარი), ხილისა და ბოსტნეულის წვენები (16.2 მლნ აშშ დოლარი) და ა.შ. 2023 წელს, ასევე, აღსანიშნავია მოცვის ექსპორტი, რომლის ღირებულებამ 21.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (3.5 ათასი ტონა), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2.5-ჯერ აღემატება. ამავე პერიოდში, დაფნის ფოთლის ექსპორტის ღირებულებამ 17.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (6.2 ათასი ტონა), რაც 2022 წლის მაჩვენებელზე 57%-ით მეტია. 2023 წელს ექსპორტზე გავიდა 29.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების (44.9 ათასი ტონა) მანდარინი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 94%-ით აღემატება. ასევე, მნიშვნელოვანია ლოკოკინების ექსპორტი, რომლის ღირებულება, 2023 წელს, 1.3 მლნ აშშ დოლარი იყო (წინა წელთან შედარებით 5-ჯერაა გაზრდილი). ლოკოკინას ძირითად ბაზარს ევროკავშირი, კერძოდ, საფრანგეთი წარმოადგენს. ევროკავშირის ბაზრის ხსენებისას, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტიც. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ევროკავშირის ქვეყნებში ღვინის ექსპორტი 130%-ით, სპირტიანი სასმელების კი - 24%-ითაა გაზრდილი. აღნიშნულ პერიოდში, ასევე მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებები დაფიქსირდა გადამუშავებული

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)


თხილის (ზრდა 87%), უალკოჰოლო გაზიანი სასმელებისა (ზრდა 6 ჯერ) და მშრალი ხილის ექსპორტში (ზრდა 48 %).

**- გრძელვადიან პერსპექტივებსაც რომ შევეხოთ, რა არის სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები მომდევნო წლებში? მოკლედ რომ გვითხრათ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიზნების შესახებ.**

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო კოორდინაციას უწევს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიას, რომლის მიზანია: კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები; ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია; სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები. სტრატეგია მულტისექტორული სახისაა, შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდა მოიცავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აქტივობებს, რომელთა განხორციელების მონიტორინგი ხორციელდება სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების მონიტორინგისა და შეფასების ელექტრონული სისტემის საშუალებით, რაც უფრო თვალსაჩინოს ხდის სხვადასხვა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განხორციელებული დასრულებული და მიმდინარე აქტივობებს სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის ერთობლივი აქტიური თანამშრომლობით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ENPARD-4 „სოფლის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში" პროექტის ტექნიკური მხარდაჭერით მომზადდა საქართველოს კანონპროექტი - „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების შესახებ", რომელიც ემსახურება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროში, საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწას, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული კანონშემოქმედებითი პრაქტიკის მსგავსად, მოაწესრიგებს საქართველოში სოფლის მეურნეობის მოწყობას, პოლიტიკის მართვას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

**- როგორ თანამშრომლობთ დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ფერმერებთან, აგრობიზნესის წარმომადგენლებთან და სოფლის თემებთან, პოლიტიკის გადაწყვეტილების ინფორმირებისთვის და ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობისთვის?**

- სამინისტროსთან ერთად, სტრატეგიის განხორციელებას, ასევე, კოორდინაციას უწევს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც შედგება 9 სამინისტროსა და 11 საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან. უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შექმნილია, სამოქალაქო კომიტეტი, როგორც მონიტორინგის პლატფორმა, რომლის მიზანია გააძლიეროს პოლიტიკის დიალოგი შესაბამის სამთავრობო ინსტიტუტებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის და საშუალება აძლევს მათ აქტიურად იყვნენ ჩართულნი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

სამოქალაქო კომიტეტი შედგება საკოორდინაციო საბჭოს წევრი სამინისტროებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისგან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან, მწარმოებელთა ასოციაციებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფებისგან (LAGs) და აკადემიური წრეებისგან.

სოფლის განვითარების მიმართულებით ადგილობრივი მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისა და პროცესში ჩართულობის გასაზრდელად, ასევე შექმნილია საქართველოს სოფლის განვითარების ქსელი (GRDN), რომელიც ევროპულ მოდელზეა აგებული და ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ქსელების ანალოგია. GRDN წარმოადგენს ონლაინ პლატფორმას, ჰაბს, ინფორმაციის გაცვლისთვის, მათ შორის წარმოდგენილია ინფორმაცია სახელმწიფოს მხრიდან მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების, მიზნობრივი პროგრამების შესახებ.

**- დიდი მადლობა ქალბატონო ეკატერინე, კვლავაც წარმატებებს გისურვებთ.**

- მადლობა, თქვენც ასევე.

**ესაუბრა ჟურნალის მთავარი რედაქტორი,**
**ლოიდ ქარჩავა.**

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



# SOME ASPECTS OF OVERCOMING PROPERTY INEQUALITY IN THE CONDITIONS OF AN INCLUSIVE ECONOMY IN GEORGIA

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: Yanuary 23, 2024
Published: February 11, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19012024-11





**David Vekua**
Doctor of Economics,
Associate Professor of Georgian International University
ORCID iD: https://orcid.org/0000-0003-3933-7746
E - mail: David.vekua@yahoo.com

**Archil Tsertsvadze,**
Doctor of Economics
Professor of Georgian Technical University
ORCID iD: https://orcid.org/0000-0003-4588-640X
E - mail: atsertsvadze@yahoo.com

**ABSTRACT**

*At all stages of social cohabitation, the need of justice and equality is an important vector of its development, which has often become the basis of huge global transformations and changes. However, the implementation of these transformations was not always successful, because there was no appropriate historical circumstance and moment, and in some cases, these demands were dogmatic and contained many utopian views. New priorities of justice are based on the idea of inclusive development of society in modern Georgia. The main vector of its development lies is that the inclusive economy should create new jobs and contribute to the establishment justice in the distribution of wealth.*

*Based on the data of the National Statistical Service of Georgia, authors of the article analyze the indicators that most clearly show the scale and severity of this problem in Georgia. According to the authors, high rates of profit growth in the business sector indicate that the problem of financial inequality in the country has become even more visible and property polarization is more sensitive in public relations. Authors believe, that the business sector of Georgia should change its strategy, which is focused only on increasing the value of assets, and shift to protecting the labor rights of employees and increasing their employment perspectives.*

***Keywords****: justice, equality, ownership, freedom, inclusive economy, employment, investment.*

**REFERENCES:**

1. Bible, Old Testament (Exodus 16.16);
2. Gabisonia I., Taliashvili A., Khizanishvili S. "Social justice and market economy", Tbilisi, 2021 p.139;
3. Schwab K., Zahidi S. (2018), 10 Things You - and Your Government - Should Know about Competitiveness in the Fourth Industrial Revolution, [Online] 16 October;
4. Mussky I. "One Hundred Great Thinkers", Moscow, "VECHE", 2020, p. 326;
5. Vekua d. "Difficulties of establishing justice in the economy of Georgia and ways to overcome them", Collection of Scientific Works of G. Tavartkiladze Tbilisi Educational University N10, 2020. p. 64;
6. Politikano, Blog (2018) 07/22/Thomas Pickett "Economic inequality - the main problem of the XXI century";
7. Economic policy of the state, Social justice and economic efficiency: study of the relationship, https://referatwork.ru/economicheskaya_politika_gosudarstva/section-10.html;
8. www. geostat.ge.

# საქართველოში ქონებრივი უთანასწორობის დაძლევის ზოგიერთი ასპექტი ინკლუზიური ეკონომიკის პირობებში

**დავით ვეკუა**
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს საერთაშორისო
უნივერსტეტ „ჯიუს" ასოცირებული
პროფესორი
ORCID iD: https://orcid.org/0000-0003-3933-7746
ელ.ფოსტა: David.vekua@yahoo.com

**არჩილ ცერცვაძე**
ეკონომიკის დოქტორი
საქართველოს ტექნიკური
უნივერსტეტის პროფესორი
ORCID iD: https://orcid.org/0000-0003-4588-640X
ელ.ფოსტა: atsertsvadze@yahoo.com

**აბსტრაქტი**

*საზოგადოების თანაცხოვრების ყველა ეტაპზე, სამართლიანობასა და თანასწორობაზე მოთხოვნილება არის მისი განვითარების მნიშვნელოვანი ვექტორი, რომელიც ხშირად უზარმაზარი გლობალური გარდაქმნების და ცვლილებების საფუძველი გამხდარა. თუმცა ამ გარდაქმნების იმპლემენტაცია ყოველთვის ვერ მიმდინარეობდა წარმატებით, რადგან არ იყო შესაბამისი ისტორიული გარემოება და მომენტი, ხოლო რიგ შემთხვევებში კი თვით ეს მოთხოვნილებები იყო დოგმატური და შეიცავდა ბევრ უტოპიურ შეხედულებებს. თანამედროვე საქრთველოში სამართლიანობის ახალი პრიორიტეტები ეფუძნება საზოგადოების ინკლუზიური განვითარების იდეას. მისი განვითარების მთავარი ვექტორი მდგომარეობს იმაში, რომ ინკლუზიურმა ეკონომიკამ უნდა შექმნას ახალი სამუშაო ადგილები და ხელი შეუწყოს დოვლათის განაწილებაში სამართლიანობის დამყარებას.*

*საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, სტატიაში გაანალიზებულია ის ინდიკატორები, რომლებიც ყველაზე თვალნათლივ წარმოაჩენენ საქართველოში ამ პრობლემის მასშტაბს და სიმწვავეს. ბიზნეს სექტორში მოგების მაღალი ზრდის ტემპები მიგვანიშნებს, რომ ქვეყნაში ფინანსური უთანასწორობის პრობლემა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა, ხოლო საზოგადოებრივ ურთიერთობებში ქონებრივი პოლარიზაცია უფრო სენსიტიური. საჭიროა ბიზნეს სექტორმა შეცვალოს სტრატეგია, რომელიც ძირითადად აქტივების ღირებულების ზრდაზეა ორიენტირებული და მეტი აქცენტი გადაიტანოს დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვასა და მათი დასაქმების პერსპექტივის ზრდაზე.*

***საკვანძო სიტყვები:*** *სამართლიანობა, თანასწორობა, საკუთრება, თავისუფლება, ინკლუზიური ეკონომიკა, დასაქმება, ინვესტიცია.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



## შესავალი

საზოგადოების თანაცხოვრების ყველა ეტაპზე, სამართლიანობასა და თანასწორობაზე მოთხოვნილება იყო და დღესაც არის მისი განვითარების მნიშვნელოვანი ვექტორი, რომელიც ხშირად უზარმაზარი გლობალური გარდაქმნების და ცვლილებების საფუძველი გამხდარა. თუმცა, ამ გარდაქმნების იმპლემენტაცია ყოველთვის ვერ მიმდინარეობდა წარმატებით, რადგან არ იყო შესაბამისი ისტორიული გარემოება და მომენტი, ხოლო რიგ შემთხვევებში კი თვით ეს მოთხოვნილებები იყო დოგმატური და შეიცავდა ბევრ უტოპიურ შეხედულებებს. ადამიანები თავიდანვე იბადებიან უთანასწორონი, თუ მერე საზოდოებრივი ცხოვრების უსამართლოდ მოწყობის შედაგად ხდებიან ასეთნი? ეს არის დილემა, რომელზეც მიუხედავად უამრავი მცდელობისა, მკაფიოდ ჩამოყალიბებული პასუხი დღემდე გაუცემელია.

უსამართლობა და უთანასწორობა საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ სფეროში ვლინდება, როგორც მატერიალური ასევე მორალური ფორმით, მაგრამ ყველაზე სენსიტიური მაინც არის ეკონომიკური ურთიერთობებ და ამ ურთიერთობების შედეგად განხორციელებილი საზოგადოებრივი დავლათის გადანაწილიბის პროცესი. მატერიალური დოვლათის განაწილებაში სამართლიანობა არის ის გლობალური პრობლემა, რომელიც დღესაც აღელვებს მსოფლიოს უამრავ ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოებას, მთავრობებს, ბიზნესის სფეროს, პროფესიულ კავშირებს, საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს და სხვა. სწორედ ეს თემა ხშირად გამხდარა რევოლუციებისა და უმნიშვნელოვანესი გარდაქმნების კატალიზატორი და განმსაზღვრელი ფაქტორი.

## ძირითადი ნაწილი

განაწილებაში სამართლიანობას ძველ აღთქმაში მოსე როგორც უფლის ბრარძებას ასე აუწყებს ებრაელ ხალხს: „ასე აქვს ნაბრძანები თქვენთვის უფალს: თვითოეულმა იმდენი შეაგროვეთ, რამდენიც საჭმელად გჭირდებათ; კაცზე თითო გომერი, სულადობის კვალობაზე; ყველამ თქვენს - თქვენს კარავში მყოფთათვის შეაგროვეთ“. [1]

დიდი ფრანგი ფილოსოფოსი და მოაზროვნე ჟან - ჟაკ რუსო თავის ცნობილ ნაშრომში „საზოგადოებრივი ხელშეკრულება ან პოლიტიკური სამართლის პრინციპები” (1762 წ.) გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „არ არსებობს სამართლიანობა თანასწორობის გარეშე, ისევე როგორც თანასწორობა თავისუფლების გარეშე“. [4] ის თავისუფლების დონეს და ხარისხს საკუთრებითი ურთიერთობების კონტექსტში განიხილავს და ამავე ნაშრომში აღნიშნავს, რომ „თქვენ დაიღუპეთ თუ შეგიძლიათ დაივიწყოთ, რომ მიწიდან მიღებული სიკეთე ეკუთვნის ყველას და მიწა კი არავის”. [4]

ცნობილი ფრანგი ეკონომისტის თომას პიკეტის პოპულარულ ნაშრომში „კაპიტალი 21 - ე საუკუნეში” გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეკომომიკურად განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალის ზრდის სიჩქარე სტაბილურად უფრო მეტია, ვიდრე ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარების ტემპები, რაც იწვევს ქონებრივ უთანსწორობას და საზოგადოებრივ დაპირისპირებას. ამავე ნაშრომში იგი წერს: „თუ გადავხედავთ აშშ - ს ეკონომიკის საერთო ზრდას მსოფლიო კრიზისამდე 30 წლის განმავლობაში 1977 - 2007 წლების პერიოდში, მაშინ შევამჩნევთ, რომ ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 1% - ზე მოდის მთლიანი ეროვნული შემოსავლების ნამეტის 60 პროცენტი”. [6]

ეკონომიკურ მეცნიერებაში ნობელის პრემიის ლაურიატის მ. ალეეს აზრით: „შემოსავლების განაწილებამ უნდა უზრუნველყოს, როგორც ეკონომიკური ეფექტიანობის სტიმულირება, ასევე საზოგადოებაში სოციალური თანხმობა. ამ შუალედის პოვნა არსებითად არის სოციალური კომპრომისი“. [7]

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? როგორია ბალანსი კორპორაციების მოგების ზრდასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შორის? რა ფინანსური რესურსები იხარჯება მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფაზე? როგორია უმუშევრობის დონის შემცირების დინამიკა? ეს ის თემებია, რომლებიც ყველაზე თვალნათლივ წარმოაჩენენ საქართველოში ამ პრობლემის მასშტაბს და სიმწვავეს.

ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის და საინვესტიციო აქტიურობის შედეგად აშკარად გამოიკვეთა უმუშევრობის დონის შემცირების ტენდენცია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით „2022 წელს უმუშევრობის დონემ შეადგინა 17.3 %, მაშინ როდესაც იგი 2015 წელს შეადგენდა 21.9 % - ს”. [8] თუ ამ მაჩვენებელს წლების მიხედვით ვნახავთ მართალია მცირე, მაგრამ სახეზე გვაქვს მყარი შემცირების დინამიკა, რაც უდაოდ პოზიტიურ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით „მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 2022 წელს, 2018 წელთან შედარებით შეადგინა 162.1 %, მაშინ როდესაც ამავე პერიოდში

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



ბიზნეს სექტორის მოგება ზარალების გამოკლებით გაიზარდა 291.5 % - ით". [8] ბიზნესს სექტორში მოგების ასეთ მაღალი ზრდა მიგვანიშნებს, რომ ქვეყნაში ფინანსური უთანასწორობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა, ხოლო საზოგადოებრივ ურთიერთობებში ქონებრივი პოლარიზაცია უფრო სენსიტიური.

ამავე დროს, როგორც ამ უთანასწორობის მინიმიზაციის საშუალება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში არ იზრდება ფინასური რესურსების გამოყოფა სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით. მართალია სახელმწიფო ბიუჯეტიდან წლიდან წლამდე იზრდება პენსიების დაფინანსების აბსოლუტური მაჩვენებელი, მაგრამ არ იზრდება მისი ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში. „თუ 2020 წელს სოციალური უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი დაფინანსების ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში შეადგენდა 10.7 % - ს, 2021 წელს შეადგინა მხოლოდ 10.0 %, ხოლო 2022 წელს შემცირდა 8.2 % - მდე". [8]

თუ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ამ მონაცემებს გავაანალიზებთ დავინახავთ, რომ ქვეყნაში კაპიტალის ზრდის სიჩქარე სტაბილურად უფრო მეტია, ვიდრე ეკონომიკური განვითარების ტემპები. ეს ზრდის ქონებრივ უთანასწორობას და იწვევს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ეკონომიკური აქტიურობის შესაძლებლობების შემცირებას, რაც ცუდად აისახება ქვეყანაში ფინანსური ბაზრის განვითარებაზე.

ბევრ ქვეყნებში რესურსები შედარებით შეძლებული მოსახლეობიდან ნაკლებად უზრუნველყოფილ მოსახლეობაზე გადანაწილდება ძირითადად საგადასახადო სისტემის გამოყენების მეშვეობით. რაც გულისხმობს მოგების, საშემოსავლო და ქონების გადასახადების ტარიფების ზრდას და საგადასახადო წნეხის დამძიმებას. ამ ეტაპზე ეს გზა საქართველოსთვის მიუღებელია, რადგან საგადასახადო წნეხის ზრდა ქვეყანაში შეამცირებს ეკონომიკური აქტიურობის და უცხოური ინვესტიციების შემოდინების შესაძლებლობებს.

უნდა ჩამოყალიბდეს ეკონომიკური განვითარების ისეთი მოდელი, სადაც მოინახება ოპტიმალური ბალანსი ადამიანური და ბუნებრივი რესურსების გამოყენებასა და კორპორაციების მოგებასა და აქტივების ზრდას შორის, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობების მხრიდან ამ გლობალური პრობლემის მოგვარების მცდელობა დაემსგავსება მდგომარეობას, როდესაც პრობლემას გავაძევებთ კარიდან და ის აუცილებლად მყისიერად გვიბრუნდება ფანჯრიდან.

რადგან უთანასწორობა არის ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი გარემოება, საჭიროა მისი დაძლევის მიზნით შეიქმნას სპეციალური პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს ყველა იმ ღონისძიების მიზანშეწონილობას და შასაძლებლობას, რომლებმაც უნდა შეამციროს ქვეყანაში უთანასწორობა და სიღარიბე.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამაარსებლის და დირექტორის კლაუს შვაბის აზრით „თანამედროვე კაპიტალიზმის რამდენიმე ფუძემდებლური პრინციპი გადახედვას საჭიროებს. პირველ რიგში ესაა ნეოლიბერალური იდეოლოგია. ცალსახაა, რომ წარსულში მიღწეული ყველა წარმატების საწინდარი სამეწარმეო სული და რისკზე წასვლის უნარი იყო. თუმცა თავად ცნება „კაპიტალის" დღეს არსებული აღქმა უნდა შეიცვალოს. თანამედროვე მომხმარებლებს არა მხოლოდ მეტი საქონლის და მომსახურების ნაკლებ ფასში მიღება სურთ, არამედ ელიან კორპორაციების მხრიდან მეტ სოციალურ პასუხისმგებლობას. გადატვირთვამ ხმის უფლება ყველას უნდა მისცეს, ვინც დღეს უკანა რიგებშია. დღეს არსებული სისტემის საყრდენების ნაწილი უნდა შეიცვალოს, ნაწილი შესწორდეს. სწორედ ესაა საჭირო საყოველთაო პროგრესისთვის". [3]

საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხანგრძლივმა პროცესმა „ფუნდამენტალურად შეცვალა ბიზნესის წარმართვის, საკუთრების ფლობის, ბაზრების რეგულირების, კონკურენციისა და სამეწარმეო საქმიანობის, საზოგადოებრივი დოვლათის განაწილებისა და გადანაწილების ფორმები და პირობები, რამაც ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში განსაზღვრა სოციალური საკითხების სამართლიანი მოგვარების ახალი პრიორიტეტები". [5]

საქრთველოში სამართლიანი მოგვარების ახალი პრიორიტეტები საზოგადოების ინკლუზიური განვითარების იდეას ეფუძნება. რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანებს ჰქონდეთ თანაბარი წდომა ეკომომიკურ შესაძლებლობებსა და სოციალურ სიკეთეებთან. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს წვდომა საკვებზე, ტანსაცმელზე, სამედიცინო მომსახურებაზე, ბინაზე, განათლებაზე, ენერგო რესურსებზე. თითეული ადამიანი უნდა იყოს ჩართული შრომით ურთიერთობებში მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ხოლო კორპორაციები კი უფრო ეფექტურად უნდა იყენებდნენ

მათ პოტენციალს და კვალიფიკაციას.

თუმცა ამავე დროს აღსანიშვავია, რომ ინკლუზიურმა მიდგომებმა ევროკავშირის ქვეყნებში ამავე დროს გააჩინა პრობლემათა მთელი სპექტრი, ვინაიდან თითქმის ყველა ქვეყნაში აუცილებელი გახდა უამრავი რეგულაციის, შეზღუდვების და დამატებითი სოციალური დახმარების პაკეტების შემოღება და იმპლემენტაცია, რაც თავისთავად გარკვეულწილად მოქალაქეთა თავისუფლების შეზღუდვის პრობლემა გახდა.

„ბაზარზე წონასწორობის დამყარების და სამართლიანობის აღდგენის ერთ - ერთი მთავარი ფიგურანტი არის სახელმწიფო, რომელმაც უნდა მიიღოს და დაიცვას ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, შემოიღოს დაბეგვრის სამართლიანი სისტემა, განახორციელოს (თუ არის ამის აუცილებლობა) გონივრული პროტექციონისტული პოლიტიკა". [2]

ბიზნეს სექტორთან ურთიერთობისას მნიშვნელოვანია მომხმარებელთა უფლებების დაცვა. მომხმარებელი უნდა იყოს ინფორმირებული საკუთარი უფლებების შესახებ. ყველა მომხმარებელს უნდა შეეძლოს მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურება, პროდუქციის უსაფრთხოება, საზიანო პროდუქციით და მომსახურებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ყოველივე ეს მომხმარებელს დაეხმარება თავიდან აირიდოს როგორც უფლებების შესაძლო დარღვევები, ისე გაუთვალისწინებელი ხარჯები და ფინანსური პრობლემები.

დავების შემთხვევაში მნიშვნელოვანია მედიაციის მექანიზმის გამოყენება, რომლის საშუალებით მხარეები მედიატორის დახმარებით ცდილობენ დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას. მედიაცია მხარეებზე მორგებული პროცესია, მხარეები წყვეტენ რა არის მნიშვნელოვანი და როგორ ხედავენ დავის გადაწყვეტას. თუ სასამართლოში ან არბიტრაჟში საჭიროა სამართლებრივი არგუმენტების მოშველიება, მედიაციაში ამის საჭიროება არ არის, რადგან მედიატორი არ იღებს გადაწყვეტილებას. მედიატორის როლია წარმართოს პროცესი და დაეხმაროს მხარეებს გამოსავლის მოძებნაში, ხოლო პასუხისმგებლობა შედეგზე სრულად მხარეებზეა დამოკიდებული. მედიაციაში გამორიცხულია ისეთი შედეგის დადგომა, რომელიც მხარეების ინტერესებს ეწინააღმდეგება. თუ შეთანხმება იქნა მიღწეული, ის ყოველთვის მისაღები იქნება მხარეებისათვის.

## დასკვნა

საქართველოში ინკლუზიური განვითარების მთავარი ვექტორი მაინც მდგომარეობს იმაში, რომ ინკლუზიურმა ეკონომიკამ უნდა შექმნას დასაქმების პერსპექტივა და ხელი შეუწყოს დოვლათის განაწილებაში სამართლიანობის დამყარებას. საქართველოს ბიზნეს სექტორმა უნდა შეცვალოს სტრატეგია, რომელიც ძირითადად აქტივების ღირებულების ზრდაზეა ორიენტირებული და მეტი აქცენტი გადაიტანოს დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვასა და მათი დასაქმების პერსპექტივის ზრდზე.ამ თვალსაზრისით კომპანიები უნდა ცდილობდნენ,რომ მათთან დასაქმებულები შრომის ბაზარზე მუდმივად იყვნენ მოთხოვნადები, ვინაიდან თვით ამ ბიზნესების წარმატება ძირითადად ადამიანთა სინერგიული ურთიერთობის შედეგად არის შესაძლებელი.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



# RAW MATERIAL BASE FOR THE PRODUCTION OF PHOSPHATE FERTILIZERS IN GEORGIA

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: Yanuary 17, 2024
Published: February 12, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19012024-16





**Revaz Kvatashidze**
Academic Doctor of Geological –mineralogy,
AlrexanderTvalchrelidze Caucasian Institute of Mineral Resources
Direqtor, member of the Georgiaт Engineering Academy
ORCID-ID -0009-0005-5840-3886
E.Mail: kvatashidzerezo@list.ru
Cell: (+995) 558 216 021

**Shalva Malashkhia**
Academic Doctor of Technical,
AlrexanderTvalchrelidze Caucasian Institute of Mineral Resources
Head of the Biotechnology Research Department
ORCID-ID-0009-0008-5493-5422
E.Mail: shalvamalashkhia@mail.ru
Cell: (+995) 599 267 705

**ABSTRACT**

*For the full functioning of agriculture a significant place is occupied by its provision of fertilizers.*

*The development of the chemical industry in the world has driven the development of production of minerals and especiatly nitrogen fertilizers. Similar situation in Georgia. 99% of the fertilizers produced in the country is nitrogen fertilizers. As for phosphorus and potassium fertilizers, they are almost not produced in the country and the need for them is met by imported products.*

*Analisis of mineral resources of Georgia shows that the country has sulficient resources for the development of the fertilizers industry.*

*The resources base of phosphorites is being considered, its geological existing estimates are being considered and the necessary additional research is being considered in order to develop new technological solutions the development of the production of phosphorus and complex fertilizers.*

***Keywords:*** *Fosforite, Fertilizers, Production, Rav material, Ore, Industry.*

**REFERENCES:**

1. General assessment of local fertilizer industry in Georgia.

National Competition Agency of Georgia. Tbilisi, 2022;

2. Report on the results of geological reconnaissance works of the Godovani phosphorite deposit in 1956-57. Foundation of the National Minerals Agency. Tbilisi;

3. Party of Phosphorites of Georgia 1956-61. Unified Geological Report. Foundation of the National Minerals Agency. Tbilisi, 1962;

4. S. Akentiev. Phosphorites. Collection "Fossils of Georgia". p. 1063-1069, Tbilisi, 1931.

# ფოსფორიანი სასუქების წარმოების სანედლეულო ბაზა საქართველოში

**რევაზ კვატაშიძე**
გეოლოგია-მინერალოგიის
აკადემიური დოქტორი,
საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი,
ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის
მინერალური ნედლეულის
ინსტიტუტის დირექტორი
ORCID-ID -0009-0005-5840-3886
ელ.ფოსტა: kvatashidzerezo@list.ru
მობილური: (+995) 558 216 021

**შალვა მალაშხია**
ტექნიკის აკადემიური დოქტორი
თსუ, ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის
მინერალური ნედლეულის კავკასიის
ინსტიტუტის ბიოტექნოლოგიური
სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების
ხელმძღვანელი
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
ORCID-ID-0009-0008-5493-5422
ელ.ფოსტა: shalavamalashkhia@mail.ru
მობილური: (+995)599 267 705

**აბსტრაქტი**

*სოფლის მეურნეობის გამართული ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სასუქებით მის უზრუნველყოფას. ქიმიური მრეწველობის განვითარებამ მსოფლიოში ხელი შეუწყო მინერალური სასუქების, განსაკუთრებით, აზოტიანი სასუქების წარმოების განვითარებას. ასეა საქართველოშიც. ქვეყანაში წარმოებული სასუქების 99% აზოტიანი სასუქებია. რაც შეეხება ფოსფორიან და კალილუმიან სასუქებს, ისინი თითქმის არ იწარმოება და მისი აუცილებლობის უზრუნველყოფა ხდება იმპორტირებული პროდუქციით. ქვეყნის მინერალური რესურსების პოტენციალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში არსებობს ფოსფორიანი სასუქების საწარმოებლად სანედლეულო ბაზა. განხილულია ფოსფორიტების რესურსული ბაზის გეოლოგიური დახასიათება და შეფასებები. წამოწეულია დამატებითი გეოლოგიური კვლევების აუცილებლობის საკითხი და, შესაბამისად, ტექნოლოგიების შემუშავების აუცილებლობა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ საკითხების მოგვარება შექმნის ფოსფორიანი და კომპლექსური სასუქების ინდუსტრიის განვითარების წინაპირობას საქართველოში, რაც გარკვეული სტიმულატორი იქნება ეკონომიკის განვითარებისათვის.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ფოსფორიტები, სასუქები,ნედლეული, საბადო, მრეწველობა.*

## შესავალი

ქიმიური მრეწველობის პროდუქციის გლობალურმა დანერგვამ XX საუკუნეში ხელი შეუწყო მძლავრი დარგის სასუქების წარმოებას და მისი დისტრიბუციის ქსელის ჩამოყალიბებას, მინერალური სასუქების წარმოება ძირითადად წარმოადგენს ფოსფორიანი და კალიუმიანი მინერალური ნედლეულის და გაზების (აზოტიანი სასუქები) გადამუშავების პროდუქტს.

სასუქების წარმოება ხასიათდება მაღალი კონცენტრაციით. ასე მაგალითად, აზოტიანი სასუქების წარმოების 80% კონცენტრირებულია 15 ქვეყანაში, ფოსფორის მადნების - 7 ქვეყანაში და ქლორიანი კალიუმის 85% - 6 ქვეყანაში. მინერალური სასუქების წარმოების ტენდენცია ზრდადია. ამასთან უკანასკნელ წლებში მსოფლიოშიაზოტოვანი სასუქების წილი მთლიან წარმოებაში შეადგენს 60%, ფოსფორიანის - 25%, ხოლო კალიუმიანი სასუქების - 15%-ს.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)


## ძირითადი ტექსტი

საქართველოში სასუქების წარმოების და მოხმარების დინამიკა მიუთითებს, რომ ის მერყეობს 48-68 ათასი ტონის ფარგლებში. ამასთან აზოტოვანი სასუქების წარმოების წილი მთლიან პროდუქციაში შეადგენს 99%-ს, ხოლო, რაც შეეხება ფოსფორიან და კალიუმიან სასუქებს, მისი წილი ნულოვანია და საჭიროების უზრუნველყოფა ხდება იმპორტირებული პროდუციის ხარჯზე. იმპორტირებული სასუქების 60%-ზე მეტი სამი ელემენტის შემცველი სასუქებია. ბოლო წლების სტატისტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ აზოტოვანი სასუქების მოხმარების დონე საქართველოში 23-35 ათასი ტონის ფარგლებშია, რომელშიც ადგილობრივი წარმოების პროდუქტის წილი 40-50%-ს ფარგლებშია. ხოლო ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების მოხმარების უზრუნველყოფა ხდება თითქმის მთლიანად იმპორტირებული პროდუქციის ხარჯზე. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების და მათი კომბინაციების წარმოება დაბალ ნიშნულზეა, რაც გამოწვეულია ამ ელემენტების მინერალური სანედლეულო ბაზის სუსტი შესწავლით და მოპოვების და გადამუშავების ინდუსტრიის არ არსებობით.

მცენარის ზრდა-განვითარების სამი ძირითადი მკვებავი ელემენტიდან (აზოტი, ფოსფორი და კალიუმი) ერთ-ერთი მნიშვნელოვანთაგანია ფოსფორი. ის უზრუნველყოფს მცენარის განვითარების და მომწიფების ტემპებს, აუმჯობესებს მცენარის ნაყოფის ქიმიურ შემადგენლობას, ზრდის მათში შაქრების და სახამებლის წილს.

ფოსფორიანი სასუქების წარმოებისათვის ბუნებრივ ნედლეულს წარმოადგენს ფოსფორიტები და აპატიტები.

საქართველოში ფოსფორიტებისა და აპატიტების საბადოების გამოვლენა და შესწავლა დაიწყო მე-20 საუკუნის დასაწყისიდან და გაგრძელეულ იქნა 50-60-ია წლებში. გამოვლენილ იქნა საბადოები იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და კახეთში ელდარის რაიონში.

დასავლეთ საქართველოში, იმერეთის რეგიონში ფოსფორიტების საბადოები წარმოდგენილია სამი ძირითადი უბნით: გოდოგანი, ცხუნკური და გუმბრა. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია გოდოვანის საბადო. გოდოვანის საბადო განლაგებულია აღმოსავლეთით მდინარე საბანელას და დასავლეთით მდ. წყალწითელას შორის. საბადო განლაგებულია ცარცული პერიოდის თავისებურ დანალექ ვულკანოგენური ქანების დასტა „მთავარში". საბადო იყოფა ორ უბნად: კოხი და კვაშავა. კოხის უბანზე გამოიყოფა ორი ფოსფორიტოვანი ჰორიზონტი - ზედა და ქვედა, რომლებიც ერთმანეთისაგან 12-20 მ-ითაა დაშორებული. ზედა ჰორიზონტის მახასიათებლებია სიმძლავრე 0,3-1,5 მ; $P_2O_5$-ის შემცველობა 1-17% (საშ. 9,3%), საშუალო სიმძლავრე 0,8 მ. ქვედა ფენი წარმოადგენილია ტუფოგენური ქვიშათიხოვანი ფოსფორიტიზირებული ქანებით, რომლებიც ჩართულია სხვადასხვა ფერის ფოსფორიტების ძარღვები და ლინზების ბუდეები. შრის სისქე 0,15-3 მ (საშ. 0,75 მ), $P_2O_5$-ის შემცველობა 0,5-14% (საშ. 4,35%).

კვაშავას უბანზე გამოიყოფა ზედა და ქვედა ფოსფორიტოვანი ჰორიზონტები, რომლებიც ერთმანეთისაგან 30-35 მ-ითაა დაშორებული.

ზედა ჰორიზონტებს აქვს ფენოვანი ფორმა და მულდისებური ჩაწოლა, და დამრეცი დაქანებით (10-15$^0$) ჰორიზონტი შედგება ტუფოგენური ქვიშა-თიხოვანი ფოსფორიტიზირებული ქანებისაგან, რომელშიც ჩართულია ფოსფორიტები ეფუზიური ქანების ჩანართებით. ფენის სისქე 0,3-2,7 მ (საშ. 1,2 მ), $P_2O_5$-ის შემცველობა საშუალოდ 5,6%. ქვედა ფოსფორიტშემცველი ჰორიზონტი დაბალი შემცველობისაა და არ აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა.

კოხი- კვაშავას უბნებზე დათვლილი მარაგები შეადგენს 250 ათას ტონას.

სენომანის ფოსფორიტშემცველი გლაუკანიტიანი ქვიშაქვები ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მის დაბლობ ნაწილში თითქმის ყველგან შეიმჩნევა მაღალი ფოსფორიტიზაცია 1,5-3% $P_2O_5$-ის შემცველობით.

ფოსფორიტების სახურავი, ასევე საგები ქანები მდგრადია. შესაძლებელია სიღრმეში მათი დამუშავება მიწისქვეშა მეთოდით, ხოლო შრეების ზედაპირზე გამოსასვლელებთან, ღია წესით.

უნდა აღინიშნოს, რომ ფოსფორიტების მადანში ფოსფორი წარმოდგენილია ძლიერ წვრილი (5 მიკრ.) კრისტალების სახით და ქანი ხასიათდება ფოსფორიტების თხელი წანაზარდების, ასევე მათში იმყოფება თიხოვანი ნივთიერებების დიდი რაოდენობა, ამიტომ მადანი განეკუთვნება ძნელადგამდიდრებად სახეს. მიუხედავად ამისა, რადგან მათში ფოსფორის ანაჰიდრიდის დიდი ნაწილი (დაახლოებით 40%) წარმოდგენილია ლიმონხსნადი ფორმით, შეიძლება ეს ფოსფორიტები პირდაპირ ფოსფორის ფქვილის სახით გამდიდრების გარეშე გამოყენებულ იქნას მცენარეთა საკვებად.

მნიშვნელოვანი წყაროა ლეჩხუმის ფოსფორიტების საბადო, რომელიც ძირითადად განლაგებუ-

ლია ცაგერის რაიონში და მცირე ნაწილი ამბროლაურის ტერიტორიაზე.

გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ჩატარებული გეოლოგიური კვლევები საფონდო მასალების მიხედვით [3]

საბადო იყოფა სამ ნაწილად. პირველი, დასავლეთი უბანი განლაგებულია მდინარე ცხენისწყალსა და სოფელ ნაკურალეშს შორის და ვრცელდება 7,5 კმ-ზე.

მეორე ნაწილი ცენტრალური, რომელიც განლაგებულია სოფ. ნაკურალეშსა და მდინარე ლაჯანურას შორის 6,5 კმ-ის მანძილზე.

მესამე ნაწილი აღმოსავლეთი უბანი, განლაგებულია მდ. ლაჯანურიდან სოფ. ჭყვიშამდე.

აქედან ყველაზე პერსპექტიულიად მიჩნეულია ცენტრალური უბანი.

ლითოლოგიურად ცენტრალური უბანი აგებულია ეოცენური ქანებით, რომლის ზემოთ უშუალოდ ჩაწოლილია მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვები, რომლებიც მიმართებით ადგილ-ადგილ გარდამავალია თიხოვან ქანებში. თიხები და სუსტად გლაუკონიტიზირებული ქანები ზემოთ გადადიან გლაუკონიტიან ქვიშაქვებში. გლაუკონიტიანი ქვიშაქვების ზევით თითქმის ყველგან განლაგებულია კვანძოვანი ფოსფორიტიანი შრე, სიმძლავრით 0,17-1,0 მ და ფენოვანი იაროზიტული თიხები ან ქვიშაქვები. პერსპექტიული უბნის საშუალო სიმძლავრე შეადგენს 0,59 მ-ს, ფოსფორის ანჰიდრიტის ($P_2O_5$) საშუალო შემცველობა 10,8%-ია. ფენების (შრეების) დაქანება 25-45$^0$-ის ფარგლებში მერყეობს.

ს. აკენტიევის მიხედვით [4] გეოლოგიურად გამოკვლეულ იქნა დასავლეთ საქართველოს მცირე ნაწილი მესამეული წარმონაქმნების გავრცელების ზონაში. კონკრეტულად, ცაგერის და ამბროლაურის რაიონებში მდ. ცხენისწყალის, ლაჯანურის და რიონის აუზში.

კვლევებით დადგენილ იქნა, რომ რაიონის აგებულებაში მონაწილეობენ სენომანის მკვრივი კირქვები, რომლის ზემოთ განლაგებულია თეთრი მარცვლოვანი ფორამინიფერულიმიკროფლორიანი კირქვები, ღია-მურა, მურა კირქვებით პირიტის კონკრეციებით, ამ დაცური იარუსის სისქე დაახლოებით 63 მ-ია. მის ზემოთ არის 20-30 მ-ის სიმძლავრის გლაუკონიტიანი კირქვები, რომლებიც მდიდარია ფაუნის ნაშთებით (Discocylina, Terebratula Sp).

ზემოთ განლაგებულია 50 მ-ის სისქის რუხი კირქვების დასტა, რომელიც მდიდარია Nummulites და Discocylina-ის ნაშთებით. შემდგომ მოდის საშუალო ეოცენის 50 მ-ნი რუხი და მწვანე კირქვები პირიტული კონკრეციებით Platax Sp ფაუნის ნაშთებით, შემდგომ ჰორიზონტი სოფ. აგვთან წარმოდგენილია ასევე კირქვებით და ქანწარმომქნელი Discocylina და სხვა ფაუნის ნაშთებით, სიმძლავრით 22 მ. სოფ. დარვჩალთან, რომელიც განეკუთვნება ასევე ზედა ეოცენს.

აგვის კირქვების ზემოთ განლაგებულია 250 მ სისქის ოლიგოცენური დანალექები წარმოდგენილნი კირქვებით და თიხოვანი შრეებით. ისინი განლაგებულნი არიან ეოცენის ზევით არაშეთავსებულად და გადაფარულნი არიან მიოცენური ტრანსგრესიით. დეტალური კვლევებით აღნიშნულ მესამეულ სისტემებში გამოყოფილი ხუთი ფოსფორიტშემცველი შრე პალეოგენური ასაკის დანალექებში, რომლებშიც $P_2O_5$-ის შემცველობამ შეადგინა 22,78%-დან 27%-მდე.

აღნიშნული ჰორიზონტებიდან პრაქტიკული მნიშვნელობის მქონედ მიჩნეულ იქნა შრე, რომელიც განთავსებულია ეოცენის და ოლიგოცენის კონტაქტთან, ე.ი., აგვის დანალექისა და ოლიგოცენის ძირის შორის ფოსფორიტები წარმოდგენილნი არიან მყარი ღია-რუხი 5-15 სმ დიამეტრისკვანძებით.

მარაგების შეფასება განხორციელდა მხოლოდ მოცემული ფოსფორიტების გავრცელების ფართზე, რომელიც შეადგენს ≈40 კვ.კმ-ს და პროგნოზულად შეადგინა 4,5 მილ. ტონა. აღნიშნული ფენების დამუშავებას ართულებს მათი მცირე სიმძლავრეები. რა შეიძლება გაადვილებული იყოს მექანიზაციის საშუალებების გამოყენებით.

ფოსფორიტების სანედლეულო ბაზის მნიშვნელოვანი რაიონია კახეთ-ელდარის ველი. აღნიშნული რეგიონის ფოსფორიტშემცველობის შესახებ ბევრი წინააღმდეგობრივი აზრი არსებობს. კავკასიის ფოსფორების შესახებ გასული საუკუნის 10-30-იანი წლების კვლევები მიუთითებენ, რომ ამ რეგიონში ფოსფორიტების მნიშვნელოვანი გამოვლინებები არ ფიქსირდება. 50-70-იანი წლების გეოლოგიური კვლევები ხაზს უსვამენ ფოსფორიტების გარკვეული გამოვლინებების არსებობაზე.

გასული საუკუნის პირველ ნაწილში საქართველოში ფოსფორიტების სანედლეულო რესურსების შესახებ მნიშვნელოვანი გეოლოგიური ძიებები იქნა ჩატარებული, რომლის შედეგები სხვადასხვა გამოცემებში იქნა დაფიქსირებული. ყურადსაღების ს. აკენტიევის მიერ ჩატარებული კვლევები(4), რომელიც ეხება ელდარის ველის ფოსფორიტშემცველი მარაგების შეფასებას. ელდარის სტეპი გან-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



ლაგებულია კახეთის სამხრეთ ნაწილში მდინარე იორის ორივე სანაპიროს გასწვრივ. ელდარის სტეპს ყველა მხრიდან აკრავს მთები. ჩრდილოეთით კალტენის, ტუზ-დაგის და კომროის , ხოლო სამხრეთით ეილიარ-ოუგის მთები, რომლებიც ვრცელდებიან დაახლოებით 15 კმ-ის მანძილზე. მდინარე იორი ეილიარ-ოუგის მთებს ყოფს ორ ნაწილად აღმოსავლეთით (მცირე) მარცხენა ნაპირად და დასავლეთით (დიდი) მარჯვენა სანაპიროდ. აღნიშნული მაღლობების ნაწილი (კალტან, კომრო, ვადადარასი) აგებულია პლიოცენური წარმონაქმნებით ერთგვაროვანი მიმართებით ჩრდილო-აღმოსავლეთი $45^0$-ი, $30\text{-}40^0$ კუთხის დახრილობით. ეილიარ-ოუგის მთებში მარცხენა სანაპიროზე შრეები ვარდებიან ჩრდილო-დასავლეთის $330^0$-ით, $35\text{-}45^0$-ით, ხოლო მარჯვენა სანაპიროზე არის მონოკლინალური ქედი, ქანების ჩრდილოეთ მიმართულებაზე ვარდნით. ეილიარ-ოუგის ქედის მწვერვალზე შეინიშნება ქვიშაქვების ჰორიზონტალური ჩაწოლა, რაც მიანიშნებს ანტიკლინური ნაოჭის თაღურ ნაწილზე, რომლის სამხრეთი ფრთა ვარდება.

ფოსფორიტშემცველი ქვიშაქვები შეინიშნება ეილიარ-ოუგის ქედის დასავლეთ გასასვლელში [4].

ავტორი სხვა მკვლევარების (დომბროვსკი და ბოგაჩევი) კვლევებზე დაყრდნობით გამოყოფს ფოსფორიტშემცველი შრეების სტრატიგრაფიულ მდებარეობებს. ისინი განლაგებულნი არიან ელდარის მესამეულ დანალექებში ცალკეულ იარუსებად.

მათ შორისაა: აპშერონოს იარუსი- მძლავრი 1000 მ სისქოს შრე, რომელიც შეიცავს ნიჟარების ფაუნის ნარჩენებს; აკჩაგილის იარუსი, ასევე 1000 მ-დე სიმძლავრის, ტიპიური აკჩაგილის ფაუნით.

სარმატის სამი დასტა. ერთი ზედა, მტკნარი წყლის მოლუსკების მძლავრი შრე; მეორე ქვედა დასტა „პიკერმის“ და „Mactra caspia Eichw“ ფაუნით; და მესამე - საშუალო ..... გამოყოფილი დასტა. სარმატის წყების დაყოფა ცნობილია, როგორც დომბროვსკის კლასიფიკაცია.

დომბროვსკის პირველი დასტა 200 მ-დე სიმძლავრისაა და აგებულია ნიჟარიანი მტკნარი წყლის ფაუნის ნარჩენებით. მთა ეილიარ-ოუგის რაიონში გამოვლენილ იქნა ორი ფენი ძვალშემცველი წითელი თიხებისა 1-1,5 მ სიმძლავრის. აღნიშნული დასტა იმსახურებს ყურადღებას და გამოკვლევას.

დომბროვსკის მე-2 დასტა, რომელიც უშუალოდ I-ის ქვემოთაა განლაგებული სიმძლავრით 300-500 მ-ის ფარგლებშიაა. ამ დასტის ქვემო ნაწილში აღმოჩენილ იქნა ფენი, სისქით 1,5-1,75 მ, რომელიც აგებულია განამარხებული ხერხემლიანი თევზების ნაშთებით. აღნიშნული ფენი იმსახურებს ყურადღებას დეტალური შესწავლისათვის.

დომბროვსკის მე-3 დასტა განლაგებულია უშუალოდ 2-ის ქვემოთ, რომელშიც აღმოჩენილ იქნა განამარხებული ვეშაპების ნაშთები.პალან-ტიუკანის მთებში აღმოჩენილ იქნა კიდევ ერთი ფენი.

## დასკვნა

ამდენად, როგორც დახარისხებული ნიმუშების საშუალო წარმომადგენლის ანალიზმა უჩვენა, $P_2O_5$-ისშემცველობა შეადგენს 26-29%. მთელი რაიონიდან ყველაზე შესწავლილად მიიჩნევა ეილიარ-ოუგის უბანი, რომელიც მოიცავს ფენს, რომლის მიმართებით გავრცელება 10 კმ-ია, სადაც 3 კმ-ის მანძილზე ფენი სიმძლავრის 1,2-1,5 მ $P_2O_5$-ის საშუალო შემცველობით 26% მთლიანად ელდარის საბადოზე $P_2O_5$-ის შემცველობა შეადგენს 25-33%-ს.დაფიქსირებულა $P_2O_5$-ის მაღალი შემცველობით ელდარის ფოსფორიტები შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ნედლეული სასუქის სამრეწველო წარმოებისათვის. ს. აკინტიევი აღნიშნავს, რომ ელდარის ფოსფორიტები გამოცდილ იქნა აგროეფექტურობაზე. ფოსფორიტშემცველი ქანი დაქუცმაცებული იქნა, გამოიცრა 0,1 მმ-იან ცხრილში და შედარებულ იქნა თავისი ეფექტურობით სუპერფოსფატის მოქმედებას. გამოცდებმა უჩვენეს, რომ ელდარის ფოსფორიტების დაფქვილი ფორმით მცენარეები ითვისებენ და მნიშვნელოვნად ზრდის მოსავლიანობას.

მაშასადამე, მიზანშეწონილია:

1. საქართველოს ფოსფორიტების საბადოების რესურსული მონაცემების დაზუსტებისათვის დამატებით გეოლოგიური და ტექნოლოგიური კვლევები.
2. ელდარის ველის რესურსების შესწავლა, სადაც არსებული მონაცემებით დაფიქსირებულია მაღალხარისხოვანი ფოსფორიტები.
3. განახლებულ იქნას საბადოების გეოლოგიური რუქები.
4. მოხდეს აღნიშნული საბადოების სრულყოფილი ტექნიკური, ტექნოლოგიური და გეოლოგიური პასპორტიზაცია.
5. შემუშავებულ იქნას საბადოების ათვისების (დამუშავების) ტექნოლოგიური სქემები.
6. შესწავლილ იქნას მოპოვების მექანიზირების შესაძლებლობები და სხვა.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



# WAYS TO INCREASE THE VALIDITY OF GROUP DECISION

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: Yanuary 23, 2024
Published: February 11, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19012024-21



**Shalva Julakidze**
PhD in Economics,
Associate professor at International Black Sea University
ORCID ID: 0009-0006-3136-7894
E-mail: sjulakidze@gmail.com
Cell: (+995) 577000103

**ABSTRACT**

*The modern step of evolution of administrative activities is characterized the growing trend of growing group decision-making. A group does have an opportunity to process more information, correct each other's mistakes, use one another's habits, knowledge and competences. However, this does not mean that the more we make group decisions the better. Nevertheless, it's better if we don't use this method if it is not necessary. The necessity is determined by how sudden and unexpected is the situation, whether or not is the information enough to make a right decision. Make a decision with a group does have it's disadvantages. One of those is considered to be the phenomenal of "group thinking", Among the many ways to overcome this, we consider the most important to be the provision of diversity of members of the decision-making group and the encouragement of organizational learning, which will help to develop different ideas, will grow the wish of group members to lead the environment they work in.*

***Key words:*** *leading decision, group thinking, effectiveness of the meeting, organizational learning, choosing stuff.*

**REFERENCES:**

1. Bakradze E. 2018, The main directions of improving the methodology of management decision development, Kutaisi, pg. 160;
2. What can we...2016: what can we learn about management from Japanese system? https://www.facebook.com/insource.ge/posts/1323444571005461:0;
3. Harvey, Jerry B. 1974: The Abilene Paradox. http://homepages.se.edu/cvonbergen/files/2013/01/The-Abilene-Paradox_The-Management-of-Agreement.htm_.pdf;
4. PETER SENGE'S. 2005: PETER SENGE'S LEARNING ORGANIZATIONS. https://neoinsight.wordpress.com/2005/11/03/5-cornerstones-of-learning-organizations-by-peter-seng/;
5. Meskon M. et al. 2004: Meskon M., Albert M., Khedouri F. Fundamentals of management translation from English. M.: Publishing house "DELO", 493 art.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

# ჯგუფური გადაწყვეტილების მართებულობის ამაღლების გზები

**შალვა ჯულაყიძე**
ეკონომიკის დოქტორი,
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ORCID ID: 0009-0006-3136-7894
ელ.ფოსტა: sjulakidze@gmail.com
ტელ.: (+995) 577000103

**აბსტრაქტი**

*მმართველობითი საქმიანობის ევოლუციის თანამედროვე ეტაპი გადაწყვეტილების ჯგუფურად შემუშავების ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ჯგუფს მართლაც აქვს იმის საშუალება, რომ გადაამუშაოს მეტი ინფორმაცია, შეუსწორონ ერთმანეთს შეცდომები, გამოიყენონ ერთმანეთის უნარ-ჩვევები, ცოდნა და კომპეტენციები. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ რაც უფრო ხშირად მივმართავთ გადაწყვეტილების ჯგუფურ მიღებას, მით უკეთესია. მეტიც, უმჯობესია არ გამოვიყენოთ გადაწყვეტილების ჯგუფურად შემუშავების მეთოდი თუ არ არსებობს მისი აუცილებლობა. აუცილებლობას კი განსაზღვრავს ის თუ რამდენად მოულოდნელია შექმნილი სიტუაცია, ანუ რამდენად საკმარისია ინფორმაცია მართებული გადაწყვეტილების მისაღებად. თუმცა, გადაწყვეტილების ჯგუფურ მიღებასაც აქვს თავისი ნაკლი. მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვნად თვლიან „ჯგუფური აზროვნების" ფენომენს, რომლის დაძლევის უამრავ გზებს შორის, ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის წევრების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა და ორგანიზაციული სწავლების წახალისება, რამაც უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს განსხვავებული იდეების გენერირებას, გაზრდის ჯგუფის წევრთა სურვილს გაიაზრონ და მართონ ის გარემო, რომელშიც უწევთ საქმიანობა.*

***საკვანძო სიტყვები:*** *მმართველობითი გადაწყვეტილება; ჯგუფური აზროვნება; თათბირის ეფექტიანობა; ორგანიზაციული სწავლება; პერსონალის შერჩევა.*

## შესავალი

მმართველობითი საქმიანობის ევოლუციის თანამედროვე ეტაპი გადაწყვეტილების ჯგუფურად შემუშავების ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მას საფუძველი დაუდო ორგანიზაციული გარემოს ცვლილებების ინტენსივობის გამო როგორც გადასაწყვეტ ამოცანათა რაოდენობრივმა ზრდამ, ასევე გადასაჭრელი პრობლემების გართულებამაც. არასწორი იქნება არ დავეთანხმოთ იმ მოსაზრებას, რომ გადაწყვეტილებათა ჯგუფური მიღება უკეთესია გადაწყვეტილების ინდივიდუალურად მიღებასთან შედარებით. საქმე იმაშია, რომ ჯგუფს აქვს იმის საშუალება, რომ გადაამუშაოს მეტი ინფორმაცია, შეუსწორონ ერთმანეთს შეცდომები, გამოიყენონ ერთმანეთის უნარ-ჩვევები, ცოდნა და კომპეტენციები. თუმცა, გადაწყვეტილების ჯგუფური მიღება ითხოვს გარკვეულ სრულყოფას, რათა აღმოიფხვრას მისი თანმდევი ნაკლოვანებები.

უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილების ჯგუფურად შემუშავების ფორმატში ხდება მეტი გონებრივი რესურსებისა და იდეების გენერირება. როგორც მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტის სლოანის ბიზნეს სკოლის ორგანიზაციული სწავლების ცენტრის დირექტორი პიტერ სენჯი აღნიშნავს - „თანამედროვე ეპოქაში ადამიანის გონების მიერ შექმნილი სარგებლის 80% სწორედ გუნდური აზროვნებით მიიღება და თუ ამ შესაძლებლობებს ორგანიზაცია ვერ გამოიყენებს, ეს ნიშნავს რომ იგი დღეს თუ არა ხვალ სიცოცხლისუუნარო გახდება. უბრალოდ, „ძლიერთა გადარჩევის" ბუნებრივი კანონი არ აპატიებს ამას (PETER SENGE'S ... 2005).

თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ რაც უფრო ხშირად მივმართავთ გადაწყვეტილების ჯგუფურ მიღებას, მით უკეთესია. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ არ გამოვიყენოთ გადაწყვეტილების ჯგუფურად შემუშავების მეთოდი, თუ არ არსებობს მისი აუცილებლობა. აუცილებლობას კი განსაზღვრავს ის თუ რამდენად მოულოდნელია შექმნილი სიტუაცია და საერთოდ, რამდენად საკმარისია ინფორმაცია მართებული გადაწყვეტილების მისაღებად.

### ძირითადი ტექსტი

ინფორმაციული უზრუნველყოფის დონით უნდა განსაზღვროს როდის იქნება უფრო წარმატებული ინდივიდუალური გადაწყვეტილება და როდის - ჯგუფური. საქმე იმაშია, რომ რაც უფრო მეტია არსებული და ხელმისაწვდომი ინფორმაცია ორგანიზაციული გარემოს შესახებ, მით უფრო მაღალია მისი განსაზღვრულობის ხარისხი და შესაბამისად, მით უფრო იოლია შევიმუშაოთ გადაწყვეტილება ინდივიდუალურად და არ შევაწუხოთ ჯგუფის წევრები იმსჯელონ ისეთ საკითხზე, სადაც გადაწყვეტილების შესაძლო ალტერნატივების რიცხვი საკმაოდ შეზღუდულია და ამასთან, შესაძლებელია თითოეული ალტერნატივის ზუსტი შეფასება. მენეჯმენტის მეცნიერებაში ასეთ გადაწყვეტილებებს უწოდებენ პროგრამირებადს. ესენია ისეთი გადაწყვეტილებები, რომელთა მიღებაც იმდენჯერ დაგვჭირდა ჩვენს საქმიანობაში, რომ ფაქტობრივად შემუშავებული გვაქვს ერთი, საკმაოდ საიმედო წესი (პროგრამა), რომლის მიხედვით ვიცით, რომ უტყუარ გადაწყვეტილებამდე მივალთ. ხოლო, თუ არ გვაქვს საკმარისი ინფორმაცია ორგანიზაციული გარემოს შესახებ, ანუ მაღალია მისი განუსაზღვრულობის ხარისხი, სწორედ აქ გვჭირდება სხვა ადამიანთა ცოდნა, კომპეტენციები და უნარები. ანუ, როცა არ არსებობს შაბლონური გადაწყვეტილების მიღების წესი, გადაწყვეტილების შემუშავების პროცესი უნდა გავხადოთ ჯგუფური, რათა მივიდეთ უფრო მართებულ გადაწყვეტილებამდე. ასეთ გადაწყვეტილებებს უწოდებენ არაპროგრამირებადს. მმართველობით საქმიანობაში ასეთი ტერმინები (პროგრამირებადი და არაპროგრამირებადი გადაწყვეტილებები) პირველად გამოიყენა ნობელის პრემიის ლაურიატმა, გადაწყვეტილებების მიღების თეორიის ფუძემდებელმა ჰელბერტ საიმონმა, რომელმაც ის აიღო კომპიუტერული ტექნოლოგიის ტერმინოლოგიიდან (Мескон М. И др. 2004: 139)

გადაწყვეტილებების ჯგუფური მიღება აუცილებელია ისეთ სიტუაციებშიც, როდესაც თემატიკიდან გამომდინარე არასწორია გადაწყვეტილების კულუალურად შემუშავება, ან როცა გვიჭირს დამოუკიდებლად ჩამოვაყალიბოთ ალტერნატიული ვარიანტების ხელშესახები რაოდენობა, ან კიდევ, როდესაც ვერ ვახერხებთ ყველა ალტერნატივის ობიექტურ შეფასებას.

თუმცა, გადაწყვეტილების ჯგუფურ მიღებასაც აქვს თავისი ნაკლი. მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვნად თვლიან იმას, რომ ჯგუფი, ხშირად, მეტ დროს ანდომებს გადაწყვეტილების მიღებას, ვიდრე ერთი პიროვნება. თუმცა, გადაწყვეტილების ჯგუფური მიღების უფრო დიდი პრობლემად აღიქვამენ - ე.წ. „აბილინის პარადოქსს", რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფის წევრებმა შეიძლება მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებაც კი, რომელსაც არ იზიარებს მისი არც ერთი წევრი. საქმე იმაშია, რომ თუ ჯგუფის თითოეული წევრი ფიქრობს, რომ მისი აზრი ეწინააღმდეგება ჯგუფის საერთო აზრს, ის შეგნებულად მიდის დათმობაზე. ანუ, არ ამხელს საკუთარ მოსაზრებას. საბოლოოდ კი, მათი წინათგრძნობა მართლდება, ყოველი წევრი იმედგაცრუებულია და ერთმანეთს აბრალებს მიღებულ შედეგს (Harvey, Jerry B. 1974).

კონკრეტულად, რთული ჩამოსათვლელია ყველა ის მიზეზი, რომელიც ხელს უშლის ადამიანებს ერთობლივ აზროვნებაში. ზოგჯერ ეს თათბირის წინასწარი მოუმზადებლობის ბრალია, რის გამოც განსახილველი საკითხის შესახებ ფიქრი მხოლოდ განხილვის პროცესში იწყება, მაშინ როცა რთული პრობლემის გადაჭრა ამ გზით პრაქტიკულად შეუძლებელია; ხშირად ხდება, ასევე, რომ განხილვას წინ არ უძღვის შეხვედრის მიზნის მკაფიო ფორმულირება და დიალოგიც, ფაქტობრივად, მიმართულების გარეშე მიმდინარეობს; ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა - პიროვნების თავდაცვის ინსტიქტი, რომლის მიხედვით ადამიანები ხშირად ერიდებიან თავიანთი მოსაზრებების ბოლომდე გამოთქმას (იქნებ დამცინონ, იქნებ ხელმძღვანელს არ მოეწონოს, უმეტესობას მაინც ვერ დავარწმუნებ, დავიღალე, სახლში მეჩქარება და ა.შ.) და შესაბამისად, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხიც დაბალია.

ერთი, რაც აუცილებლად უნდა ითქვას და რომელსაც პრაქტიკაც ადასტურებს ისაა, რომ რაც უფრო ნაკლებია ჯგუფში წევრთა რაოდენობა, მით უფრო პასუხისმგებლობით ეკიდება თითოეული მათგანი ალტერნატივათა შეფასებას. არადა, ქართულ სინამდვილეში, არც თუ ისე იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც კრებებსა და თათბირებზე ვიწვევთ ისეთ ადამიანებსაც, რომლებსაც სრულებით არ აინტერესებს განსახილველი პრობლემა; ზოგჯერ, მარტივი პრობლემის გადაწყვეტას მთელ დღეს ვანდომებთ. აღნიშნულის გასამყარებლად დავესესხოთ იაპონურ მენეჯმენტს, რომლის მიხედვითაც „თათბირის ეფექტიანობა უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია მონაწილეთა რაოდენობასთან და მის ხანგრძლივობასთან" (რა შეგვიძლია... 2016).

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მართებულობის ამაღლების კარგი გზა იქნება - გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის წევრების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. ჯგუფში ორივე სქესის, განსხვავებული სოციალური წარმოშობის, განსხვავებული გამოცდილების, სხვადასხვა ასაკის, განსხვავებული პროფესიის მქონე სპეციალისტთა თავმოყრა აფართოებს ცხოვრებისეული გამოცდილებისა და გლობალური ხედვების სპექტრს, რომლებსაც უნდა დავეყრდნოთ ალტერნატივების შემუშავებისა და მათი შეფასების პროცესში.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომ „ჯგუფური აზროვნების", როგორც სენის შემცირება და ჯგუფური გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზეც, თუ რა „სტატუსითაა" თითოეული წევრი გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფი. როგორც ავტორი აღნიშნავს - „თითქოს უხერხული შედარებაა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფის წევრებს შორის არსებობს ისეთივე დამოკიდებულება, როგორც ბიზნესში მონათესავე საქონელს შორის. მონათესავე საქონელი ხომ ორი სახისაა - ურთიერთშემცვლელი და ურთიერთშემავსებელი. იგივე ხდება ბევრ ჯგუფიც. „ურთიერთშემცვლელები" ჯგუფის ის წევრებია, რომლებიც არ ერიდებიან ხელმძღვანელის მხრიდან გაჟღერებული არასწორი აზრის სამართლიან კრიტიკას (ისინი საკმაოდ მომზადებულები არიან), ხოლო „ურთიერთშემავსებლები" კი არიან ისინი, რომელთა ყოფნა ამ ჯგუფში ხელმძღვანელზეა ჩამოკიდებული და მისი ფუნქციაც ხელმძღვანელის მხრიდან წამოსული იდეების მხარდაჭერაა. გადაწყვეტლების მიღების პროცესში ჯგუფის „ურთიერთშემავსებელი" წევრები, როგორც წესი, ერთიანდებან ხელმძღვანელის ირგვლივ და ფაქტობრივად, ბრმად უჭერენ მხარს მის სამოქმედო კურსს და ნაკლებად, რომ აფასებდნენ ცალკეულ ალტერნატივათა ღირსებებს. ასეთი მხარდაჭერა ემოციებს უფრო ემყარება, ვიდრე სამოქმედო კურსის ობიექტურ შეფასებას. შესაბამისად, რაც უფრო მეტად იქნება ჯგუფი „ურთიერთშემცვლელი" პიროვნებებით დაკომპლექტებული, მით მეტია სალი ალტერნატივის გამარჯვების შანსი (ბარბაქაძე ე. 2018: 98).

ბუნებრივია, აქ განხილული უნდა ყოფილიყო ე.წ. „დამოუკიდებელი" პიროვნებები, რომელიც ზემოაღნიშნულ ორ კატეგორიას არ მიეკუთვნება. თუმცა, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, ჯერ ერთი იშვიათია, რომ ასეთი ადამიანი მოხვდეს გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფში (მხარდამჭერთა სიმცირის გამო) და მეორე და უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ - საბოლოო ანგარიშით, ის ერთი ან მეორე ჯგუფის რეალური წევრი ხდება.

## დასკვნა

ისმის კითხვა - რა გზით შეუძლიათ მენეჯერებს (ბუნებრივია, თუ ის მოტივირებულია წარმატებაზე) გააუმჯობესონ ჯგუფის მიერ არაპროგრამირებადი გადაწყვეტილებების მიღების უნარი, გადაწყვეტილებების, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს შეცვალონ და ორგანიზაციის სასარგებლოდ გარდაქმნან ის გარემო, რომელშიც უწევთ საქმიანობა? ამ კითხვაზე პასუხი საკმაოდ მარტივია - საჭიროა შევქმნათ ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს განსხვავებული იდეების გენერირებას. ეს კი ორგანიზაციული სწავლების წახალისებით მიიღწევა.

ორგანიზაციული სწავლება - ესაა პროცესი, რომლის მეშვეობითაც მენეჯერები ცდილობენ აამაღლონ ჯგუფის წევრთა სურვილი და უნარი, გაიაზრონ და მართონ ორგანიზაცია და ის გარემო, რომელშიც უწევთ საქმიანობა. ანუ, ორგანიზაციული სწავლების მიზანს ჯგუფის წევრების შემოქმედებითი უნარის ამაღლება წარმოადგენს.

შემოქმედებითი უნარის წახალისება იმდენად აქტუალურ საკითხად იქცა დღეს, რომ ბევრ უნივერსიტეტში ავტორიტეტულ ექსპერტებსაც კი იწვევენ მხოლოდ იმისთვის, რომ დაეხმარონ ისეთი სასწავლო პროგრამისა და ცალკეული დისციპლინის სილაბუსის (ან მისი რომელიმე ნაწილის - სწავლება/სწავლის მეთოდების, სწავლის შედეგის, სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმების) შემუშავებაში, რომლებიც დაეხმარება სტუდენტებს შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისა და პრობლემათა მოგვარების ხელოვნებაში.

ბუნებრივია, პერსონალის სწავლება გარკვეულ დანახარჯებს მოითხოვს. სწორედ, ასეთ ხარჯებთანაა დაკავშირებული პერსონალის შერჩევის საკმაოდ განსხვავებული პრაქტიკაც. ერთნი, პოტენციურ თანამშრომლებში უკვე არსებულ ცოდნას, გამოცდილებასა და უნარებს ეძებს და აუცილებლად არ თვლის გასწიოს ხარჯები პერსონალის სწავლებაზე; მეორენი კი, არსებულ პერსონალს ყველაზე მნიშვნელოვან რესურსად მიიჩნევს და მის განვითარებას (სწავლებას) ემხრობა. უდაოა, რომ ეს უკანასკნელი უფრო თანამედროვე მიდგომაა, რადგან დღეს ფაქტობრივად ყველა წარმატებას ამ რესურსის ყაირათიანი გამოყენება უდევს საფუძვლად.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



# THE EFFECT OF CRIMINAL ACTIVITY ON TOURISM

Copyright © 2024 the Author/s

Peer review method: Double-Blind
Accepted: February 23, 2024
Published: March 11, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19012024-25







**Sopiko Tevdoradze**
PhD in Business Administration,
Professor at Georgian
International University GIU
ORCID ID: 0000-0002-1668-051X
E-.Mail:
Sofo.tevdoradze@giu.edu.ge

**Zurab Mushkudiani**
PhD in Business Administration,
Professor at Georgian
International University GIU,
Professor at Monmouth
University (USA)
ORCID ID: 0000-0003-0987-3564
E-Mail:
zurab.mushkudiani@giu.edu.ge

**Nugzar Tevdoradze**
PhD in Law,
Associate professor at Georgian
International University GIU,
Associate professor at Samtskhe-
Javakheti state University
ORCID ID: 0009-0009-6674-8445
E.Mail:
nugzar.tevdoradze@giu.edu.ge

**ABSTRACT**

*The global economy of the 21st century has witnessed a significant rise in tourism, emerging as a key driver of economic growth and development. However, alongside its growth, the tourism industry faces numerous challenges, with crime emerging as a prominent concern. Crime can have detrimental effects on tourist destinations and the experiences of individual travelers, impacting the industry's overall sustainability and growth. This review article aims to examine the multifaceted impact of crime on tourism, focusing on both macro and micro levels. By analyzing existing literature and case studies, this review seeks to provide insights into the dynamics of crime in the tourism industry and offer recommendations for mitigating its adverse effects.*

***Key words:*** *Tourism, criminal activity in tourism.*

**REFERENCES:**

1. Alleyne, P., & Boxill, I. (2003). Crime and tourism in the Caribbean: An economic analysis. The Review of Black Political Economy, 30(3), 87-100.
2. Boxill, I. (2012). Crime and tourism: A focus on the Caribbean. Routledge.
3. Brunt, P., Donoghue, M., & Mawby, R. I. (2000). Gender, crime and tourism. Annals of Tourism Research, 27(1), 28-50.
4. Crotts, J. C. (1996). Crime and tourism in the Americas. Tourism Management, 17(3), 199-202.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)


5. George, T. (2010). Tourism and crime: Perceptions of safety and security among tourists in Table Mountain National Park, South Africa. Tourism Management, 31(2), 250-259.

6. Holcomb, J. L., & Pizam, A. (2006). Tourism security and safety: From theory to practice. Butterworth-Heinemann.

7. Lisowska, M. (2017). Perception of crime and tourism: A comparative analysis of selected European countries. Tourism Management Perspectives, 22, 26-34.

8. McElroy, J. L. (2006). Crime and tourism in the Caribbean. In M. M. Kutz (Ed.), Tourism and crime: Implications for tourism security in the Caribbean (pp. 127-140). Routledge.

9. Pizam, A. (1999). A comprehensive approach to classifying acts of crime and violence in the tourism industry. In Tourism, crime and international security issues (pp. 65-74). Wiley.

10. Pizam, A., & Mansfeld, Y. (2006). Tourism, crime and international security issues. Wiley.

11. Sönmez, S. F., & Graefe, A. R. (1998). Influence of terrorism risk on foreign tourism decisions. Annals of Tourism Research, 25(1), 112-144.

12. Alleyne, P., & Boxill, I. (2003). Crime and tourism in the Caribbean: An economic analysis. The Review of Black Political Economy, 30(3), 87-100.

13. Boxill, I. (2012). Crime and tourism: A focus on the Caribbean. Routledge.

14. Brunt, P., Donoghue, M., & Mawby, R. I. (2000). Gender, crime and tourism. Annals of Tourism Research, 27(1), 28-50.

15. Crotts, J. C. (1996). Crime and tourism in the Americas. Tourism Management, 17(3), 199-202.

16. George, T. (2010). Tourism and crime: Perceptions of safety and security among tourists in Table Mountain National Park, South Africa. Tourism Management, 31(2), 250-259.

17. Holcomb, J. L., & Pizam, A. (2006). Tourism security and safety: From theory to practice. Butterworth-Heinemann.

18. Lisowska, M. (2017). Perception of crime and tourism: A comparative analysis of selected European countries. Tourism Management Perspectives, 22, 26-34.

19. McElroy, J. L. (2006). Crime and tourism in the Caribbean. In M. M. Kutz (Ed.), Tourism and crime: Implications for tourism security in the Caribbean (pp. 127-140). Routledge.

20. Pizam, A. (1999). A comprehensive approach to classifying acts of crime and violence in the tourism industry. In Tourism, crime and international security issues (pp. 65-74). Wiley.

21. Pizam, A., & Mansfeld, Y. (2006). Tourism, crime and international security issues. Wiley.

22. Sönmez, S. F., & Graefe, A. R. (1998). Influence of terrorism risk on foreign tourism decisions. Annals of Tourism Research, 25(1), 112-144.

23. https://1tv.ge/video/taghlituri-sqema-da-motyuebuli-turistebi/

24. https://rustavi2.ge/ka/news/210224

25. https://netgazeti.ge/news/291189/

26. https://www.radiotavisupleba.ge/a/31716174.html

## INTRODUCTION

The tourism industry is highly susceptible to the negative impacts of crime, which can range from damaging a destination's reputation to directly affecting tourists' safety and experiences. Incidents of crime, including theft, fraud, and violent attacks, can lead to a decline in tourist arrivals, loss of revenue, and long-term damage to a destination's image. Additionally, the perception of safety and security is a critical factor influencing tourists' decisions when choosing destinations, making it essential to address the issue of crime in the context of tourism.

## AIM OF THE RESEARCH

The primary aim of this review is to comprehensively analyze the impact of crime on tourism, considering its effects at both macro and micro levels. By synthesizing existing literature, this review aims to identify patterns, trends, and key factors influencing the relationship between crime and tourism. Furthermore, the review seeks to highlight the challenges posed by crime in the tourism industry and propose strategies for stakeholders to address these challenges effectively.

## METHODOLOGY

As a review article, this study utilizes a qualitative research approach, focusing on the synthesis and analysis of existing literature, empirical studies, and case reports related to the impact of crime on tourism. The methodology involves a systematic review of scholarly databases, including but not limited to PubMed, Scopus, and Google Scholar, using keywords such as "crime," "tourism," "impact," and "destination." Additionally, relevant reports


N1 (72) 2024, Vol. 19, Issue 1.

from international organizations, government agencies, and tourism authorities will be consulted to gather comprehensive data on the topic.

The inclusion criteria for the literature review will encompass studies published in peer-reviewed journals, reports from reputable organizations, and academic books or chapters that provide insights into the impact of crime on tourism. The exclusion criteria will involve studies that do not directly address the relationship between crime and tourism or those lacking empirical evidence. The selected literature will be critically analyzed to identify key themes, trends, and gaps in existing research, which will form the basis for the discussion and conclusions of the review article.

The analysis will be structured around key themes such as the economic impact of crime on tourism, the role of media in shaping perceptions of safety, tourists' behavioral responses to crime, and the effectiveness of strategies to mitigate the impact of crime on tourism. By synthesizing the findings from the selected literature, this review aims to provide a comprehensive overview of the current state of knowledge on the topic and offer insights for future research and practical implications for stakeholders in the tourism industry.

## LITERATURE REVIEW

*Macro Level Impact*

Crime at the macro level significantly affects tourist destinations and the countries hosting them. One of the most noticeable impacts is the tarnishing of a destination's image, leading to reduced tourist demand and arrivals. This decline in visitors results in a corresponding decrease in revenue, which can have far-reaching consequences. For example, Egypt suffered a $1 billion loss in 1992 after an attack on international tourists by extremists. Similarly, Los Angeles experienced a substantial drop in tourist income following riots and gang wars. Such incidents highlight the vulnerability of tourist destinations to the negative effects of crime.

The media plays a crucial role in shaping the perception of tourist destinations. Intensive coverage of security incidents can deter potential visitors, creating a negative image that is difficult to reverse. Recovering from such damage requires extensive marketing efforts and may involve price reductions and the development of new products to attract tourists.

*Micro Level Impact*

Crime also affects tourists at a personal level, influencing their behavior and decision-making. Fear of crime can lead individuals to avoid travel altogether or take precautions such as canceling trips or relocating to safer areas. The type of crime and the personal characteristics of tourists, such as age and travel experience, play a significant role in determining the impact of crime on their travel decisions. For instance, violent crimes like assault or robbery have a more pronounced effect on tourists compared to property crimes.

Despite the risks, some tourists are willing to revisit destinations where they have experienced crime. Factors such as the perceived seriousness of the incident and the individual's previous travel experiences can influence this decision. However, the overall impact of crime on tourist behavior underscores the importance of addressing safety concerns in the tourism industry.

*Tourists as Victims*

Tourists are particularly vulnerable to crime due to factors such as carrying large amounts of money and valuables, engaging in risky behaviors, and being unfamiliar with their surroundings. Property-related crimes like theft and burglary are more common, although incidents of violent crimes against tourists also occur. The impact of crime on tourists' experiences can vary, but it often leads to financial losses and psychological trauma.

*Case of Georgia*

Georgia, like many other tourist destinations, has experienced an increase in crimes against tourists. Instances of fraud, robbery, and even fatal attacks have been reported, highlighting the urgent need for measures to ensure the safety and security of visitors.

## THE GLOBAL IMPACT OF TOURISM ON CRIME AND SECURITY

The global economy began to take shape at the close of the 20th century. Its unique characteristic is the global nature of all fundamental economic activities, including management, the creation and consumption of products and services, the transfer of knowledge and technological advancements, and the operation of markets. It goes without saying that tourism could not stay outside of these processes.

Tourism emerged as a major economic sector in the 20th century, and similar patterns have persisted into the 21st; despite global challenges such oil crises, financial market volatility, and armed conflict, the industry is still expanding. At the moment, the tourist sector affects how every continent, nation, and city develops. It has the quickest rate of growth and is predicted to evolve into a significant worldwide sector in the future.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)


A person travels to different countries both domestically and overseas because he wants to learn something new. As a result, the macro and micro environments are impacted by tourism. There are two ways to look at the effects of crime on tourism: the macro and micro levels. The consequences of crime on a tourist destination, the social community, and society at large are referred to as the macro level impact of crime, whereas the impacts of crime on an individual, or on a visitor, are referred to as the micro level impact of crime. (Holcomb and Pizam 2006).

Large-scale crime has an impact on both the nation hosting the tourist attraction and the destination itself. Because of this, "most tourist destinations try to paint a beautiful picture of their areas in order to entice travelers to visit." The most significant and obvious negative impact of crime on a tourist destination is the negative image of the destination, which results in reduced tourist demand and the number of tourist arrivals (Holcomb and Pizam 2006, p. 109). Reducing the number of tourist arrivals has as a consequence, including a fall in revenues. For example, it is estimated that Egypt lost about $1 billion in 1992 after Muslim extremists attacked international tourists, and the same year, Los Angeles lost between 1 and 2 billion $ of tourist income after riots and gang war (Crotts 1996). Alleyne and Boxill (2003) showed that in Jamaica, the in¬crease in crime had a negative impact on tourist arrivals. The drop in tourist arrivals was particularly evident in arrivals of tourists from Europe, which, unlike other Jamaica tour¬ists, mostly from the United States, did not use the all-inclusive resorts that mostly leave foreign tourists without contact with the outside world and also with the crime. More in¬tense contacts with the local community resulted in increased victimisation of European tourists, and consequently, this victimisation influenced their decision to revisit Jamaica.

The degree and duration of illegal and violent activities have different consequences on tourist arrivals, i.e., tourist demand (Pizam 1999). Depending on the type of crime committed, the impact of that crime on demand for travel varies. Minor crimes that happen occasionally won't affect demand for travel, but more serious crimes can cause demand for travel to drop either slightly, significantly, or drastically. The biggest effect is when all tourist trips end, which happens when there is ongoing conflict or terrorist activity. Pizam (1999) classified the duration of the effects of crime or violence on demand for tourism into four categories: short-term (a few weeks), medium-term (two to four months), long-term (more than one tourist season), and indefinite. Experiences from the recent past have demonstrated that destination recovery can happen really fast in the absence of criminal or violent events that have caused demand to fall.

The destination may experience further negative repercussions from the decreased number of tourist arrivals, such as the loss of staff who are vital to the operation of the tourism sector due to lower income, and possibly even lower-quality infrastructure. Similarly, investors will be enticed to place money in other industries or destinations if they perceive insecurity at their current location (Pizam and Mansfeld 2006). There are additional ramifications for the country where the destination is located: fewer taxes are collected as a result of visitor arrivals, in addition to the initial drop in revenue caused by fewer tourists. This creates a dilemma because taxes paid by citizens provide the significant financial and human resources required for public bodies engaged in crime prevention and enforcement. Citizens will therefore be the ones who foot the bill for these expenses (Holcomb and Pizam 2006).

Since "the tourist's first impression of a destination is likely to come from the media in an increasingly media-saturated society," the media has a substantial impact on both the arrival of tourists and the development of a destination's image (Brown 2015, p. 268). The media truly "has the potential to make or break a destination," given that "intensive mass media coverage of security incidents contributes to the decline of tourist visits to affected destinations" (Pizam and Mansfeld 2006, p. 17) (Boxill 2012, p. 28). A certain city or nation may be seen as more dangerous and hazardous as a result of the media's coverage of local, national, and international criminal acts. The 1990s saw a dramatic drop in the number of tourists visiting New Orleans due to incidents involving the use of weapons in the city, which attracted much attention from the American media and helped to establish the city's reputation as unsafe (Dimanche and Lepetic 1999). Some of Mexico's most popular tourist spots suffered greatly as a result of media coverage of the country's drug-related gang violence (Boxill 2012). Aiming to create a positive public opinion in the media, local community, and with potential consumers, changing the negative image is typically costly and time-consuming (Dimanche and Lepetic 1999). These marketing efforts are often coupled with price reductions and the development of new products in an effort to draw in more tourists (Pizam and Mansfeld 2006).

The behavior and attitudes of individuals, such as

tourists, and their decision to visit or return to a destination where criminal episodes occurred demonstrate the impact of crime on a micro level. In the context of tourism, fear of crime can "cause people to remain in their home, curb activities, and even avoid travel altogether," which has a considerable impact on people's behavior (Holcomb and Pizam 2006, p. 106). In the event of an incident, they will make the following decisions: "cancellations of booked trips, avoiding booking trips to affected destinations, or, for those already in the affected destination, moving to a safer place or evacuating the destination and returning home" (Pizam and Mansfeld 2006, p. 7). Acts of terrorism or criminal incidents impact their perception of risk and are evident in their decision to travel or go on vacation.

## CRIME'S INFLUENCE ON TOURIST BEHAVIOR AND DECISIONS

When studying the impact of crime on visitors' behaviour and attitudes, it is important to keep in mind that the impacts vary greatly depending on the types of crime committed and the individual characteristics of the tourists and the perception of risk and crime is not the same for all tourists - it depends on the personal characteristics of tourists, the most significant of which are travel experiences and age (Lisowska 2017). Some types of crime will have a stronger impact on tourists and will affect their decision to visit or revisit a particular destination, while other forms of crime will not have a significant impact on such a decision. Travelers are impacted differently by violent and non-violent crime. Robberies, assaults, rapes, and homicides are among the violent crimes that have a greater detrimental impact on tourists than property crimes, particularly when the stolen commodities have a lower market value (Holcomb and Pizam 2006). In his analysis of Caribbean tourism, McElroy (2006) contends that the fundamental elements of the region's "narco-economy," which include drug addiction, violence, and corruption, pose a threat to the tourism industry's long-term viability. The emergence of the narco-economy has altered the characteristics of crime in the Caribbean since the 1980s, bringing about a notable rise in homicides, a change from property to violent crime, an upsurge in violence related to drug dealer gangs, and the killing of innocent bystanders. McElroy (2006) discovered that a 1% rise in crime rates corresponded to a 0.5 percent decrease in visitor arrivals in the Caribbean. Property crime has less of an impact on travelers. In a study on journey thefts, Holcomb and Pizam (2006) investigated whether the experience of journey theft or learning about theft from friends or family members influenced the subjects' decision to return to the location of the theft in the future. According to this study, there was no difference in the likelihood of returning to the location where the theft happened between people who knew someone who had been the victim of theft while traveling and those who had experienced theft themselves. The study also demonstrated that the decision to go to the location of the theft and the decision to return to the site were not significantly influenced by the perceived seriousness of the theft incidence or the passage of time following the crime. The impact of crime on tourists is contingent upon the individual features of the tourist, in addition to the characteristics of the crime itself. Experience traveling abroad has been revealed to be a key determinant in the travel risk assessment by Sönmez and Graefe (1998). Their research revealed that those with more foreign travel experience perceived less risk and had a more favorable attitude toward traveling abroad. It also revealed that people's desire to travel again is influenced by how safe their previous experiences were. Only education and income were shown to be significant variables in this study, implying that those with higher levels of education and wealth had more positive attitudes toward travel when it comes to demographic parameters like age, gender, education, income, and the number of children living in the family. These findings support the findings of Brunt et al. (2000), which showed that people in higher social classes are less likely than people in lower social classes to perceive crime risk and to be fearful or concerned about crime. George (2010) found that respondents age affected how they perceived safety and crime, and he demonstrated that as respondents ages increased, so did their concern for personal safety. The survey examined 303 tourists' perceptions of risk attitudes, safety, and crime. Examinees under the age of 55 showed this regularity, but those above 55 showed a decline in personal safety concerns. Gender analysis revealed no relationship between the respondent's gender and sense of security; this finding is consistent with his previous research (cf. George 2003). Similar findings were obtained by Boakye (2012), who investigated the impression of crime vulnerability in a sample of 336 tourists in Ghana. Tourists under 30 were deemed most vulnerable, with 58% of respondents believing they were at risk of crime, compared to only 25.3% of respondents over 50 who shared the same

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)


opinion. The more seasoned respondents believe that their prior experiences have made them less susceptible to crime, which helps to explain why they have a lower sense of dread of crime the perception of vulnerability was correlated with gender: 49.7% of women and 37.2% of male respondents, respectively, felt that they were more vulnerable to crime. Mawby (2000) also discovered comparable outcomes with a sample of 514 British respondents. Mawby explains the relatively low concern or fear of crime while on vacation by looking at the characteristics of the respondents to this survey: only 8% of the respondents were manual workers; the majority of respondents were older (the sample average age was 55 years), male (65% of respondents were men), and from higher social classes. The decision to return to the location or suggest it to others is another indication of how crime affects tourists' behavior. Although recent research indicates that victimization of tourists or feelings of insecurity are not always an obstacle for a revisit, it could be expected that tourists who have experienced some form of victimization will not show a willingness to revisit the destination where the crime incident happenedIn the previously cited poll conducted in Ghana by Boakye (2012), 90.2% of the victims of theft stated they would return to the location, and 94.4% indicated they would suggest it to others. According to a Mawby (2000) poll, 56% of victims stated they would visit the tourist site again, while only 14% indicated they would "probably not" or "definitely not." Holcomb and Pizam (2006) similarly found similar results, with just 22.8% of theft victims or those acquainted with the victims stating that they had no plans to return to the location. In a George (2010) study, visitors expressed a high likelihood of returning to Table Mountain National Park, even though they thought it was insecure. Visitors as Victims Travelers are particularly vulnerable to being victims of crime when they are away from their network of family and friends and other social support systems in their native country (Chesney-Lind and Lind 1986). Because of the nature of the tourism industry, it is simpler for visitors to fall victim to crime and for offenders to go unpunished. Several characteristics of the tourist culture include: a high concentration of visitors staying for brief periods of time in a limited geographic area; a high proportion of seasonal workers; unstable relationships among tourists; and high levels of spending on tourism (Barclay et al. 2015). Tourist victimization can be caused by a variety of social, psychological, and situational variables (Carić 1999). The following factors, according to Holcomb and Pizam (2006), raise the likelihood that a tourist will be victimized: - Tourists are "lucrative targets" because they frequently carry larger sums of cash, credit cards, and personal items like easily resold cameras and cell phones (Crotts 1996). Due to their greater riches, tourists might become targets of local criminals, particularly in developing nations (Brunt et al. 2000). - Due to their casual attitude while on vacation, visitors run the risk of being victims because they don't prioritize their own safety and instead expect and seek enjoyment and relaxation (de Albuquerque and McElroy 1999). Sometimes, travelers expect the same level of security in the country they are visiting because they are traveling from high-security home countries, particularly if they have not been informed about the crime rate in the destination (Michalko 2003). This can lead to a careless attitude. Given their propensity for riskier behavior relative to the general population, tourists are particularly vulnerable to becoming victims of crime. De Albuquerque and McElroy (1999, p. 970) argue that some tourists "escape for two weeks and indulge in anti-social and self destructive behavior," which typically involves drug use and prostitution. Travelers occasionally want to try out activities they do not practice at home (Carić 1999). The victimization of tourists is greatly impacted by the unfamiliarity of the surrounding area. Travelers form unique relationships with locals outside of institutionalized tourist facilities like hotels, and their quest for genuine experiences may put them in the path of those who would wish to take advantage of them (Harper 2006). - Because of their clothing, which may differ from that of the locals, tourists are "highly visible targets" (Crotts 1996). Many studies on crimes against tourists (e.g., Jarell and Howsen 1990; Michalko 2003; de Melo et al. 2018) have demonstrated that the majority of crimes against tourists are property-related (car theft, burglary, and theft), with a much smaller number of crimes involving violent elements (assault, rape, and murder). According to police data, Michalko (2003) discovered that 80,000 attacks against foreign visitors occurred in Hungary between 1996 and 2000; given that around 100 million tourists visited the country during this time, one in every 1250 visitors became a victim of crime. Of the attacks listed above, 96.6% involved criminal offenses, the majority of which included pick-pocketing (13.7%), various types of theft (23.1%), and vehicle and burglary theft (50.1%). Harper (2006) also examined the robberies of tourists in New Orleans in

2001 (377 robberies) and 2002 (175 robberies) using actual police data. The victim in the majority of attacks (84%) was a man who was alone himself when the attack occurred. The majority of victims (47%) were in the 25–35 age range. A weapon was utilized in 94% of the attacks, with guns being used in 58% of them. A study on theft while traveling was carried out in the US by Holcomb and Pizam (2006). 215 of the 1017 respondents said they had either been a victim of theft while traveling themselves or knew someone who had. The most frequent locations for thefts were cars (25.1%) and hotels (25.7%). Regarding the foreign visitors who were traveling at the time of the theft, the majority of the thefts happened in Mexico (12.8%), Italy (12.7%), and Canada (10.6%). Using data from the Caribbean, McElroy (2006) discovered that, when it comes to crimes like robbery and theft, international visitors are three times more likely to become victims of property crime than residents of the country. The likelihood of violent crimes like rapes, murders, and attacks happening to members of the domestic population is higher. Brunt & Co. (2000) conducted an analysis of victimization in the UK utilizing a questionnaire on occurrences that occurred over their most recent vacation. Of the 514 survey participants, 18% had experienced some form of crime, with the majority being burglaries, thefts, or attempted thefts. The results of their survey on victimization were found to be significantly more significant than those of the British Crime Survey, indicating that the likelihood of victimization is higher when traveling or on vacation than when living at home. The data collected from this questionnaire was compared with data from the British Crime Survey, a national crime investigation carried out throughout the UK.

### CRIME AGAINST TOURISTS IN GEORGIA

As for Georgia, unfortunately, Georgia is not an exception in this regard, in recent decades, along with the increase in tourists, the number of crimes committed against them has increased. Georgia's law enforcement agencies have been repeatedly contacted by tourists who have become victims of fraud, which is unfortunate in areas in which tourists are more interested, especially when the tourist has gone on vacation and often visits entertainment and food facilities. In this regard, a number of tourists turned to the law enforcement authorities for help, accusing the restaurant of fraud, which was manifested in the demand for inadequate compensation for the services provided to them, charging the tourist in the form of a so-called double menu, which was manifested in inflating the amount that they would have to pay in the end, as opposed to the prices that they should have paid from the menu. selected for food. In one such case, the amount was increased 4 times, in the other case, they asked for 10 times more for the drinks selected from the menu, in contrast to the original menus presented to them. There was a case when the restaurant security followed the tourist to the ATM or the hotel and forced him to bring the overpaid amount. Also, there was more than one case when traveling by car when a tourist asked the taxi driver to take him to Vardzia, and the driver took him to Uplistsikhe and lied to him as if he was in Vardzia and paid for the distance to Vardzia. Information channels also publicized the case of a Chinese tourist who woke up in the restroom of a cafe bar and found that 15,000 dollars had been withdrawn from his card. Unfortunately, there were also cases when the life of a tourist ended fatally. Moreover, if we recall the recent past, we will remember many cases in this regard. The brutal murder of an American husband and wife and a young child by a local resident in one of the regions of Georgia was particularly horrifying. Let's also recall the recent murder of a young Australian woman in the Mtatsminda territory, who had gone for a walk in the Mtatsminda mountain area. create introduction, literature review and conclusion for scientific article.

### CONCLUSION

The impact of crime on tourism is multifaceted, affecting both destinations and individual travelers. At the macro level, crime can damage a destination's reputation and lead to a decline in tourist arrivals and revenue. Media coverage plays a significant role in shaping perceptions of safety and security, making destination recovery a complex and challenging process. At the micro level, tourists' behavior and decisions are influenced by their perceptions of risk and safety. While some are willing to revisit destinations despite experiencing crime, others may be deterred from traveling altogether.

Efforts to address the impact of crime on tourism must consider both preventive measures and crisis management strategies. Collaboration between the tourism industry, law enforcement agencies, and government authorities is essential to ensure the safety of tourists and maintain the industry's growth. By understanding the dynamics of crime and its effects on tourism, stakeholders can work towards creating a safer and more secure environment for travelers worldwide.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

# OBVIOUS AND HIDDEN PRIORITIES OF OPERATIONAL STRATEGY

Copyright © 2024 the Author/s

Peer review method: Double-Blind
Accepted: Yanuary 28, 2024
Published: February 15, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19012024-32



**Emzar Julakidze**
PhD of economics, Professor of the Department of Business administration at Akaki Tsereteli State University

**ABSTRACT**

*The whole secret of a success of company depends on choosing the right operational strategy and aligning it with the corporation. It is right, that successful operational strategy must consist only those steps, which are connected to fulfilling the company's operational systems and provision of infrastructure of producing process, however, when we are talking about the priorities of this strategy, it does not need more clarification, that the main priority of any company is to choose the targeted market wisely. Nevertheless, to ensure high productivity with offering the maximum prices to the costumers, it is important to orientate on the priority, which will create its own indicator in the industry. This is exactly the hidden feature, which generates the privilege on the market. In order to understand how well they acknowledge the essence of company's operational strategy, whether they have a plan, what is the obvious and hidden priority of their success, based on our research, it has been established, that the majority of the managers of small and medium enterprises (64%) has never heard of importance of such hidden source of success; those who pointed the necessity of internal source (36%), in the majority (67%) an obvious inconsistency was revealed between the priority factor of success and it's provident inner sources.*

***Keywords:*** *operational strategy; target market; competitive advantage; indicator of success; hidden priority.*

**REFERENCES:**

1. Grigolashvili G.2017: The management of operations: planning, operational strategy, competitiveness, Tb. SEU, pg.284. searched 30.10.23 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/238601/4/OperationsManagement.pdf
2. Julakidze E. 2021: management of operations, Kutaisi, ATSU, pg.320
3. Julakidze E. 2023: Strategical management, Kutaisi, ATSU, pg.320

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)





# ოპერაციული სტრატეგიის აშკარა და ფარული პრიორიტეტები

**ემზარ ჯულაყიძე**
ეკონომიკის აკად. დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის პროფესორი

**აბსტრაქტი**

*კომპანიის წარმატების მთელი საიდუმლო ოპერაციული სტრატეგიის სწორ არჩევანზე და ამ სტრატეგიის კომპანიის მისიასთან შესაბამისობაზე გადის. მართალია, წარმატებული ოპერაციული სტრატეგია უნდა მოიცავდეს მხოლოდ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ოპერაციული სისტემების სრულყოფასთან და საწარმოო პროცესის ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფასთან, თუმცა როდესაც ამ სტრატეგიის პრიორიტეტზე ვსაუბრობთ, ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმის დასაბუთებას, რომ ნებისმიერი კომპანიის უმთავრესი პრიოროტეტი მიზნობრივი ბაზრის სწორი შერჩევაა. მაგრამ მომხმარებლისთვის მაქსიმალური ფასეულობის შეთავაზებასთან ერთად მაღალი მწარმოებლურობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ისეთ პრიორიტეტზეც ორიენტირება, რომელიც წარმატების საკუთარ ინდიკატორს შეუქმნის მას ინდუსტრიაში. სწორედ, ეს არის კომპანიის ის ფარული მახასიათებელი, რომელიც პრივილეგირებულ მდგომარეობას უქმნის მას ბაზარზე. იმ მიზნით, თუ რამდენად ერკვევიან კომპანიის ოპერაციული სტრატეგიის არსში, რამდენად გააჩნიათ ასეთი გეგმა, რა არის მათი წარმატების აშკარა და ფარული პრიორიტეტი, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებიდან დადგინდა, რომ მცირე და საშუალო საწარმოთა მენეჯერების უმეტესობას (64%) არც კი სმენია ასეთი, წარმატების ფარული წყაროს არსებობის აუცილებლობის შესახებ; ხოლო, მათგან ვინც მიუთითა წარმატების შინაგანი წყაროს აუცილებლობის შესახებ (36%), უმეტესობაში (67%) გამოიკვეთა აშკარა შეუსაბამობა წარმატების პრიორიტეტულ ფაქტორსა და მის უზრუნველმყოფელ შინაგან წყაროებს შორის.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ოპერაციული სტრატეგია; მიზნობრივი ბაზარი; კონკურენტული უპირატესობა; წარმატების ინდიკატორი; ფარული პრიორიტეტი.*

## შესავალი

დღეს უკვე, არავინ უარყოფს, რომ კომპანიის წარმატების მთელი საიდუმლო ოპერაციული სტრატეგიის სწორ არჩევანზე და ამ სტრატეგიის კომპანიის მისიასთან შესაბამისობაზე გადის. კერძოდ, თუ მისია არის კომპანიის მიმართ საზოგადოების დაკვეთა, ანუ ის, რასაც კომპანია აკეთებს მომხმარებლებისათვის, ოპერაციული სტრატეგიის დანიშნულებაა გამოარჩიოს მოცემული კომპანია ერთნაირი მისიის მქონე კონკურენტებისაგან. შესაბამისად, წარმატებული იქნება ისეთი ოპერაციული სტრატეგია, რომელიც ერთის მხრივ, შექმნის უნიკალურ ფასეულობას და მეორის მხრივ, ამ ფასეული პროდუქციის (მომსახურების) რეალიზებით მიაღწევს სასურველ შედეგს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარმატებული ოპერაციული სტრატეგია კომპანიის გრძლევადიანი განვითარების ხერხემალს წარმოადგენს. საქმე იმაშია, რომ თუ ფასეულობა - ეს არის პროდუქციის (მომსახურების) ხარისხი, თვისებები და ყველა ის მახასიათებელი, რომლისთვისაც კლიენტი მზადაა განსაზღვრული ოდენობის ფული გადაიხადოს, გამოდის, რომ ოპერაციულ სტრატეგიაზე მოდის როგორც მომხმარებელთა მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილების, ასევე კომპანიის მწარმოებლურობის ზრდის მთელი პასუხისმგებლობა. შესაბამისად, ოპერაციული სტრატეგია, არა თუ ვერ აიცილებს კომპანიის განვითარების ზოგად პოლიტიკაზე ზეგავლენას, არამედ მასში ჩადებული რესურსთა გამოყენების გეგმები, ფაქტობრივად, მიმართულია კომპანიის გრძელვადიანი განვითარების მხარდაჭერისაკენ. როგორც პროფესორი გ. გრიგალაშვილი აღნიშნავს - „ოპერაციული სტრატეგია გამოხატავს განვითარების საერთო პოლიტიკას

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



და რესურსთა გამოყენების ისეთ გეგმებს, რომელიც კომპანიის გრძელვადიანი კონკურენტული სტრატეგიის მაქსიმალური მხარდაჭერისაკენაა მიმართული" (გრიგოლაშვილი გ. 2017: 27).

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის ოპერაციულ სტრატეგიას თამამად შეიძლება ეწოდოს - ოპერაციული სისტემებისა და პროცესების მართვის ისეთი კომპლექსური გეგმა, რომელიც მოწოდებულია მომხმარებელთა მოზიდვისა და მათი როგორც მიმდინარე, ასევე უახლესი პერიოდის მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილებისკენ, კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისკენ და რა თქმა უნდა, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისაკენ. ამ თვალსაზრისით, ოპერაციული სტრატეგია კომპანიის განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს მდგენელს უნდა წარმოადგენდეს და მხოლოდ მასთან ფუნქციურ კავშირში უნდა განისაზღვროს ყველა სხვა სახის საქმიანობის სტრატეგია, რადგან მხოლოდ ოპერაციული სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა დაკმაყოფილდეს კლიენტთა მოთხოვნილებები, როგორ გარდაიქმნას რესურსები მოთხოვნად პროდუქციად (მომსახურებად) და როგორ გაიზარდოს კომპანიის მწარმოებლურობა.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ყველა წარმატებული ოპერაციული სტრატეგიის მამოძრავებელი იმპულსი სწორად წარმართული მარკეტინგული კვლევების შედეგია. მეტიც, თანამედროვე ბიზნეს-პრაქტიკაში შეუძლებელია თქმა იმისა, თუ სად მთავრდება მარკეტინგი და სად იწყება მენეჯმენტი. თუმცა, ჩვენი აზრით, თუ მარკეტინგის სტრატეგია დაფუძნებულია მომხმარებლის ახლადგამოვლენილ და შესაბამისად, ჯერ კიდევ დაუკმაყოფილებელ ინტერესზე, ოპერაციული სტრატეგია, უფრო მეტად, სამომხმარებლო ინტერესის დაკმაყოფილებაზე ორიენტირებაა (ჯულაყიძე ე. 2021: 76), რაც თითქოს განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან. თუმცა, მენეჯმენტის სტრატეგიული ხედვიდან გამომდინარე, კიდევ უფრო უახლოვდებიან, ავსებენ და ამდიდრებენ ერთმანეთს.

ყველა სტრატეგიას შესაბამისი პრიორიტეტების დადგენა სჭირდება. როგორც ცნობილია, პრიორიტეტის განსაზღვრა გადაწყვეტილების მიღების თანმდევი პროცესია. ზოგადად, წარმატებული ოპერაციული სტრატეგია უნდა მოიცავდეს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ოპერაციული სისტემების სრულყოფასთან და საწარმოო პროცესის ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფასთან. ანუ, იგი უნდა მოიცავდეს: საუკეთესო ტექნოლოგიის შერჩევის სისტემას, ოპტიმალური მარაგების გათვლას, საწარმოო სიმძლავრეების მაქსიმალურ ათვისებას, რაციონალური საწარმოო გრაფიკების შედგენას, უმცირესი საწარმოო ციკლის მიღწევას და ა.შ., რომელიც სრულად პასუხობს კომპანიის მთავარ ოპერაციულ ფუნქციას და ამით, მისი განვითარების სტრატეგიას. თუმცა, როდესაც ოპერაციული სტრატეგიის პრიორიტეტზე ვსაუბრობთ, ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმის დასაბუთებას, რომ ნებისმიერი კომპანიის უმთავრესი პრიორროტეტი მიზნობრივი ბაზრის სწორი შერჩევაა. მაგრამ მომხმარებლისთვის მაქსიმალური ფასეულობის შეთავაზებასთან ერთად მაღალი მწარმოებლურობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ისეთ პრიორიტეტზეც ორიენტირება, რომელიც წარმატების საკუთარ ინდიკატორს შეუქმნის მას ინდუსტრიაში. ეს არის კომპანიის ის საიდუმლო მახასიათებელი, რომელიც მას კონკურენტ-კომპანიებთან მიმართებაში პრივილეგირებულ მდგომარეობას უქმნის ბაზარზე (ჯულაყიძე 2023: 152).

სანამ ამა თუ იმ კომპანიის წარმატების საკუთარ ინდიკატორზე ვისაუბრებთ, აუცილებელია ვიცოდეთ, რომ ყველა ინდუსტრიას თავისი წარმატების ინდიკატორი გააჩნია. ერთისთვის იგი პროდუქციის დაბალ თვითღირებულებაზე ორიენტირებული ოპერაციული სისტემაა; მეორისათვის - მაღალკვალიფიციური საინჟინრო კადრები; მესამისათვის - უახლესი, სუპერ-თანამედროვე საწარმოო სიმძლავრეები; მეოთხისათვის - კარგი სადისტრიბუციო არხები; მეხუთესათვის - გამოცდილება; მეექვსისათვის - კომპანიის მაღალი კომპეტენცია; მეშვიდესათვის - ოპერაციული სისტემების მოქნილობა და ა. შ. შესაბამისად, დღეს მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა განსაზღვროს - რა უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ინდუსტრიაში წარმატების ინდიკატორის საუკეთესო მაჩვენებელი გააჩნდეს მის კომპანიას.

არა თუ პრაქტიკულად, თეორიულადაც შეუძლებელია, რომ კომპანიამ შეძლოს წარმატების მიღწევა ერთდროულად ყველა პრიორიტეტში. მაგ., როცა კომპანია აქცენტს აკეთებს ნაკეთობის დამზადების ტექნოლოგიური ციკლის შემცირებაზე, როგორც წარმატების ერთ-ერთ გამსაზღვრელ პრიორიტეტზე, მისი მოქმედება წარმართულია დანერგოს რაც შეიძლება მეტი ავტომატიზირებული ხაზები, რაც მკვთრად ამცირებს ოპერაციული სისტემის მოქნილობის უზრუნველყოფას, როგორც წარმატების პრიორიტეტს. თუმცა, ხარისხის ამაღლების

უწყვეტობა, როგორც ოპერაციული სტრატეგიის პრიორიტეტი, რისთვისაც შემოაქვს ხარისხი მისი საქმიანობის ყველა სფეროში, იქნება ეს პროდუქცია, საწარმოო პროცესები თუ პერსონალის კვალიფიკაცია, იმავდროულად არის დროისა და დანახარჯების შემცირება და შეიძლება ითქვას, კომპანიის მოქნილობის ამაღლებაც კი.

იმ მიზნით, თუ რამდენად ერკვევიან კომპანიის განვითარებისა და ოპერაციული სტრატეგიის არსში, რამდენად გააჩნიათ ასეთი გეგმები, რა არის მათი ფუნქციონირების მთავარი პრიორიტეტი და რა არის ის საიდუმლო ფაქტორი (ფაქტორები), რომელიც მის წარმატებას განსაზღვრავს, ჩვენს მიერ ჩატარდა ანკეტური გამოკითხვა მცირე და საშუალო საწარმოთა მენეჯერებში, მათ მმართველობაში არსებული ბიზნესის წარმატებასა და პერსპექტივებზე. გამოკითხული იყო 200-ზე მეტი რესპოდენტი (ქ. ქუთაისსა და იმერეთის მხარეში). კერძოდ, კითხვებზე - იციით თუ არა რა იგულისხმება სტრატეგიული განვითარების გეგმაში და თუ გსმენიათ ოპერაციული სტრატეგიის შესახებ? აღმოჩნდა, რომ მენეჯერთა მხოლოდ 35%-მა იცის თუ რას ნიშნავს კომპანიის სტრატეგიული განვითარების გეგმა და რას გულისხმობენ ოპერაციულ სტრატეგიაში; მენეჯერთა 49%-მა იცის რას ნიშნავს სტრატეგიული განვითარება, თუმცა წარმოდგენა არ აქვს ოპერაციული სტრატეგიის მნიშვნელობაზე; ხოლო 16%-ს კი არც სტრატეგიული განვითარების გეგმაზე აქვს წარმოდგენა და მით უფრო კომპანიის ოპერაციულ სტრატეგიაზე.

კითხვას - „რატომ უნდა შეიძინოს მომხმარებელმა თქვენგან პროდუქცია (მომსახურება) და არა კონკურენტისგან, ანუ რითი სჯობნი კონკურენტს"? ახლდა 15 შესაძლო პასუხები. მათგან პრიორიტეტული აღმოჩნდა „უკეთესი მომსახურების სისტემა" (37%). დანარჩენი პრიორიტეტები კი ასე განლაგდა: „წარმოებული პროდუქციის (გაწეული მომსახურების) მაღალი ხარისხი და ინოვაციურობა" (22%); პროდუქციის (მომსახურების) შედარებით დაბალი ფასი" (20%); „მომსახურების სისწრაფე"(12%); ყველა სხვა პრიორიტეტს კი ერგო 9%.

ყველაზე დამაბნეველი აღმოჩნდა კითხვა - რა განაპირობებს თქვენს მიერ დასახელებულ კონკურენტულ უპირატესობას, ანუ გაქვთ თუ არა წარმატების თქვენეული მიდგომა (ფაქტორი), რომელიც განსაზღვრავს აღნიშნულ უპირატესობას? საქმე იმაშია, რომ გამოკითხულთა უდიდესმა უმრავლესობამ (64%) ვერც კი დაასახელა ასეთი წყარო; ხოლო, მათგან ვინც მიუთითა წარმატების შინაგან წყაროზე (36%), უმეტესობაში (67%-ში, ანუ გამოკითხულთა 24%-ში) გამოიკვეთა აშკარა შეუსაბამობა წარმატების პრიორიტეტულ ფაქტორსა და მის უზრუნველმყოფელ შინაგან ფაქტორს შორის; შედარებით დაცულია შესაბამისობა გამოკითხულთა მხოლოდ 12%-ში.

### დასკვნა

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ რომ უმრავლეს ეროვნულ კომპანიაში საერთოდ არ არსებობს განვითარების მკაფიო სტრატეგია და მით უფრო, მისი უმნიშვნელოვანესი მდგენელი - ოპერაციული სტრატეგია. ხოლო იქ, სადაც თითქოს არსებობს განვითარების გარკვეული გეგმა, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ კომპანიის მთავარ ოპერაციულ ფუნქციას და საერთოდ, ოპერაციულ სტრატეგიას. კიდევ უფრო უარესი ისაა, რომ არც კი ცდილობენ მასში სიღმისეულ გარკვევას.

საერთოდ, ინდუსტრიაში წარმატების ინდიკატორის ამოცნობა შესაძლებელია ძლიერ კონკურენტზე დაკვირვებით. კერძოდ, რა განაპირობებს მის უკეთეს პოზიციას ბაზარზე? სწორედ, ამ კითხვაზე პასუხი გვაძლევს ინფორმაციას წარმატების ინდიკატორის შესახებ. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არც წარმატების ინდიკატორია მუდმივი. ანუ, არ არის გამორიცხული, რომ ინდუსტრიის ცვლილებასთან ერთად შეიცვალოს მასში წარმატების ინდიკატორიც.

**შენიშვნა:** ბატონ ემზარს სტატია გამოგზავნილი ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მის გამოსვლას ვერ მოესწრო.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



# THE ROLE OF STRATEGIC MANAGEMENT IN THE PROCUREMENT PROCESS

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: January 28, 2024
Published: February 15, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19012024-36



**Tinatin Medzmariashvili**
PHD Degree in Business Administration,
Georgian National University SEU Invited Lecturer
Orcid ID: https://orcid.org/ 0009-0007-7090-3087
E-mail: tinatinmedzmariashvili@yahoo.com

**ABSTRACT**

*,The modern era is characterized by a rapid pace of change. Therefore, it is important for all types of organizations not only to respond to changes, but also to anticipate them. At this time, strategic management acts as the main tool, which involves the development and implementation of plans that help the organization achieve its desired goals and objectives. This process includes both strategy formulation and organizational structure and resource allocation planning, as well as change initiatives and resource control. For operational activities, any enterprise needs raw materials, related products, and various types of services provided by other organizations. At the same time, business constantly needs to develop, acquire the necessary goods/services at lower costs and of higher quality. Therefore, special importance is attached to strategic management when making purchases.*

***Keywords:*** *Strategic management, Procurement, Procurement management, Procurement plan*

**REFERENCES:**

1.E. Chokheli. Strategic management, second edition, Tbilisi, Georgia, 2013;

2. Strategic Management: Concepts and Contexts, Fred R. David, Forrest R. David, 15th edition, TSU Publishing, 2017;

3. Procurement and supply chain management, Kenneth Lysons, Brian Farrington (Ninth Edition), 2016;

4. Strategic Procurement in Supply Chain Management: 7 New Expectation Skills for Effective Procurement, Adisak Suvittawat, International Journal of Applied Business and Economic Research March 2017;

5. The Strategic Procurement Practice Guide, Know-how, Tools and Techniques for Global Buyers, Ulrich Weigel • Marco Ruecker, Springer, 2017;

6. PUBLIC PROCUREMENT METHODS, Identification and Selection, Jorge A. Lynch T., 2019;

7. Milton Friedman, in a Fox News interview in May 2004;

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



# სტრატეგიული მენეჯმენტის როლი შესყიდვების პროცესში

**თინათინ მეძმარიაშვილი**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს მოწვეული ლექტორი
Orcid ID: https://orcid.org/ 0009-0007-7090-3087
ელ.ფოსტა: tinatinmedzmariashvili@yahoo.com

**აბსტრაქტი**

*თანამედროვე ეპოქა ცვლილებების სწაფი ტემპით ხასიათება. შესაბამისად, ყველა სახის ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცვლილებაზე რეაგირება, არამედ მისი წინასწარ განჭვრეტა. ამ დროს მთავარ ინსტურემენტად სტრატეგიული მენეჯმენტი გვევლინება, რომელიც გულისხმობს გეგმების შემუშავებას და განხორციელებას, რათა დაეხმაროს ორგანიზაციას სასურველი მიზნების და ამოცანების მიღწევაში. პროცესი მოიცავს, როგორც სტრატეგიის ფორმულირებას და ორგანიზაციული სტურუქტურისა და რესურსების განაწილების დაგეგმვას, არამედ ცვლილებების ინიციატივებსა და რესურსების კონტროლს. ნებისმიერი კომპანია საოპერაციო საქმიანობისათვის საჭიროებს ნედლეულს, მასალებს, მაკომპლექტებელ საქონელს, სხვადასხვა ტიპის მომსახურებას, რომელსაც სხვა ორგანიზაციები აწვდიან. ამადროულად, ბიზნესს მუდმივად ესაჭიროება განვითარება, საჭირო საქონლის/მომსახურების შეყიდვა დაბალი დანახარჯებით და უკეთესი ხარისხით. შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტრატეგიულ მენეჯმენტს შესყიდვების განხორციელებისას.*

***საკვანძო სიტყვები:*** *სტრატეგიული მენეჯმენტი, შესყიდვები, შესყიდვების მართვა, შესყიდვების გეგმა.*

## შესავალი

სტრატეგიული დაგეგმვა 1950-იანებში წარმოიშვა და 1960-იანი წლების შეუახანებიდან 1970 წლების შუახანებამდე იყო პოპულარული. ამ წლების განმავლობაში სტრატეგიული დაგეგმვის მიმართ არსებობდა ღრმა რწმენა, რომ ის ყველა პრობლემის გადაჭრის გასაღებს წარმოადგენდა. აღნიშნულ წლებში მრავალი ამერიკული კორპორაცია შეპყრობილი იყო სტრატეგიული დაგეგმვით, ხოლო 1980-იანი წლების განმავლობაში მათ უარი თქვეს სტრატეგიული დაგეგმვის პრაქტიკაზე, რადგან არ მოიტანეს სასურველი მაღალი შემოსავლები. 1990-იანმა წლებმა კი გამოაცოცხლა დამოკიდებულება სტრატეგიული დაგეგმვის მიმართ და დღემდე ფართოდ იყენებენ ბიზნეს სამყაროში (2, 41). აღსანიშნავია, რომ სწორედ 1990-იანი წლებიდან სტრატეგიულმა მენეჯმენტმა ახლანდელი სახე მიიღო და ის ძირითადად მოქნილ, ექსტრემალურ გადაწყვეტილებებს დაეფუძნა. მე-20 საუკუნის 70-იანი წლებისთვის დასრულდა ბიზნესის განვითარების ყველაზე სახარბიელო ეპოქა და ბაზარზე იდილიურ მდგომარეობაში მყოფი, საკუთარი ნიშის მქონე კომპანიები მკაცრი კონკურენციის პირობებში აღმოჩნდნენ. დასრულდა პერიოდი, როდესაც გარე გარემოში მიმდინარე მდორე და იოლად საპროგნოზო ცვლილებები საწარმოებს მარტივად ადაპტირების საშუალებას აძლევდა. სწორედ ამ მდგომარეობამ დღის წესრიგში დააყენა მენეჯმენტის ახალი მეთოდების გამოყენების აუცილებლობა.

## ძირითადი ტექსტი

აღსანიშნავია, რომ კორპორატიული სტრატეგია იქმნება უმაღლესი დონის ხელმძღვანელების მიერ. ისინი იღებენ პასუხისმგებლობას განცხადებებზე და რეკომენდაციებზე, რომლების შედის მართვის უფრო დაბალი რგოლიდან. ფუნქციური სტრატეგია გამოხატავს ბიზნესის სფეროს შიგნით ცალკეული ქვეგანყოფილების ან ძირითადი ფუნქციური მიმართულების (წარმოება, ფინანსები, კადრები, მარკეტინგი) მართვის გეგმას. კორპორაციას აუცილებელია ჰქონდეს იმდენი ფუნქციური სტრატეგია, საქმიანობის რამდენი ძირითადი მიმართულებაც გააჩნია (1, 39-41). ნებისმიერი სახის კომპანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვედანაყოფს წარმოადგენს შესყიდვები. შესყიდვების სტრატეგია არის პროცესი, რომელსაც ბიზნესი იყენებს მოთხოვნის შესაბამისი, ხარისხიანი და კონკურენტფასიანი საქონლის ან მომსახურების შესაძენად. ამასთან, შესყიდვების პროცესი უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის ფართო მიზნებს და ამცირებდეს მიწოდების ჯაჭვის რისკს. სტრატეგიული შესყიდვები არის გრძელვადიანი და მასშტაბური პროცესი, რომელიც მოითხოვს კომპანიის ყველა განყოფილების ჩართულულობას. გარდა ამისა, შესყიდვების პროცესი მოიცავს ისეთი ტიპის აქტივობებს, როგორიცაა ბიუჯეტის მართვა და მიმწოდებლების კვლევა, იდენტიფიცირება და შერჩევა.

შესყიდვების ისტორია კი 1850 წლით თარიღდება. არსებობს მტკიცებულებები, რომ შესყიდვების

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)


ფუნქციას მანამდეც მიექცა ყურადღება. კერძოდ, ჩარლზ ბაბეჯის წიგნი მანქანებისა და მწარმოებლების ეკონომიკაზე გამოქვეყნებულია 1832 წელს, სადაც აღნიშნულია შესყიდვის ფუნქციის მნიშვნელობაზე. ბაბეჯი მიუთითებს „მასალების ადამიანზე“, რომელიც პასუხისმგებელია სხვადასხვა ფუნქციაზე, რომელიც დაკავშირებულია მაღაროების ექსპლუატაციისას საჭირო მასალების შესყიდვასა და მიწოდებაზე (3, 9).

სტრატეგიული შესყიდვების მიზანს წარმოდგენს კომპანიის საოპერაციო რისკების შემცირება. ამასთან, მნიშვნელოვანია ფასისა და ხარისხის საუკეთესო კომბინაცია კომპანიის მსყიდველუნარიანობის გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს შესყიდვების კვალიფიციური გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც განსაზღვრავს ბიზნესის მიმართულებას არსებული შესყიდვების პროცესის მონაცემების გამოყენებით, იმისთვის, რომ განახორციელოს სამომავლო გეგმები. სტრატეგიული შესყიდვების სპეციალისტები მჭიდროდ თანამშრომლობენ ორგანიზაციის სხვა ქვედანაყოფებთან იმისათვის რომ ყველა სტრუქტურული ერთეულის საჭიროებები დროულად დაკმაყოფილდეს.

შესყიდვები წარმოადგენს ორგანიზაციის ხარჯების ძირითად ნაწილს, შესაბამისად შესყიდვების სპეციალისტები მნიშვნელოვანია ორგანიზაციებისთვის. შესყიდვების სპეციალისტები მუშაობენ არამხოლოდ შესყიდვების განხორციელებაზე, არამედ ასევე პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსებზე, რადგან შესყიდვების პროცესი მოიცავს ორგანიზაციის მოგებასა და ზარალსაც (4, 82). თანამედროვე ბიზნეს გარემოში შეუქცევადი ცვლილებების გათვალისწინებით შესყიდვების თანამშრომლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მიმწოდებლებს შორის კონკურენციას, რომელიც ხშირ შემთხვევაში არსებითად ცვლის არსებულ სურათს.

სტრატეგიული შესყიდვების მთავარი მიზანი, როგორც წესი არის ეფექტურობა, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი მთავარი საკითხი ნებისმიერი ბიზნესის შესყიდვების გუნდისათვის. სხვა მიზნებს წარმოადგენს:

- პარტნიორობა მიმწოდებლებთან, რომლებიც კომპანიის ბიზნეს მიზნებს შეესაბამება;
- უმაღლესი ხარისხის პროდუქციის მოძიება;
- მიმწოდებლებთან გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარება;
- მიწოდების ჯაჭვის რისკის მინიმიზაცია სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილას რისკის შეფასებით;
- მიმწოდებლის ბაზის შემცირება მასშტაბის ეკონომიით სარგებლობისათვის;

შეიძლება ითქვას, რომ შესყიდვები სასიცოცლო ბიზნეს ფუნქციაა. იმ შემთხვევაში როდესაც კომპანია ეფექტურად მართავს შესყიდვებს, ეს ეხმარება ბიზნესს მომგებიანობის გაზრდაში. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება სტრატეგიულ მენეჯმენტს შესყიდვების მიმართულებით. შესყიდვის მნიშვნელოვან ეტაპს მიწოდების ჯაჭვის მართვა წარმოადგენს და ეხმარება კომპანიას იპოვონ სანდო მიმწოდებლები, რომლებიც მიაწვდიან კონკურენტუნარიან მოთხოვნის შესაბამის საქონელს და მომსახურებას. ეს ყოველივე მნიშვნელოვანია ნებისმიერი შესყიდვისას, არ აქვს მნიშვნელობა შესყიდვის ობიექტს მარკეტინგური სერვისები, საოფისე მარაგი თუ წარმოებისთვის საჭირო ნედლეული წარმოადგენს.

შესყიდვები შეიძლება დაიყოს შემდეგ მიმართულებებად: პირდაპირი და არაპირდაპირი შესყიდვები. ეს დამოკიდებულია შესყიდვის ობიექტს როგორ გამოიყენებს კომპანია. ასევე, შეიძლება დაიყოს შესყიდვის ობიექტის სახეობის მიხედვით საქონლად და მომსახურებად. შესყიდვების პროცესი განსხვავდება კომპანიის სტრუქტურისა და საჭიროებების მიხედვით, მაგრამ შეგვიძლია გამოვყოთ რვა ძირითადი საფეხური:

1. **შესყიდვის ობიექტის განსაზღვრა:** პირველ რიგში უნდა განისაზღვროს საჭირო საქონლისა და მომსახურების მოთხოვნა და მათი ტექნიკური პარამეტრები. შესყიდვის ობიექტი შეიძლება იყოს ახალი, რომელიც კომპანიას მანამდე არ შეუძენია ან არსებული საქონლის მარაგის განახლება, მომსახურების გაგრძელება. ამ ეტაპზე სასურველია შესყიდვის განყოფილებამ მიმართოს ყველა სტრუქტურულ ერთეულს საჭიროებების გასარკვევად.

2. **შესყიდვის მოთხოვნის წარდგენა:** შესაბამისი სტრუქტურული ერთეული განსაზღვავს თავის საჭიროებებს და განსაზღვრავს შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციებს, როგორიცაა მიწოდების ვადა, რაოდენობა, მოცულობა, ტექნიკური მახასიათებლები და სხვა. ამ ეტაპზე საჭიროა უმაღლესმა რგოლმა დაადასტუროს შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.

3. **მიმწოდებლების შერჩევა და შეფასება:** განსაზღვრული მოთხოვნების სიით ხდება პოტენციური მიმწოდებლის მოძიება და ტარდება ბაზრის კვლევა. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია არამხოლოდ შესყიდვის ობიექტის შემოთავაზებული ღირებულება, არამედ კომპანიის მსგავსი გამოცდილება, რეპუტაცია, ხარისხი, საიმედოობა და დროული მიწოდება.

4. **მოლაპარაკება ფასზე და პირობებზე:** საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით საჭიროა მინიმუმ სამი შეთავაზების მიღება. ამის შემდგომ საჭიროა გადაწყვეტილების მიღებამდე თითეული შეთავაზების განხილვა და საჭიროების შემთხვევაში წერილობითი დადასტურება.

5. **შესყიდვის შეკვეთის შექმნა:** საჭიროა მიმწოდებელს გაეგზავნოს კომპანიის მოთხოვნების გათვალისწინებით დეტალურად განსაზღვრული შეკვეთა.

6. **შესყიდვის ობიექტის მიღება და შემოწმება:** მნიშვნელოვანია მიღება-ჩაბარების ეტაპზე ყურადღება მიექცეს განსაზღვრულ მოთხოვნებს და შესყიდვების ობიექტის მასთან შესაბამისობის საკითხს. ამასთან, გასათვალისწინებელია რომ ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ან აღემატებოდეს მოლოდინს.

7. **ანგარიშსწორება:** შესყიდვის ობიექტის ღირებულების გადახდა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ან/და ინვოისის ან/და მიღება-ჩაბარების აქტის შედეგად. პროცესის სტანდარტიზაცია ეხმარება კომპანიას დროულად მოახდინოს ანგარიშწორება.

8. **ჩანაწერების წარმოება:** მნიშვნელოვანია შესყიდვის განხოციელების ეტაპზე არსებული ყველა ინფორმაცია სისტემატიზირებული იყოს და კეთდებოდეს შესაბამისი ჩანაწერები. ამით კომპანია თავიდან აიცილებს ნებისმიერი სახის გაუგებრობას, ამასთან, მსგავსი შესყიდვის განხორციელებისას იხელმძღვანელებს უკვე არსებული პრაქტიკით.

ეს რვა საფეხური ერთობლიობაში ქმნის სრულყოფილ შესყიდვების პროცესს, რომელიც მნიშვნელოვანია ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციისთვის.

სტრატეგიის დაგეგმვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ფუნდამენტური პრინციპები და ძირითადად მოიცავს გრძელვადიან პერიოდს (3-5 წლის განმავლობაში), თუმცა მათი მოქმედების ვადა ამ პერიოდში სულაც არ არის მუდმივი. სტრატეგიებს ხშირად აქვთ გაურკვევლობის მაღალი ხარისხი მათი პროგნოზირების ბუნების გამო. ბაზარი შეიძლება იმაზე სწრაფად განვითარდეს სხვა მიმართულებით ვიდრე მოსალოდნელი იყო სტრატეგიის შემუშავების პროცესში. ამიტომაც, შესყიდვების სტრატეგიები მოქნილი და შემოწმებული უნდა იყოს ბაზრის პირობების ცვალებადობის გათვალისწინებით. ამასთან, საჭიროა განხორციელდეს რეგულარული ინტერვალებით და ადაპტირებული იყოს ბაზრის შესაძლებლობებზე. სტრატეგიები და მისი ცვლილებები ყოველთვის უნდა იყოს დოკუმენტირებული. საჭიროა მისი მუდმივი მიმოხილვა და შედარება არსებულ რეალობასთან. სტრატეგიული განხილვის კიდევ ერთი საკითხია თუ როგორ უნდა მოერგოს დეტალების დონეს სტრატეგია შესასყიდი პროდუქტის სირთულესა და პრიორიტეტთან დაკავშირებით. რაც უფრო ფართოა შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ჯგუფი მით უფრო მნიშნელოვანია კომპანიისთვის. მიუხედავად ამისა, სტრატეგია შეიძლება ასევე მოიცავდეს ვრცელ არაგანმეორებად შესყიდვებს, როგორიცაა მანქანები ან ახალი ბიზნეს ობიექტები (5, 11). შესყიდვის პროცედურის განხორციელებისას არსებობს ოთხი ტიპის მოთხოვნა, რომელსაც ითვალისწინებს კომპანია მიმწოდებლის შერჩევისას:

1. ხარისხზე და ღირებულებაზე დაფუძნებული შერჩევა;
2. ხარისხზე დაფუძნებული შერჩევა;
3. ფიქსირებული ბიუჯეტის შერჩევა;
4. ყველაზე დაბალი ფასის შერჩევა. (6, 7)

გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ფულის ხარჯვის ოთხი გზა. კერძოდ, ამერიკელი ეკონომისტი და ნობელის პრემიის ლაურეატი მილტონ ფრიდმანი განასხვავებს ფულის ხარჯვის ოთხ გზას:

1. როდესაც ხარჯავ საკუთარ ფულს საკუთარ თავზე;
2. როდესაც ხარჯავ საკუთარ ფულს სხვაზე;
3. როდესაც ხარჯავ სხვის ფულს საკუთარ თავზე;
4. როდესაც ხარჯავ სხვის ფულს სხვაზე. (7, 1)

როდესაც საკუთარ ფულს საკუთარ თავს ახარჯავ, ხარჯვის დროს ძალიან ფრთხულობ და აუცილებლად ცდილობ მაქსიმალური შედეგი მიიღო. მაშინ როდესაც საკუთარ ფულს ხარჯავ სხვაზე ფრთხილობ, რომ ძალიან ბევრი არ დახარჯო და საბოლოო შედეგზე ბევრს არ ზრუნავ. საკუთარი ფულის ნაცვლად სხვისი ფულის ხარჯვისას მდგომარეობა განსხვავებულია. ასეთ დროს, როდესაც სხვის ფულს საკუთარ თავზე ხარჯავთ აქცენტი კეთდება მაღალ ხარისხზე, მაგრამ არ ზრუნავთ ეკონომიაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც სხვის ფულს სხვაზე ხარჯავთ სიფრთხილე მინიმუმამდეა დაყვანილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესყიდვები ფულის ხარჯვის კრიტიკულ მიმართულებას წარმოდგენს, რა დროსაც სხვისი ფული სხვისთვის იხარჯება და შესაბამისად ხშირ შეთხვევაში აქცენტი არც ეკონომიაზე კეთდება და არც ხარისხზე. აქედან გამომდინარე განსაკუთარებით მნიშვნელოვანია შესყიდვების სპეციალისტების ცნობიერების ამაღლების გარდა კომპანიას გააჩნდეს შესყიდვების სრულყოფილი სისტემა და სტრატეგია, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს ფინანსური რესურსების არარაციონალურ ხარჯვას.

## დასკვნა

შეჯამების სახით, შეგვიძლია აღვნიშნოთ რომ კომპანიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას შესყიდვების მართვა წარმოადგენს, შესაბამისად საჭიროა სწორად იყოს განსაზღვრული მენეჯმენტის სტრატეგიული ასპექტები შესყიდვების პროცესის ყველა ეტაპზე. აქედან გამომდინარე, საჭიროა კომპანიებმა ყურადღება მიაქციონ სტრატეგიის შედგენის ეტაპზე შესყიდევების სფეროს და დეტალურად გაწერონ განხორციელების ეტაპები.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



# THE WORKING PRINCIPLES OF OPEN BANKING AND ITS BENEFITS FOR FINANCIAL INSTITUTIONS AND STARTUPS

Copyright © 2024 the Author/s

Peer review method: Double-Blind
Accepted: Yanuary 5, 2024
Published: February 1, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19012024-40



**David Rusia**
Phd student at
Tbilisi State University
ORCID-ID 0009-0001-1114-1808
E.mail: davidrusia@yahoo.com

**ABSTRACT**

*The development of open banking is equally beneficial for consumers, traditional banks and FinTech companies. The attitude of traditional banking along with the growing importance of open banking is discussed in terms of the growing role of FinTech companies, including possible collaborations that should ultimately help banks and consumers.*

*The current structure of the banks' business models may prove unsustainable in the future under the increasing pressure of customers to offer them innovative and convenient mobile products; Bank-FinTech Collaboration Shifting further collaboration will help banking institutions successfully embrace the transformative nature of open banking.*

*With the development of open banking, banks can make better informed decisions, ensure improved resilience and systemic stability. The Fin Tech industry is evolving to meet their needs based on collaboration, reduced systemic costs, increased innovation and sufficient regulation. Financial market regulators must constantly refine relevant regulations to keep up with the rapid innovations to come. from FinTech companies.*

***Keywords:*** *Open Banking, Bank, Fin, Tech, API provider, Open API. Open data, Payment Services provider (PSP), Open Banking ecosystem*

**REFERENCES:**

1. https://www.berlin-group.org/open-finance
2. https://nbg.gov.ge
3. https://www.association.ge/
4. https://www.finedu.gov.ge/ge/sakartveloshi-ghia-bankingis-momsakhureba-khelmisatsvdomia-tavsatekhi-6-1
5. Guidelines for implementing identification, authentication and authorization 0.8.RC1 (in Georgian)
6. XS2A Guidelines for implementation of the standard0.8.RC3 (in Georgian)
7. JSON Web Signature (JWS) Implementation Guide in an Open Finance System (in Georgian)

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



# ღია ბანკინგის მუშაობის პრინციპი და მისი სარგებელი ფინანსური ინსტიტუტებისთვის და სტარტაპებისთვის

**დავით რუსია**
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

*ღია ბანკინგის განვითარება თანაბრად სარგებლის მომტანია მომხმარებლისთვის, ტრადიციული ბანკებისა და FinTech კომპანიებისთვის. ტრადიციული ბანკინგის დამოკიდებულება ღია ბანკინგის მზარდ მნიშვნელობათან ერთად განხილულია FinTech კომპანიების როლის ზრდის ჭრილში, მათ შორის შესაძლო თანამშრომლობის კუთხით, რომლებმაც საბოლოოდ ხელი უნდა შეუწყონ ბანკებსა და მომხმარებლებს.*

*შესაძლოა ბანკების ბიზნეს მოდელების არსებული სტრუქტურა მომავალში არამდგრადი აღმოჩნდეს მომხმარებელთა მზარდი ზეწოლის ქვეშ მათთვის ინოვაციური და მოსახერხებელი მობილური პროდუქტების შესათავაზებლად; ბანკისა და FinTech-ის თანამშრომლობა შემდგომი თანამშრომლობის გადართოება ხელს შეუწყობს საბანკო დაწესებულებებს, რომ წარმატებით აუღონ ალღო ღია ბანკინგის ტრანსფორმაციულ ბუნებას.*

*ღია ბანკინგის განვითარების პირობებში ბანკებს შეუძლიათ მიიღონ უკეთესი ინფორმირებული გადაწყვეტილებები, უზრუნველყონ გაუმჯობესებული მდგრადობა და სისტემური სტაბილურობა. Fin Tech ინდუსტრია ვითარდება, რათა დააკმაყოფილოს მათი საჭიროებები თანამშრომლობის, შემცირებული სისტემური ხარჯების, გაზრდილი ინოვაციებისა და საკმარისი რეგულირების საფუძველზე. ფინანსური ბაზრის მარეგულირებელმა ორგანოებმა უნდა მუდმივად დახვეწონ შესაბამისი რეგულაციები მოახლოებულ სწრაფ ინოვაციებზე. FinTech კომპანიებისგან.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ღია ბანკინგი, ბანკი, ფინტეკი, API პროვაიდერი, ღია API. ღია მონაცემები, გადახდის სერვისების პროვაიდერი (PSP), ღია საბანკო ეკოსისტემა*

## შესავალი

ფინანსური ინფორმაციის ანალიტიკის შეგროვება, სესხის აღება დროის შეზღუდულ - მოკლე მონაკვეთში, კრიპტოვალუტის შეძენა რამდენიმე დაწკაპუნებით - ეს ყველაფერი იმ შესაძლებლობებს მიეკუთვნება, რასაც ღია ბანკინგის ტექნოლოგიები სთავაზობენ მომხმარებლებს. ისმის კითხვა თუ რა შეიძლება გამოიწვიოს ბანკების მხრიდან მომხმარებლების არსებული მონაცემების მესამე მხარეებთან გაზიარებამ და რა სარგებლი შეიძლება მოუტანოს მან ფინანსურ ინსტიტუტებს და მომხმარებლებს.

ღია ბანკინგი წარმოადგენს მესამე მხარისთვის პერსონალურ საბანკო მონაცემებზე წვდომის უზრუნველყოფის მექანიზმს, რომელიც მიიღწევა უპირველეს ყოვლისა მომხმარებლის თანხმობით და პროცესში ჩართული ყველა მხარის ავტორიზაციით. მექანიზმის მუშაობის სპეციფიკა შემდგომში მდგომარეობს. მომხმარებელს რამდენიმე წელია ემსახურება ერთ-ერთი წამყვანი საბანკო დაწესებულება, კლიენტი ფლობს, როგორც სადებეტო, ასევე საკრედიტო ბარათებს, თანხები აქვს განთავსებული დეპოზიტებსა და სადეპოზიტო სერთიფიკატებში, ბანკის სპეციალიზირებული პლატფორმების საშუალებით ეძლევა აქციებში ინვესტირების საშუალება. საბანკო დაწესებულება ათწლეულებია წარმოადგენს ბაზრის სტაბილურ და ძეიძლება ითქვას კონსერვატულ მონაწილეს. ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ კლიენტს შესაძლებელია სურდეს საკუთარ ფინანსებთან ჭკვიანი ანალიტიკის შესაძლებლობების დამატება და პერიოდულად მიიღოს ღირებული რჩევები პირადი ბიუჯეტისა და ფინანსური უნარჩვევების შესახებ. საბანკო სექტორი აქტიურად მიჰყვება ფეხდაფეხ ტექნოლოგიების განვითარებას. თუმცა მომხმარებელს შეიძლება გაუჩნდეს სურვილი გარე წყაროს მოშველიების. ამისთვის ბანკი ღია API-ის (ღია საბანკო ინტერფეისის) მეშვეობით უზრუნველყოფს წვდომას მესამე მხარის კომპანიასთან, რომელმაც შეიმუშავა და ფართო საზოგადოებას შესთავაზა ჭკვიანი ანალიტიკის ინსტრუმეტები. მომხმარებელი ელექტრონული ხელმოწერით ეთან-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



ხმება მონაცემთა გაცვლას - და იღებს წვდომას დეტალურ ინფორმაციაზე საკუთარის ხარჯისა და შემოსავლის, კაპიტალისა და მოსალოდნელი შემოსავლის შესახებ.

ღია ბანკინგის მოხმარების კიდევ ერთ მაგალითად შეიძლება დასახელდეს სხვადასხვა საბანკო დაწესებულებებში გახსნილი ანგარიშებიდან მონაცემების გაერთიანება ერთ აპლიკაციაში ან თუნდაც მესენჯერში. სისტემა ავტომატურად აგროვებს მონაცემებს და აანალიზებს მათ დროის რეალურ რეჟიმში.

## ძირითადი ტექსტი

ღია საბანკო სერვისებს შეუძლიათ შეასრულონ შემდეგი ოპერაციები: გააანალიზონ მომხმარებლის საკრედიტო ისტორია, შეაგროვონ სტატისტიკა, შეაფასონ კლიენტის სანდოობა შერჩეული პარამეტრებისადა მიხედვით და ა.შ. აღნიშული სერვისების ამოქმედება ხდება კლიენტის თანხმობითა და ინიციატივით. თუ კლიენტს სურს გარკვეული ინვენტარის განვადებით შეძენა მაღაზიაში - საგადახდო სერვისი უკავშირდება საბანკო დაწესებულებას ღია API-ის საშუალებით და იღებს ინფორმაციას კლიენტის გადახდისუნარიანობის შესახებ, როგორიცაა: ტრანზაქციის სტატისტიკა, სტაბილური შემოსავლის დადასტურება, აქტივების არსებობა - და განსაზღვრავს რისკის დონეს. პროცესი სრულდება რამოდენიმე წამის განმავლობაში და კლიენტი აფორმებს განვადებას. Buy Now, Pay Later სერვისების ბაზარი $100 მლრდ-ად არის შეფასებული. BNPL ბუმი სწორედ ღია ბანკინგის განვითარების წყალობით მოხდა - მონაცემთა გაცვლისას ბარიერების რაოდენობა და ტრანზაქციების დამუშავებისთვის აუცილებელი დრო მნიშვნელოვნად შემცირდა.

ღია ბანკინგის მხარდამჭერი ინიციატივები შედარებით ცოტა ხნის წინ გამოჩნდა. ევროკავშირმა მიიღო საგადახდო სერვისების მეორე დირექტივა (PSD2), რომელიც მხარს უჭერს ღია API-ების გავრცელებას. ამჟამად დამუშავებაშია მესამე დირექტივა, რომლის დრაფტ ვერსია 2023 წლის ივნისში გავრცელდა. ფინანსურმა მარეგულირებლებმა აღიარეს, რომ ღია ბანკინგი ქმნის ჯანსაღი კონკურენციის საფუძველს და ხელს უშლის ცალკეულ ფინანსურ ინსტიტუტებს ბაზარზე მონოპოლიის შექმნაში. პარალელურად შემოღებულ იქნა ახალი რეგულაციები – მაგ, კლიენტის აუთენთიფიკაციის უფრო მკაცრი წესები.

ინფორმაციის გაცვლა ღია ბანკინგის წარმოშობამდეც მიმდინარეობდა, რისთვისაც გამოიყენებოდა ინფორმაციის შეგროვების უფრო აგრესიული მეთოდი, როგორიცა screen scraping. ამ შემთხვევაში კლიენტი არამარტო აზიარებდა მონაცემების ნაწილს, არამედ ფაქტობრივად უშვებდა მესამე მხარის კომპანიას საკუთარ ანგარიშებთან - ანუ მესამე პირებს შეეძლოთ სისტემაში შესვლა მომხმარებლის სახელით და პასვორდით, ხოლო საბანკო დაწესებულებებს არ შეეძლოთ ამაზე ზემოქმედება. დღეისთვის მსგავს პრაქტიკაზე მასიურად ამბობენ უარს გაზრდილი რისკებისადა გამო. თუმცა ღია API-ებიც ჯერ არ არის ხელმისაწვდომნი მასიურად, რის გამოც კლიენტებს ჯერ კიდევ უწევთ ამ ნაკლებად უსაფრთხო მეთოდის გამოყენება.

საქართველოში ღია ბანკინგის კონცეფციის პოპულარობა იზრდება. საბანკო სექტორთან კონსულტაციები და სამუშაო ჯგუფის რეგულარული შეხვედრები საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) 2019 წლის ზაფხულში დაიწყო. 2020 წელს საქართველოს საბანკო ასოციაციის ფარგლებში შეიქმნა ღია ბანკინგის კომიტეტი, რომლის მიზანია საქართველოში ღია ბანკინგის დანერგვისთვის საჭირო სტანდარტების შემუშავება და პროექტის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.

2020 წლის სექტემბერში ღია ბანკინგის კომიტეტმა შეიმუშავა ღია ბანკინგის იმპლემენტაციის ჩარჩოს პირველი ვერსია. აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავს იმ წესებს და სტანდარტებს, რომელთა დაცვით და გამოყენებითაც კომერციულმა ბანკებმა პირველ ეტაპზე ერთმანეთს უნდა გაუზიარონ მათი მომხმარებლების შესახებ ისეთი მონაცემები, როგორიცაა საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთები და ინფორმაცია ტრანზაქციების შესახებ. აღნიშნული მონაცემების გაცვლა უნდა განხორციელდეს ღია აპლიკაციის ინტერფეისების (API) გამოყენებით ონლაინ რეჟიმში და რა თქმა უნდა, მომხმარებლის სურვილის/თანხმობის შემთხვევაში.

პირველი ეტაპის წარმატებით განხორციელების შემდეგ ეტაპობრივად იგეგმება ღია ბანკინგის გამოყენების გაფართოება როგორც მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში გასაზიარებელი მონაცემების რაოდენობის, ასევე ღია ბანკინგის გამოყენებით საბანკო ტრანზაქციების ინიცირების შესაძლებლობის დამატების მიმართულებით. ღია ბანკინგის იმპლემენტაციის შემდეგ ეტაპებზე ასევე განიხილება სისტემაში კომერციულ ბანკებთან ერთად საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების და ფინტექ

კომპანიების ჩართვა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მომხმარებლებისთვის საბანკო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის და საბანკო მომსახურებების მრავალფეროვნების გაზრდას.

### როგორ შეიძლება გამოიყენონ ფინანსურმა სტარტაპებმა ღია მონაცემები

ღია საბანკო API-ს შეუძლიათ ფინანსური სტარტაპების საქმიანობის გამარტივება ახალ სერვისებთან უფრო სწრაფი დაკავშირების საქმეში. კომპანიებს აღარ დასჭირდებათ საკუთარი საკრედიტო ან საგადამხდელო მოდულის შექმნა ან შუამავლების სერვისების გამოყენება (მაგ. საკრედიტო ბიურო). ღია მონაცემების გამოყენებით, სტარტაპებს შეეძლებათ ბაზარზე შესვლა მინიმალური დანახარჯით.

სხვა ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით გამოვყავით ზოგიერთი სერვისი, რომელთა შესრულება შეეძლებათ ფინანსურ სტარტაპებს საკუთარი ბიზნეს მოდელის ფარგლებში ღია ბანკინგის შესაძლებლობების გამოყენებით:

ჰიპოთეთიური პლატფორმა შეიძლება დაეხმაროს ბიზნესებს ბუღალტერიის ნაწილობრივ ავტომატიზირებაში საბანკო დაწესებულებების Open API-სთან მიერთების გზით. სისტემას შეეძლება ხარჯებზე თვალყურის დევნება, ბიუჯეტების განაწილება და ხელფასების გაცემის კონტროლი.

შესაძლებელია სხვა პლატფორმამ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს სესხების მიღების გამარტივებული სქემები შესთავაზოს - საბანკო მონაცემების გამოყენებით პლატფორმას შეეძლება კლიენტის გადახდისუნარიანობის შემოწმება და სესხის გაცემაზე გადაწყვეტილების სწრაფად მიღება.

სხვა პლატფორმა საშუალებას მისცემს კომპანიებს შეაგროვონ პლატფორმაზე მონაცემები სხვადასხვა ქვეყანაში გახსნილი სხვადასხვა ანგარიშებიდან, ფინანსების უფრო ეფექტურად მართვის მიზნით.

ღია ბანკინგი ხსნის შესაძლებლობებს, რომ კრიპტო და სათამაშო ბიზნესის წარმომადგელებმა გამოიყენონ მისი შესაძლებლობები. ჰიპოთეთიურ პლატფორმა საშუალებას მისცემს მომხმარებელს, რომ თანხები გადარიცხოს საკუთარ კრიპტო საფულეზე საბანკო ანგარიშიდან დამატებითი მონაცემების შეყვანის გარეშე. უახლოეს პერიოდში უნდა ველოდოთ თანამშრომლობის მაგალითებს საგადახდო სერვის მომწოდებელ და კრიპტო ვალუტებით ვაჭრობით დაკავებულ საბროკერო პლატფორმებს შორის, როდესაც ახალ მომხმარებლებს მიეცემათ საშუალება, რომ შეიძინონ კრიპტოვალუტა რამდენიმე დაწკაპუნებით.

McKinsey-ის ანალიტიკოსები თვლიან, რომ ღია ბანკინგი სარგებელს მეტწილად მცირე მოთამაშეებს მოუტანს და ზოგადად, ფინანსურ ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომა გამოიწვევს მშპ-ს 1.5%-ით ზრდას ევროპაში, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში. თუმცა მცირე კომპანიები და სტარტაპები სრულად ვერ იყენებენ ამ შესაძლებლობებს, რამეთუ API-ებზე წვდომა ძვირი რჩება, რადგან მათ უხდებათ შუამავლებისა და პროვაიდერების მომსახურების გამოყენება.

ზოგადად მონაცემებზე წვდომის მოპოვება ადვილი არ არის. ევროპაში, დამტკიცებული სერვისების რეესტრში ჩასართავად და პერსონალურ მონაცემებზე წვდომის მოსაპოვებლად, კომპანიას სჭირდება ფინანსური რეგულირებისა და ზედამხედველობის (FCA) სამმართველოს ან სხვა მარეგულირებლის ლიცენზია. საქართველოში მსგავს შეზღუდვებს ვაწყდებით სახელმფიფო ორგანოთა გამგებლობაში არსებულ ინფორმაციაზე წვდომაში, თუმცა ბოლო პერიოდში საკმაოდ დაწინაურდა სექტორი სახელმწიფო ორგანოებთან ინფორმაციის წვდომის გაადვილებაში.

### ღია ბანკინგის კრიტიკა: "ვალდებულება" და უსაფრთხოება

ღია ბანკინგის კონტექსტში მთავარი კრიტიკა უსაფრთხოების საკითხია. დღეს არავინ არის 100%-ით დაცული ჰაკერებისგან და ინფორმაციის გაჟონვისგან - არც ბანკი და არც ფინტექ სტარტაპი. ღია API-ები, ერთი მხრივ, ზრდის სერვისთან მიერთებული მომხმარებლების რაოდენობას, მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი უფრო უსაფრთხოა, ვიდრე screen scraping. ახალი მარეგულირებელი სტანდარტები ზუსტად არის ორიენტირებული უსაფრთხოებაზე - ამისათვის, ბანკებს ავალდებულებენ აუთენტიფიკაციის დამატებითი დონეების შემოღებას. გარდა ამისა, საბანკო ინსტიტუტები აკონტროლებენ ყველა ტრანზაქციას და სწრაფად რეაგირებენ თაღლითურ ქმედებებზე.

ზოგადად, API-ების გამოყენება ფინანსურ სექტორში საკმაოდ მკაცრად რეგულირდება, ამიტომ საეჭვო სტარტაპს, პრინციპში არ მიეცემა წვდომა ღია ინტერფეისზე. რა თქმა უნდა, ყველა მარეგულირებელი სტანდარტის დაცვა მოითხოვს დამატებითი რესურსების მობილიზებას, რომელიც ყველა კომპანიას არ გააჩნია. მაგრამ ბაზარზე სულ უფრო მეტი დამხმარე და უფასო სერვისები გამოჩნდება

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)


უახლოეს პერიოდში, რომლებიც გაამარტივებენ პროცესს.

კიდევ ერთი საკითხი რომელიც საბანკო სექტორის წარმომადგენლებს აწუხებთ - ღია ბანკინგის დანერგვაში დირექტიული მიდგომა. მარეგულირებლები აწვდიან მითითებებს და ორგანიზაციებს უწევთ სწრაფი ადაპტაცია, რაც ხშირად საჭიროებენ დამატებით ინვესტიციებს, მათ შორის უსაფრთხოების დამატებით სისტემებში.

მომავალში ასევე მოსალოდნელია კონკურენტი კომპანიების მხრიდან დემპინგური ფასების დაწესების პრაქტიკას შევეჩეხოთ, რამაც შესაძლოა მომხმარებელთა გაზრდილი ნაკადის გამო მათი მხრიდან აღებულ ვალდებულებების შესრულებაში სიძნელეები შექმნან. სერვის პროვაიდერებს შეეძლებათ შექმნან მომხმარებლების უფრო დეტალური პროფილები და შესთავაზონ მათზე მორგებული რეკლამა. ამან ერთის მხრივ შეიძლება გაამარტივოს ყოველდღიური პრაქტიკა, თუმცა შეიძლება საფრთხე შეუქმნას კლიენტის კონფიდენციალურობას.

ნებისმიერ შემთხვევაში, არცერთი ტექნოლოგია თავისთავად არ შეიძლება იყოს ცალსახად დამაზიანებელი ან სასარგებლო - ეს ყველაფერი დამოკიდებულია მისი გამოყენების სცენარებზე. ღია ბანკინგის ასევე აშკარა უპირატესობებია, როგორებიცაა ფინანსურ სერვისებზე წვდომის ბარიერის შემცირება. თუ ადრე ბანკს შეიძლება უარი ეთქვა კომპანიისთვის სესხით სარგებლობაზე არასაკმარისი ინფორმაციის მოგროვების გამო, ღია ბანკინგის გამოყენებით შეეძლება სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის შეკრება და გადაწყვეტილებას მოკლე დროში მიღება. მეტიც, მომავალში, როდესაც ღია მონაცემები ფართოდ მოიკიდებს ფეხს ბევრ სფეროში და პროვაიდერები თავისუფლად გაცვლიან მათ ერთმანეთში, ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას ტენდენციების პროგნოზირებისთვის და გლობალური სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. მაგალითად, შესაძლოა იქნეს გამოყენებული გემბლინგთან გასამკლავებლად, ან ადამიანებისთვის ფინანსების უფრო კომპეტენტურად მართვაში დასახმარებლად. წამყვანი საბანკო დაწესებულებების ინტერნეტბანკში ჩაშენებული ფინანსური ტრეკერები უკვე სთავაზობენ თავიანთ მომხმარებლებს მსგავს სერვისებს ამ ბანკის ფარგლებში, მაგრამ მომავალში ღია ბანკინგი საშუალება მისცემს ფინანსურ ისტიტუტებს სისტემების მასშტაბირებას და გახდის მათ უფრო მოქნილს და ხელმისაწვდომს.

### ღია ბანკინგის მომავალი

ერთი შეხედვით ღია ბანკინგის კონცეფციაში არაფერი რევოლუციური არ არის - ჩვენ უკვე ვცხოვრობთ ღია მონაცემთა ეპოქაში, როდესაც ინფორმაციის ურთიერთგაცვლის წყალობით ტარდება კვლევები, იქმნება მოსახერხებელი სერვისები და მეცნიერული აღმოჩენებიც კი. მაგრამ მსგავს შესაძლებლობებზე წვდომა შეზღუდულია - მცირე კომპანიებს არ აქვთ შესაძლებლობა ინვესტიციები განახორციელონ მონაცემთა ანალიტიკასა და ინსტრუმენტებში, ხოლო მსხვილი მოთამაშეები ნაკლებად აქტიურობენ ახალბედების პროცესებში ინტეგრირებისთვის. ამასთან, ბაზარი თანდათან ტრანსფორმირებს: მომხმარებელს უკვე აქვს საშუალებს შეიძინოს საქონელი რამდენიმე დაწკაპუნებით, განახორციელოს გადახდები ერთი კლიკით და მყისიერად მიიღოს ფინანსური მომსახურება - იქნება ეს საკრედიტო ბიუროში მისი ისტორიის შემოწმება თუ სესხის განაცხადის შევსება სტარტაპ იდეებისთვის.

ღია ბანკინგს ხშირად ადარებენ ბლოკჩეინს, რადგან ის მომხმარებელს სთავაზობს ტრანზაქციების სრულიად ახალ პარადიგმას. დღეს თუ მომხმარებელი იყენებს განსაზღვრული რაოდენობის ბანკების მომსახურებებს, ხვალ ის შესძლებს პირადი ფინანსების მართვის განვითარებული ქსელის მართვას. მაგ, საქართველოდან წასულ ემიგრანტს ან ნებისმიერ სხვა ქვეყნის მოქალაქეს შეეძლება გამოიმუშაოს შემოსავალი სხვა და სხვა ქვეყანაში, ხოლო ხელფასი ან დეპოზიტები სხვადასხვა ვალუტაში შეინახოს თუნდაც ქართულ საბანკო დაწესებულებაში, მაგრამ ამავდროულად განახორციელეთ ტრანზაქციები სხვა და სხვა ქვეყნის საბანკო დაწესებულებებს შორის ერთ სივრცეში რამდენიმე წამში. გარდა ამისა, როგორც მომხმარებლებს, ასევე სტარტაპებს შეეძლებათ უფრო ეფექტურად მართონ ფინანსები და მიიღონ გადაწყვეტილებები ტენდენციებზე, როგორიცაა შემოსავლის ვარდნა ან შემოსავლის სეზონური ცვლილებები.

მაკკინზის შეფასებით, ჯერჯერობით ღია ბანკინგის პოტენციალის მხოლოდ 10% არის გამოვლენილი და დასკვნების გაკეთება ნაადრევია. გარდა ამისა, კრიპტო ბაზარმა და შედარებით ახალმა ტენდენციამ დეცენტრალიზაციის web3.0 შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს ინდუსტრიაზე.

ქართუმა ფინანსურმა სტარტაპებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ტენდენციას და წინასწარ მოამზადონ სტრატეგია. მათ უნდა გამოიკვლიონ რა ბიზნეს მოდელები იქნება პოტენციური მომხმარებ-


N1 (72) 2024, Vol. 19, Issue 1.

ლებისთვის ხელმისაწვდომი, თუ ახალი კომპანია მიიღებს წვდომას ძირითადი სერვისის პროვაიდერების ღია API-ებზე. ცალკე გასაანალიზებელია ევროპული ფინანსური სტარტაპების გამოცდილება - ყოველდღიურად ჩნდებიან ახალი მოთამაშეები ბაზარზე, რომელთაგანაც ზოგიერთმა უკვე მიიღეს უნიქორნის სტატუსი.

## დასკვნები და რეკომენდაციები:

FinTech ინდუსტრია სწრაფად ვითარდება და ფინანსური სერვისების გარემოს განუყოფელი ნაწილი ხდება. ციფრული ბანკების აღზევებასთან ერთად, ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების დანერგვით, peer-to-peer დაკრედიტების და crowdfunding-ის ფინანსების ზრდასთან ერთად, ასევე განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში ფინანსური სერვისების გაფართოებით, მოსალოდნელია, რომ FinTech სტარტაპების მომავალი საინტერესო და გარდამტეხი იქნება ეკონომიკისთვის.

თუმცა, ინდუსტრია ასევე სულ უფრო კონკურენტუნარიანი და კონსოლიდირებული ხდება, სადაც კომპანიები ცდილობენ განასხვავონ საკუთარი თავი და მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა. კიბერუსაფრთხოება ასევე უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რადგან კიბერშეტევების საფრთხე კვლავ იზრდება.

დასასრულს, მოსალოდნელია, რომ FinTech სტარტაპების მომავალი რამდენიმე ძირითადი ტენდენციით ჩამოყალიბდება, მათ შორის ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების მზარდი ათვისება, ციფრული ბანკებისა და ნეობანკების ზრდა, ფინანსური სერვისების გაფართოება განვითარებად ქვეყნებში და გაგრძელება. კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა. ეს ტენდენციები, სავარაუდოდ, გამოიწვევს უფრო დინამიურ და ინოვაციურ ფინანსურ ინდუსტრიას, სადაც FinTech სტარტაპები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ცვლილებების მამოძრავებელ საქმეში.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

# PALESTINE-ISRAEL CONFLICT

## (Historical overview)

Copyright © 2024 the Author/s

Peer review method: Double-Blind
Accepted: Yanuary 25, 2024
Published: February 12, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19012024-46





**Tamar Devidze**
Doctoral student of political science
at Caucasus International University
ORCID iD:
https://orcid.org/ 0009-0006-2131-385X
E-mail: devidze_tamar@yahoo.com

**Marekh Devidze**
Doctoral student at TSU faculty of Social and Political Sciences
ORCID iD:
https: // orcid.org / 0009-0004-1942-8688
E-mail: marekhdevidze@tsu.ge

### ABSTRACT

*Among the conflicts in the world, the Israeli-Palestinian conflict is one of the most difficult and unresolved problems. In the said territory, which was called Middle Eastern Palestine, the main population were Arabs and Jews. The Arabs were the indigenous population of Palestine and therefore represented the majority of the population, while the Jews were the minority. For centuries, Jews and Arabs coexisted peacefully in Palestine, but when the Jewish part began to grow slowly and steadily in the early 20th century, the situation changed radically.*

*In the 90s of the 19th centuries, along with the strengthening of anti-Semitic attitudes in Europe and Russia, the nationalist movement "Zionism" emerged in Eastern and Central Europe, the main goal of which was the return of the Jews to their historical homeland - Palestine. The mass emigration of Jews to Palestine is denoted by the term Aliyah. It was initiated by the Zionist organization "Hibbat Zion." From 1881 to 1939, five Aliyahs of Jews took place in Palestine, and from the same period, the conflict between Jews and Palestinians began, which spans dozens of years.*

*In the 1940s, there were two nationalist movements in Palestine: Zionism, whose goal was to create a national center for the Jews, and Palestinian-Arab nationalism, which wanted to abolish British rule and create an independent Palestinian state. These two nationalist visions caused the conflict between the Jews and the Arabs. This conflict has not lost its relevance for decades. Both regional and non-regional countries are involved in the resolution of the conflict, however, the disagreement between Israel and Palestine has not been resolved. In addition, in the background of the conflict, the threat of terrorism has also increased, and this region remains one of the hot spots not only in the Middle East but also in the world.*

*For decades, many international-level events and meetings have been held on the Israeli-Palestinian conflict, its causes, and conflict resolution, various methods and recommendations for solving the problem have been developed, but to no avail. This is cobfirmed the surprise raid oh „Hamas" on Israel on October 7, 2023, whish was followed by the bombing of the Gaza Strit by Israel. It is the bloodiest and longest conflict. Outside forces are also involved in it, whivh destabilizes the situation in the entire Middle East.*

***Key words:*** *Israel, Palestine, Zionism, Aliyah, Conflict.*

**REFERENCES:**

1. A History of The Middle East and its relations with The South Caucasus (19TH -beginning of 21ST CC) Sanikidze G. Alasania G. Gelovani N. Tbilisi, 2011(in Georgian);
2. Gachechiladze R. Middle East, Geographical and Historical Landmarks, vol. II. Tbilisi, 2017 (in Georgian);
3. Gachechiladze R. Georgia in the World context, Tbilisi, 2017 (in Georgian);
4. Khonelidze N. Israel's Declaration of Independence, Tbilisi, 2003 (in Georgian);
5. netgazeti.ge. Gvadzabya M. Israel-Palestine conflict, May 18, Tbilisi, 2021(in Georgian);
6. https://forbes.ge Beradze D. Motives and imeline of Hamas attack on Israel, October 23, 2023 (in Georgian);
7. Benny M. Righteous Victim: A history of the Zionist-Arab Conflict, 1881-2001, Paperback -21 Aug. 2001;
8. Berger E, Zionism the Dream and the Reality, 1974;
9. Bicerton I.J and Klausner C.L. A History of the Arab-Israel Conflict, Ninth edition, New York, 2022;
10. Evron B. Jewish State or Israel Nation? Bloomington and Indianapolis; Indiana University Press,1995;
11. Friedman T. From Beirut to Jerusalem, National Book Award, New York, 1989;
12. Gelvin J.*The Middle East and the United States: A Historical and Political Reassessment,* 1999;
13. Herzl T. Der Judenstaat, Staatsschift, Judischer Verlag, Berlin, 8. Auflage 1920;
14. http://www.thetower.org Scheimann G. The Map that Ruined The Middle East, Issue # 4, July 2013;
15. Masalha N. Expulsion of the Palestinians: the Concept of „Transfer". Zionist Political Thought, 1882-1948. Washington, Institut for palestine Stadies, 1992;
16. National Catholic Reporter "A Middle Eastern House of Cards," nrconline.org, May 4, 2015;
17. Scheinmann G. The Map That Ruined the Middle East, thetower.org, July 2013;
18. Shlaim A. The Iron Wall: Israel and the Arab World, Norton Paperback, 17 January, 2001;
19. US Holocaust Memorial Museum "Timeline of Events," ushmm.org (accessed Oct. 6, 2015);
20. William R.P. Gaza and The Palestine Crisis in History, 2014.

# პალესტინა – ისრაელის კონფლიქტი
## (ისტორიული მიმოხილვა)

**თამარ დევიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების
დოქტორანტი
ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0006-2131-385X
ელ.ფოსტა: devidze_tamar@yahoo.com

**მარეხ დევიძე**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის
კონფლიქტოლოგიის დოქტორანტი
ORCID iD: https: // orcid.org / 0009-0004-1942-8688
E-mail: marekhdevidze@tsu.ge

**აბსტრაქტი**

*მსოფლიოში არსებულ კონფლიქტებს შორის ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი ერთ-ერთი რთული და გადაუწყვეტელი პრობლემაა. აღნიშნულ ტერიტორიაზე, რომელიც ახლო აღმოსავლეთის პალესტინად იწოდებოდა, ძირითადი მოსახლეობა არაბები და ებრაელები იყვნენ. არაბები პალესტინის მკვიდრი მოსახლეობა და შესაბამისად მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ებრაელები კი უმცირესობას. საუკუნეების განმავლობაში ებრაელები და არაბები მშვიდობიანად თანაარსებობდნენ პალესტი-*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

*ნაში, მაგრამ როდესაც მე-20 საუკუნის დასაწყისში ებრაულმა ნაწილმა ნელა და სტაბილურად დაიწყო ზრდა, სიტუაცია რადიკალურად შეიცვლა.*

*XIX საუკუნის 90-იან წლებში, ევროპასა და რუსეთში ანტისემიტური განწყობების გაძლიერებასთან ერთად აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში წარმოიქმნა ნაციონალისტური მოძრაობა „სიონიზმი", რომლის მთავარი მიზანი იყო ებრაელთა დაბრუნება ისტორიულ სამშობლოში - პალესტინაში. ებრაელთა მასობრივი ემიგრაცია პალესტინაში აღინიშნება ტერმინით ალია. მისი ინიციატორი იყო სიონისტური ორგანიზაცია „ჰიბბატ ციონი." 1881 წლიდან 1939 წლის ჩათვლით პალესტინაში ებრაელთა ხუთი ალია განხორციელდა, ამავე პერიოდიდან იწყება ებრაელებსა და პალესტინელებს შორის კონფლიქტი, რომელიც ათეულობით წლებს ითვლის.*

*„XX ს-ის 40-იან წლებში პალესტინაში იყო ორი ნაციონალისტური მოძრაობა: სიონიზმი, რომლის მიზანი იყო ებრაელებისათვის ეროვნული კერის შქმნა და პალესტინურ-არაბული ნაციონალიზმი, რომელსაც სურდა ბრიტანული მმართველობის გაუქმება და დამოუკიდებელი პალესტინური სახელმწიფოს შექმნა. სწორედ ამ ორმა ნაციონალისტურმა ხედვამ გამოიწვია კონფლიქტი ებრაელებსა და არაბებს შორის."*

*ათწლეულებია ეს კონფლიქტი არ კარგავს აქტუალობას. კონფლიქტის მოგვარების საქმეში ჩართულია როგორც რეგიონის, ისე რეგიონს გარეთ მდებარე ქვეყნები, მიუხედავად ამისა, ისრაელსა და პალესტინას შორის არსებული უთანხმოება ვერ მოგვარდა. გარდა ამისა, კონფლიქტის ფონზე გაძლიერდა ტერორიზმის საფრთხეც და ეს რეგიონი დღემდე რჩება არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთ ცხელ წერტილად.*

*ისრაელ-პალესტინის კონფლიქტზე, მის გამომწვევ მიზეზებზე და კონფლიქტის დარეგულირებისთვის ათწლეულებია არაერთი საერთაშორისო დონის ღონისძიებები და შეხვედრები იმართება, შემუშავებული იქნა პრობლემის მოგვარების სხვადასხვა მეთოდები და რეკომენდაციები, თუმცა უშედეგოდ. ამის დადასტურებაა 2023 წლის 7 ოქტომბერს „ჰამასის" მოულოდნელი რეიდი ისრაელზე, რასაც მოჰყვა ისრაელის მხრიდან ღაზას სექტორის დაბომბვა. კონფლიქტის 75 წლიან ეპიზოდში ეს არის ყველაზე სისხლიანი და ხანგრძლივი დაპირისპირება ისრაელსა და პალესტინას შორის. მასში ჩათრეულია გარეშე ძალებიც, რაც მთელ შუა აღმოსავლეთში იწვევს ვითარების დესტაბილიზაციას.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ისრაელი, პალესტინა, სიონიზმი, ალია, კონფლიქტი.*

## შესავალი

ებრაელები იერუსალიმს „სიონს" უწოდებდნენ, აქედან იღებს სათავეს მოძრაობის სახელწოდებაც. „სიონიზმის" მთავარი არსი იყო ებრაელთა დაბრუნება იმ გეოგრაფიულ არეალში, რომელიც ებრაელთათვის საუკუნეების განმავლობაში ცნობილი იყო როგორც ისტორიული ისრაელის მიწა. სიონისტების ძალისხმევით ებრალეთათვის პალესტინის ტერიტორიაზე მიწების შესყიდვისთვის ხდებოდა თანხების მობილიზება. ამ მიწებზე კი შემდგომ ებრაული დასახლებები და მეურნეობები ფუძნდებოდა.

ტერმინი „სიონიზმი" პირველად 1885 წელს, ავსტრიელმა ჟურნალისტმა ნათან ბირნბაუმმა გააჟღერა თავის მიერ დაარსებულ ჟურნალში „თვითემანსიპაცია" (Selfemancipation). „სიონიზმის" როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციის ჩამოყალიბება, კი დაკავშირებულია ავსტრიელი, ებრაელი ჟურნალისტის და პოლიტიკური აქტივისტის თეოდორ ჰერცლის სახელთან. ჰერცლი თავად იყო მნახველი ევროპული, სასტიკი ანტისემიტიზმისა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „სასურველია ასიმილაცია, მაგრამ შეუძლებელია ამის განხორციელება. ებრაელი ხალხი ვერ გადარჩება საკუთარი ქვეყნის გარეშე, მათ ნორმალური არსებობა შეუძლიათ მხოლოდ ერთ ტერიტორიაზე კონცენტრაციით."[1]

პალესტინაში ებრაელთა იმიგრაციამ მასობრივი სახე მიიღო XX საუკუნის 30-აინ წლებში, აღმოსავლეთ ევროპაში ანტისემიტური ტალღისა და ჰიტლერის აღზევების ფონზე, პალესტინის ებრაული მოსახლეობის რაოდენობა გაორმაგდა. პარალელურად, მომძლავრდა წინააღმდეგობა და უკმაყოფილება ადგილობრივ არაბებში.

საუკუნეების განმავლობაში ებრაელები და არაბები მშვიდობიანად თანაარსებობდნენ პალესტინაში. მას შემდეგ, რაც 1881 წლიდან, სიონისტური ორგანიზაციის ინიციატივით დაიწყო ებრაელთა იმიგრაცია ანუ „ალია" პალესტინაში ებრაულმა ნაწილმა ნელა და სტაბილურად დაიწყო ზრდა, სიტუაცია რადიკალურად შეიცვლა.

პირველი ალია ოსმალეთის პალესტინაში 1881-

1 Herzl T. Der Judenstaat, Staatsschift, Judischer Verlag, Berlin, 8. Auflage 1920, p. 39

1903 წლებში განხორციელდა. დაახლოებით 20-25 ათასი ებრაელი ძირითადად გადასახლდა აღმოსავლეთ ევროპიდან და იემენიდან. იმის გამო, რომ 1869 წელს სუეცის არხით გაუმჯობესდა მოგზაურობის პირობები, იემენიდან ოსმალეთის სირიაში მოგზაურობის დრო შემცირდა, მიგრანტთა პირველი ტალღა, დაახლოებით შვიდი თვით ადრე, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპიდან, იემენიდან მოვიდა. გარკვეულწილად წარუმატებელი გამოდგა პირველი ალია საჭირო სახსრების სიმცირის გამო, თუმცა როტშილდების ორგანიზაციის მიერ სიონისტების დაფინანსებით მიწების საკმაოდ სოლიდური რაოდენობა აღმოჩნდა ებრაელების ანგარიშზე. მრავლად იყო უთანხმოება ეკონომიკურ და იდეოლოგიურ საკითხებზე, დაპირისპირება იყო ადგილობრივ, არაბ მოსახლეობასთან. „დაძაბულობის და ძალადობის ძირითადი მიზეზი 1882-1914 წლებში არ იყო გაუგებრობა ან რომელიმე მხარის დამოკიდებულება და ქცევა, არამედ ობიექტური ისტორიული პირობები და ორი მოსახლეობის ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები და მიზნები. არაბები ინსტიქტურად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ რეგიონის არაბული და მაჰმადიანური ხასიათი და შეენერჩუნებინათ თავიანთი პოზიცია, როგორც მის კანონიერ მცხოვრებლებს. სიონისტები ცდილობენ რადიკალურად შეცვალონ სტატუს კვო, შეიძინონ რაც შიძლება მეტი მიწა და საბოლოოდ არაბებით დასახლებული ქვეყანა ებრაულ სამშობლოდ გადააქციონ."[1]

პირველმა ალიამ მოიყვანა პიონერები, რომელთაც პირველად დაარსეს ებრაული კოლონიები. ებრაელები აყალიბებდნენ სასოფლო-სამეურნეო კიბუცებს, სწრაფად იზრდებოდა ებრაელთა რიცხვი პალესტინაში. იმ პერიოდის განმავლობაში პალესტინის ებრაელობა დაახლოებით 22-24 ათასიდან 47-50ათასამდე გაიზარდა ძირითადად პირველი ალიას 1881-1884 და 1890-1891 წლებში იმიგრაციისას.

ებრაელების მეორე ალია განხორციელდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან, ძირითადად რუსეთიდან და მათი რიცხვი 35-40 ათას ებრაელს შეადგენდა.

მესამე ალიას საფუძველი ბალფურის დეკლარაციამ და რუსეთის რევოლუციამ დაუდო, ის განხორციელდა 1919-1923 წლებში და ამ შემთხვევაშიც ებრაელთა ძირითადი ნაწილი ისევ რუსეთიდან იყო, მესამე ალიის დროს პალესტინაში გადასახლდენენ პოლონელი ებრაელებიც. მათი რიცხვი ჯამში 37 ათას ებრაელს შეადგენდა.

მეოთხე ალია განხორციელდა 1924-1928 წლებში პოლონეთიდან, რასაც პოლონეთის მკაცრი საგადასახადო პოლიტიკა დაედო საფუძვლად, ჯამში გადასახლდა 70 ათასი ებრაელი.

ყველაზე ხალხმრავალი 1929-1939 წლებში მეხუთე ალია იყო, რომელიც განხორციელდა ძირითადად გერმანიიდან. ამ დროს პალესტინაში გადასახლდა დაახლოებით 200-225 ათასი ებრაელი.

## ძირითადი ნაწილი

პირველ მსოფლიო ომის შემდეგ გერმანულმა ეკონომიკამ სერიოზული დაღმასვლა განიცადა, რაც გამოწვეული იყო არამარტო ომში დამარცხებით, არამედ ვერსალის ხელშეკრულებით დადგენილი რეპარაციებით. მთავრობა იძულებული იყო დაებეჭდა დიდი რაოდენობით ფული სამხედრო სესხების და რეპარაციების დასაფარად, რამაც სერიოზული ინფლაცია გამოიწვია. გაიზარდა ფასები პროდუქტებზე და პირადი მოხმარების საგნებზე, დაიწყო ეკონომიკური ქაოსი და მასობრივი არეულობები. ამას დაემატა ფრანგული სამხედრო ძალების მიერ რურის ინდუსტრიული რეგიონის ოკუპაცია, რამაც კიდევ უფრო გაზარდა სამოქალაქო დაპირისპირება გერმანიაში.

იმ ულტრამემარჯვენე ორგანიზაციებს შორის რომელიც იმ დროს გერმანიაში საქმიანობდნენ, თავისი რადიკალიზმით გამოირჩეოდა გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია. პარტიის მიზანს ვაიმარის მთავრობის შეცვლა, ვერსალის ხელშეკრულების გაუქმება, რადიკალური ანტისემიტიზმი და ანტიკომუნიზმი წარმოადგენდა. მხარდამჭერებს ძლიერი, ცენტრალიზებული მთავრობის, გერმანელი ხალხისთვის გაზრდილი „სასიცოცხლო პირობების" შექმნას, ეროვნული საზოგადოების ჩამოყალიბებას სთავაზობდა, რაც რასობრივი წმენდითა და ებრაელთათვის გავლენის შემცირებით უნდა მომხდარიყო.

1929 წელს შეერთებულ შტატებში მომხდარმა საფონდო ბირჟის კრახმა უმძიმესი დარტყმა მიაყენა გერმანიის ეკონომიკას. გაკოტრდა რამდენიმე მსხვილი ბანკი, მილიონობით ადამიანი დარჩა უმუშევარი. შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა გამოიყენა ადოლფ ჰიტლერმა და მისმა ნაცისტურმა პარტიამ პოპულარობისთვის. ისინი ხალხს ჰპირდებოდნენ ეკონომიკის გაძლიერებას, სამუშაო ადგილების შექმნას, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მოსახლეობაზე. მათ ჩათვალეს რომ

1 Benny M. Righteous Victim: A history of the Zionist-Arab Conflict, 1881-2001, Paperback -21 Aug. 2001

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)


მხოლოდ ნაცისტებს შეეძლოთ ქვეყნის გამოყვანა კრიზისიდან და ამასთანავე აღედგინათ მათი საერთაშორისო რეპუტაცია. 1932 წლის ფედერალურ არჩევნებში ნაციონალ-სოციალისტური პარტია რაიხსტაგის უდიდეს პარტიად იქცა 230 მანდატით (37.4%). 1933 წლის 30 იანვარს პრეზიდენტმა პაულ ფონ ჰინდენბურგმა ადოლფ ჰიტლერი გერმანიის კანცლერად დანიშნა. იმავე წლის არჩევნებში გამარჯვებით გერმანიის ხელისუფლებაში ნაციონალ-სოციალისტები მოვიდნენ. ვაიმარის რესპუბლიკა ნაცისტურ გერმანიად გადაიქცა, გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტურ იდეოლოგიაზე დამყარებული ერთპარტიული, ავტორიტარული რეჟიმი დამყარდა. ჰიტლერმა გამოაცხადა მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარება, რათა „დაემარცხებინა“ უსამართლობა, რომელიც პირველმა მსოფლიო ომმა გამოიწვია. დაიწყო გერმანიის გაწმენდა ებრაელებისგან.

თავდაპირველად ნაცისტები ცდილობდნენ ებრაელები გაეძევებინათ ქვეყნიდან, მაგრამ მათ წასასვლელი არსად ჰქონდათ. ევროპელი ებრაელებისთვის, ხაიმ ვაიცმანის ცნობილი გამონათქვამით „მსოფლიო გაიყო ორად: ადგილად, სადაც მათ არ შეეძლოთ ცხოვრება და ადგილად, სადაც არ შეეძლოთ მოხვედრა“. ნაცისტების მოსვლამ გერმანიის ხელისუფლებაში გამოიწვია ლტოლვილების მასობრივი კრიზისი.

ჰიტლერის დიქტატურის პირველივე წლებში ებრაელების წინააღმდეგ მიღებული იქნა 400-ზე მეტი განკარგულება და რეგულაცია, რომელიც ზღუდავდა მათ საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა ასპექტს. 1935 წლის 15 სექტემბრის „ნიურნბერგის კანონმა“ წერტილი დაუსვა გერმანიაში ებრაელების თანასწორუფლებიანობას, ამიერიდან მათ მხოლოდ რასობრივი ტერმინით განასხვავებდნენ.

გერმანელი ებრაელები ცდილობდნენ უსაფრთხო თავშესაფარის პოვნას. 1933-1936 წლებში ებრაელების მიგრაციას პალესტინაში მასობრივი სახე მიეცა. ამ წლებში გერმანიიდან პალესტინაში იმაზე მეტი ებრაელი წავიდა, ვიდრე დანარჩენი მსოფლიოდან. 154 300 ებრაელისგან, რომლებიც ლეგალურად შევიდნენ პალესტინის ტერიტორიაზე 34 700 გერმანიიდან იყო. გარდა ლეგალური გზისა, ათასობით ებრაელი შევიდა უკანონოდ პალესტინის ტერიტორიაზე, რამაც მალე ჰპოვა ასახვა პალესტინაში ებრაელებთა რაოდენობაზე. თუ 1931 წელს ებრაელების რიცხვი პალესტინის ტერიტორიაზე 17% იყო, 1935 წლისათვის ის უკვე 30% გაიზარდა.[1]

სიონისტური მოძრაობის ზოგიერთი ლიდერი უარყოფდა არაბული მოსახლეობის არსებობას. მათი ლოზუნგი იყო: „მიწა (პალესტინა) ხალხის გარეშე - ხალხი (ებრაელები) მიწის გარეშე“. (დონალდ ვაგნერი ფიქრობს, რომ ამ ლოზუნგის ავტორი ლორდი შეფთსბერია და ის გაიზიარეს სიონიზმის მამამთავრებმა - მაქს ნორდაუმ და თეოდორ ჰერცლმა)[2]. ბოას ევრონის თქმით „ პალესტინაში დიდხანს მცხოვრები ებრაელები არასოდეს ასე არ იტყოდნენ. მათ საკუთარი გამოცდილებით იცოდნენ, რომ პალესტინელები - ეს ხალხია და ამასთან ხალხი, რომლის იგნორირებაც არ შეიძლება.“[3]

„ებრაული დასახლებები და ისრაელის სახელმწიფო წარმოიშვა და ვითარდებოდა პალესტინის არაბულ მოსახლეობასთან და მის მხარდამჭერ მეზობელ არაბულ ქვეყნებთან მუდმივი ბრძოლის პირობებში. ეს პროცესი აყალიბებდა აგრეთვე ხასიათს და თვითშეგნებას არაბებისას, რომლებიც დღეს თავის თავს თვლიან არამხოლოდ არაბებად, არამედ პალესტინელებადაც, თუმცა საკუთრივ პალესტინური ეროვნული თვითშეგნება მათ გაუჩნდათ ჯერ კიდევ ამ ბრძოლის გამწვავებამდე“.[4]

ოსმალეთის იმპერიის მარცხმა პირველ მსოფლიო ომში და ზოგადად ამ ომმა რადიკალურად შეცვალა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია. ჯერ კიდევ ომამდე ოსმალეთმა დაკარგა კონტროლი თავის ევროპულ საკუთრებაზე, ომის შემდეგ კი დამარცხებულ ევროპულ სახელმწიფოებთან ერთად, შუა აღმოსავლეთის ტერიტორიებზე. ეს ის პერიოდია, როცა ევროპელები არაბულ და ებრაულ ნაციონალიზმს თავიანთ ბუნებრივ მოკავშირეებად თვლიდნენ.

დღის წესრიგში დადგა საკითხი, როგორ გადანაწილებულიყო ომის შემდგომი ახლო აღმოსავლეთის რუკა. ბრიტანელებს სურდათ, ომის დასრულების შემდეგ ახლო აღმოსავლეთი განაწილებულიყო ბრიტანეთს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის, რაზეც ერთდროულად დაიწყეს მუშაობა ინგლისელმა დიპლომატმა ეგვიპტეში მარკ საიქსმა და მისმა ფრანგმა კოლეგამ ჟორჟ პიკომ. მოგვიანებით მოლაპარაკებებში ჩაერთო რუსული მხარეც საზონოვის მეთაურობით, ხელშეკრულებას თავდაპირველად საიქს-პიკო-საზონოვის სახელი ეწოდა, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც ომიდან რუსეთი გამოეთიშა რუსული მხარე

1 US Holocaust Memorial Museum "Timeline of Events," ushmm.org (accessed Oct. 6, 2015)
2 National Catholic Reporter "A Middle Eastern House of Cards," nrconline.org, May 4, 2015
3 Evron B. Jewish State or Israel Nation? Bloomington and Indianapolis; Indiana University Press,1995, p. 139
4 Evron B. Jewish State or Israel Nation? Bloomington and Indianapolis; Indiana University Press,1995, p. 139

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)





საერთოდ ამოვარდა მოლაპარაკებებიდან, დარჩა უბრალოდ საიქს-პიკოს შეთანხმება.

1916 წლის 16 მაისს გაფორმდა საიქს-პიკოს შეთანხმება, რომელიც ასევე ცნობილია „მცირე აზიის ხელშეკრულების" სახელით. შეთანხმებით დადგინდა შუა აზიის საზღვრები „შეთანხმება აღინიშნა რუქაზე ცხიმის ფანქრით, მთელი რიგი სწორი ხაზებით, რაც სავარაუდოდ, შექმნის „გართულებელ საზღვრებს. გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა ახლო აღმოსავლეთი გადააქციეს ამჟამინდელ ფორმაში, ევროპული დიზაინის სახელით, დროშებით და საზღვრებით."[1]

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის საზღვრები სწორედ ანგლო-ფრანგული გადანაწილებისა და შემდეგ აქ სხვადასხვა სახელმწიფოების დაარსების შედეგად აღმოცენდა, რაც ზოგიერთ შემთხვევაში დღემდე პრობლემურია.

ბრიტანეთის უშუალო კონტროლის ქვეშ უნდა შესულიყო ცენტრალური ერაყი, ქუვეითი და საუდის არაბეთის ნაწილი, ზეგავლენის სფეროში კი იორდანია. საფრანგეთის კონტროლის სფეროდ მოიაზრებდნენ სირიის სანაპირო ზოლს, ლიბანს, თურქეთის სამხრეთ პროვინციებს, ხოლო ზეგავლენის სფეროდ - ცენტრალურ სირიას და ჩრდილოეთ ერაყს. რუსეთს გავლენის სფეროში ექცეოდა თურქეთის აღმოსავლეთ პროვინციები: ვანი, ერზურუმი და ტრაბზონი. პალესტინა ანგლო-ფრანგულ კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა.

საბოლოოდ ხელშეკრულება განხორციელდა ისე, როგორც ინგლისელებს სურდათ: ბრიტანეთის ხელში აღმოჩნდა ჩრდილოეთ ერაყი ანუ მოსულის მხარე, პალესტინა და იორდანია. მართალია ფრანგებმა ვერ მიიღეს თურქეთის სამხრეთ პროვინციები, სამაგიეროდ სრულად მიიერთეს სირია და ლიბანი. იმის გამო რომ რუსეთი გამოეთიშა ომს და დაიშალა როგორც იმპერია, მან ვერ მიიღო ვერანაირი ტერიტორია.

დიდი ბრიტანეთი მხარს უჭერდა არაბების დამოუკიდებლობას, ამასთანავე ებრაელებს სთავაზობდა ეროვნულ კერას. ბრიტანეთი ორმაგ ომს აწარმოებდა. ამაზე მეტყველებს ეგვიპტეში ინგლისელთა უმაღლესი კომისრის სერ ჰენრი მაკმაჰოლისა და მექის შარიფ ჰუსაინის მომოწერები, სადაც ინგლისელი დიპლომატი მაქსიმალური სიფრთხილით ცდილობდა პალესტინის მომავლის შესახებ ზუსტი პოზიცია გამოეხატა.

ინგლისელებისთვის მიმზიდველად გამოიყურებოდა ევროპული ტიპის ებრაული სახელმწიფოს წარმოქმნა ახლო აღმოსავლეთში. სიონისტური ორგანიზაციის მხრიდან აქტიურმა ზეწოლამ და რათქმაუნდა დიდი ბრიტანეთის გეოპოლიტიკურმა მიზნებმა, იძულებული გახადა ბრიტანეთის მთავრობა გამოეცა დოკუმენტი, რომელითაც ბრიტანეთის მთავრობის ნებით, ებრაელებს უფლება ეძლეოდათ შეექმნათ პალესტინაში ეროვნული კერა. 1917 წლის 2 ნოემბერს ბრიტანეთის სახელით საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა ლორდმა ბალფურმა საბოლოოდ შეთანხმებული ტექსტი ებრაული თემის წარმომადგენელს ლორდ როტშილდს გაუგზავნა. დიდი ბრიტანეთის მთავრობის სახელით დეკლარაციას ხელს აწერდა საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი არტურ ბალფური, ამიტომაც ეს დეკლარაცია „ბალფურის დეკლარაციის სახელით" არის ცნობილი,

ბალფური წერდა: „ძვირფასო ლორდო როტშილდ, ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, მისი უდიდებულესობის მთავრობის სახელით გადმოგცეთ ებრაელთა სიონისტური მისწრაფებისადმი თანაგრძნობის შემდეგი დეკლარაცია, რომელიც წარედგინა და დამტკიცდა კაბინეტის მიერ: მისი უდიდებულესობის მთავრობა კეთილგანწყობით უყურებს პალესტინაში ებრაელი ხალხისთვის ეროვნული კერის დაფუძნებას და გამოიყენებს მთელ თავის ძალისხმევას, რათა გააადვილოს ამ მიზნის მიღწევა, იმის ნათელი გაგებით, რომ არაფერი გაკეთდება ისეთი, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს პალესტინაში არსებული არაებრაული თემების სამოქალაქო და რელიგიურ უფლებებს, ანდა იმ უფლებებსა და პოლიტიკურ სტატუსს, რომლითაც ებრაელები სარგებლობენ რომელიმე სხვა ქვეყანაში. მადლობელი დაგრჩებით, თუკი გააცნობთ ამ დეკლარაციას სიონისტურ ფედერაციას."[2] სწორედ ბალფურის დეკლარაცია გახდა ებრაელთა მასობრივი დეპატრიაციის საფუძველი პალესტინაში. „დეკალარაციის გამოცემით დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გადადგა ტაქტიკური ნაბიჯი, ისინი ფიქრობდენ რომ მოიპოვებდნენ ამერიკელი ებრაელების მხარდაჭერას მსოფლიო ომში, რუსეთის ებრაელობა დააძალებდა მთავრობას ომში მონაწილეობის გაგრძელებას და ამასთანავე აჩვენებდა გერმანიის ებრაელობას, რომ ბრიტანეთი მათზეც ზრუნავს."[3]

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის საზღვრები სწორედ ანგლო-ფრანგული გადანაწილებისა და შემდეგ აქ სხვადასხვა სახელმწიფოების დაარსების შედეგად აღმოცენდა, რაც ზოგიერთ შემთხვევაში დღემდე პრობლემურია.

ოსმალეთის პროვინციები არაბთა სამეფოებად

**1 Scheinmann G. The Map That Ruined the Middle East, thetower.org, July 2013**
**2 გაჩეჩილაძე რ. საქართველო მსოფლიო კონტექსტში, თბილისი, 2017, გვ 119**
**3 გაჩეჩილაძე რ. საქართველო მსოფლიო კონტექსტში, თბილისი, 2017, გვ 120**

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

იქცნენ, ხოლო ლიბანსა და პალესტინაში იკვეთებოდა ქრისტიანული და ებრაული ანკლავები. „ახალი სახელმწიფოების საზღვრებს არ განსაზღვრავს არც ტოპოგრაფია და არც დემოგრაფია. პროექტი გახდა საიქს-პიკოს სამარცხვინო შეთანხმება, ფრანგულ-ბრიტანულ-რუსული საიდუმლო პაქტი, რომელიც გამოყოფდა რეგიონალურ ზონებს."[1]

ბრიტანეთმა მიიღო რა პალესტინის მართვის მანდატი, ამ მიწებზე თავისი პოლიტიკის განხორციელებას შეუდგა. დაიწყო პალესტინის მიწების ფართო, ებრაული კოლონიზაცია. „ლონდონის კეთილშობილურმა მიზანმა - მსოფლიოში გაფანტული ებრაელობისათვის ეროვნული კერის შექმნის შესაძლებლობა მიეცა, იმავე ლონდონს მალე თავბედი აწყევლინა და რამდენიმე ათწლეულის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში გაუთავებელი ომების მიზეზი გახდა."[2]

1917 წლის 11 დეკემბერს ბრიტანეთის არმია გენერალ ედმუნდ ალენბისის მეთაურობით იერუსალიმში შევიდა. 1920 წლის 1 ივლისიდან იერუსალიმი ოფიციალურად ბრიტანეთის სამოქალაქო ადმინისტრაციის ცენტრი გახდა.

1920-1922 წლებში ერთა ლიგამ ოსმალეთის იმპერიის ყოფილი ტერიტორიები დაყო მანდატებად. მანდატების ტერიტორიები სირია და ლიბანი გადაეცა საფრანგეთს, ერაყი და პალესტინა დიდი ბრიტანეთის ქვეშ მოექცა.[3]

1922 წლის 24 ივლისს სან რემოს საერთაშორისო კონფერენციაზე ერთა ლიგამ მანდატი დაამტკიცა და ბრიტანეთს გადაეცა პალესტინის მართვის მანდატი. მანდატის ტერიტორია იმაზე დიდი იყო, ვიდრე სიონისტების მიერ განხილული ისტორიული პალესტინა. ამ დროისთვის პალესტინაში 85 ათასი ებრაელი ცხოვრობდა. ბრიტანელთა მანდატი მდინარე იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე ტანსიორდანიის მთელ ტერიტორიას და დასავლეთი ნაპირის მიწებს მოიცავდა.

1922 წელს ბრიტანეთის სახელმწიფო მდივანმა კოლონიების საკითხში უინსტონ ჩერჩილმა, ამირა აბდალაჰის მმართველობის ქვეშ პალესტინის რეგიონიდან ახალი პოლიტიკური სუბიექტი შექმნა, „ტრანსიორდანიის საამირო" მოგვიანებით იორდანია, რამაც სიონისტების უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან თვლიდნენ რომ „ისტორიული პალესტინის" დიდი ნაწილი როგორც ისინი უწოდებდნენ, ტრანსიორდანიას გადაეცა. პალესტინის დასავლეთ ნახევარში ხმელთაშუა ზღვასა და მდინარე იორდანეს შორის, პალესტინელი არაბები და სიონისტი ებრაელები იბრძოდნენ კონტროლისთვის ბრიტანეთის ქოლგის ქვეშ.[4] სიონისტებმა ჩამოაყალიბეს რევიზიონისტული მოძრაობა. მისი ხელმძღვანელი რუსი ებრაელი ვლადიმირ ჟაბოტინსკი თვლიდა, რომ ებრაელთა სახლემწიფო მდ. იორდანეს ორივე, დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეს უნდა ყოფილიყო. მანდატის პირობებით, დიდი ბრიტანეთი ვალდებული იყო ხელი შეეწყო ებრაელთა იმიგრაციისთვის, შეექმნა ისეთი პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სამეურნეო პირობები, რომელიც პალესტინაში ებრაელთა ეროვნული კერის დაარსებას უზრუნველყოფდა. იერუსალიმში შეიქმნა ადმინისტრაციული და სასამართლო დაწესებულებები. 1924 წელს სამი რელიგიური თემიდან არჩეულ იქნა საქალაქო საბჭო, თითეული რელიგიური თემიდან ოთხ-ოთხი წარმომადგენლით.

უნდა ითქვას, რომ ბალფურის დეკლარაციას გარკვეული ხარვეზები ახლდა. მართალია ბრიტანეთი მხარს უჭერდა ებრაელთათვის ეროვნული კერის დაარსებას პალესტინის ტერიტორიაზე, მაგრამ მასში არ იყო მითითებული კონკრეტული საზღვრები სად უნდა დაესახლებინათ ებრაელები. სიონიზმის მიმდევართა ნაწილი ამ დეკლარაციას „ღვთის გეგმის უზურპაციად" მიიჩნევდნენ რადგან მიაჩნდათ, რომ ისრაელი უნდა აღედგინა მესიას, ებრაელები უნდა ჩასახლებულიყვნენ ნებაყოფლობით და მათ უნდა ჰქონოდათ უფლება შეენარჩუნებინათ სტატუსი ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. დეკლარაციაში საუბარია ებრაელთათვის ეროვნული კერის დაარსებაზე და არა მთელი პალესტინის ებრაულ კერად გადაქცევაზე.

მსოფლიო ებრაული კონგრესის ყოფილი პრეზიდენტი და ისრაელის სახელმწიფოს ერთ-ერთი დამფუძნებელი ნაჰუმ გოლდმანი წერდა: „რამდენად კანონიერადაც არ უნდა იყოს მისი მოთხოვნები, სიონისტურმა მოძრაობამ არ უნდა დაივიწყოს, რომ საყოველთაოდ მიღებული პრინციპი, სინამდვილე ასეთია: ესა თუ ის ტერიტორია ეკუთვნის მოსახლეობის იმ ჯგუფს, რომელიც წარმოადგენს უმრავლესობას. სხვა სიტყვებით, იდეოლოგიური და ეთნიკური თვალსაზრისით და პრაქტიკული პოლიტიკის თვალსაზრისითაც, სიონისტებს თავიდანვე უნდა ეცადათ მიეღწიათ ურთიერთგაგებისათვის არაბულ სამყაროსთან."[5]

ამავე პერიოდიდან იწყება აშშ-ს ოფიციალური ჩა-

**1 http://www.thetower.org Scheimann G. The Map that Ruined The Middle East, Issue # 4, July 2013**
**2 გაჩეჩილაძე რ. საქართველო მსოფლიო კონტექსტში, თბილისი, 2017, გვ. 119**
**3 Ian J. Bicerton and Carla L. Klausner, A History of the Arab-Israel Conflict, Ninth edition, New York, 2022**
**4 Friedman T. From Beirut to Jerusalem, National Book Award, New York, 1989**
**5 Berger E. Zionism the Dream and the Reality, 1974, p.235**

რევა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში. პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის მიერ ანტანტის ოთხი ქვეყნის - საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, აშშ და იტალიის საბჭოსთვის შეთავაზებულ იქნა სამშვიდობო პირობების დადგენა. ოსმალეთის იმპერიის არაბული პროვინციების სამომავლო განკარგვის შესახებ. ვილსონის შეთავაზება სირიის შესახებ მოკავშირეთა კომისიის შექმნას ითვალისწინებდა. კომისია უნდა გამგზავრებულიყო შუა აღმოსავლეთში მდგომარეობის შესასაწავლად და ანგარიში წარედგინა კომისიისთვის. კომისიის იდეა მისაღები იყო საფრანგეთის და ბრიტანეთის მთავრობებისთვის, თუმცა არცერთმა სახელმწიფომ კომისიის საქმიანობაში მისაღებად არ დანიშნა დელეგატები. კომისია გახდა მხოლოდ აშშ-ს კომისია და ამიტომაც მას იხსენებენ როგორც ორი კომისრის, ობერლინის კოლეჯის პრეზიდენტის, ბიზნესმენ ჰენრი ჩერჩილ კინგისა და დემოკრატიული პარტიის აქტივისტის ჩარლზ კრეინის სახელით.

კინგი და კრეინი გაემგზავრნენ პალესტინაში, სირიაში, ლიბანსა და ანატოლიაში, შეხვდნენ ადგილობრივ წარმომადგენლებს. შეხვედრის შედეგები პარიზში აშშ-ს დელეგაციაში შეიტანეს, თუმცა სამშვიდობო მოლაპარაკებებმა უგულებელყვეს."[1]

ებრაელ მიგრანტთა რიცხვი პალესტინაში სწრაფად იზრდებოდა. ათიათასობით იმიგრანტი ჩადიოდა პალესტინაში არალეგალურად, რაც აისახა კიდეც პალესტინის მოსახლეობაზე. პირველი მსოფლიო ომის წინ თუ ებრაელები პალესტინის მოსახლეობის 1/10 ნაკლები იყო, 1947 წლის მონაცემებით მათმა რიცხვმა თითქმის მესამედი შეადგინა.

1936 წელს პალესტინის წინააღმდეგობამ უცხოეთის მმართველობასთან და უცხოურ კოლონიზაციასთან მიმართებაში დაიწყო აჯანყება, რომელიც 1939 წლამდე ანუ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე გაგრძელდა. აჯანყება დაიწყო აპრილში ებრაულ-არაბული მცირე შეტაკებებით. შეიქმნა პალესტინის პოლიტიკური პარტიების ახალი გაერთიანება, არაბთა უმაღლესი კომიტეტი, რომელსაც იერუსალიმის მუფთი ალ ჯაფარ ამინ ალ-ჰუსეინი ხელმძღვანელობდა. კომიტეტმა საყოველთაო გაფიცვა დაიწყო თვითმმართველობის, ებრაელებზე მიწების გაცემის აკრძალვის და ებრაელების იმიგრაციის დაუყოვნებლივ შეჩერების მოთხოვნით.

მიუხედავად არაბების ებრაული იმიგრაციისადმი ძლიერი წინააღმდეგობისა, ბრიტანეთის მთავრობამ გასცა ნებართვები რამდენიმე ათასი ემიგრანტისთვის, სავარაუდოდ პალესტინელი ნაციონალისტებისათვის შემდგომი პროვოკაციების მოწყობის მიზნით. გაფიცვის ხანგრძლივობის შედეგად გაიზარდა ძალადობა. ხშირი იყო თავდასხმები ბრიტანეთის ჯარებსა და პოლიციის საგუშაგოებზე, ასევე ებრაულ დასახლებებზე. არსებული სიტუაციის შესასწავლად შექმნილმა სამეფო კომისარმა უარყო არაბებისა და ებრაელების წინაშე თანასწორი ვალდებულებების თეორია. ის ამტკიცებდა, რომ მანდატი განსაზღვრული იყო იმის გამო, რომ პალესტინის არაბები მიიღებდნენ ებრაელთა ეროვნულ სახლს.

„XX საუკუნის დასაწყისიდან ებრაულმა ორგანიზაციებმა დაიწყეს მიწების შესყიდვა პალესტინაში. მიწების დიდი ნაკვეთები ეკუთვნოდათ არა მხოლოდ პალესტინელ არაბებს, არამედ ფეოდალებს სირიიდან და ლიბანიდან, რომლებიც ყიდდნენ პალესტინის მიწის ნაკვეთებს სიონისტური ორგანიზაციის წარმომადგენლებზე."[2] სირიელი და ლიბანელი ფეოდალები უპირატესობას სიონისტებს ანიჭებდნენ და ნაცვლად თავიანთ თანატომელებზე მიწის არენდით გაცემაზე, მათ დაიწყეს მიწების მიყიდვა ებრაელებზე. მიწების 1/3-ზე მეტი ჯერ კიდევ ბალფურის დეკლარაციის გამოქვეყნებამდე იქნა გაყიდული. პალესტინაზე სიონისტური პრეტენზიების არსი და საფრთხე მხოლოდ მოგვიანებით გახდა მათთვის გასაგები, მაშინ როცა 1930-იანი წლებიდან პალესტინის ტერიტორიაზე გახშირდა არაბებსა და ებრაელებს შორის შეტაკებები.

XX ს-ის 40-იან წლებში პალესტინის ტერიტორიაზე მოქმედებდა ორი ნაციონალისტური მოძრაობა: სიონიზმი, რომელიც ესწრაფვოდა ებრაელთათვის ებრაული, ეროვნული კერის შექმნას პალესტინაში და მეორე, პალესტინურ-არაბული ნაციონალიზმი, რომელთა მთავარ მიზანს ბრიტანული მმართველობის გაუქმება და დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა. ამ ორმა ნაციონალისტურმა ხედვამ დაუდო საფუძველი და წარმოშვა კონფლიქტი ებრაელებსა და პალესტინელ არაბებს შორის.

„წარმოშობითა და თავისი არსით კონფლიქტი ებრაელებსა და არაბებს შორის მხოლოდ შედეგია ორი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის - ებრაულის და პალესტინურის. დილემა იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი მხრივ, ებრაელები მიისწრაფიან იბატონონ პალესტინაში, ხოლო მეორე მხრივ, ბუნებ-

1 Gelvin J. The Middle East and the United States: A Historical and Political Reassessment, 1999

2 ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს. – XXI ს.-ის დასაწყისი), კრებული, სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. თავი XIV, ალასანია გ. გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი, თბილისი, 2011, გვ. 458

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



რივი უფლება იმავეზე აქვთ პალესტინელებს."[1]

ებრაელები არაბებს თვლიდნენ როგორც ველურ აბორიგენებს, არაბებისთვის კი ებრაელები ევროპელ კოლონიზატორებს წარმოადგენდნენ. მრავალი კრიტიკოსი ჰყავდა ებრაელი კოლონისტების პოლიტიკას არაბულ მოსახლეობასთან მიმართებაში. „არაბების სიძულვილში თვითონ კოლონისტები არიან დამნაშავენი, მათ ეს დაიმსახურეს. ებრაელები ზედმეტად მაღალი აზრის არიან საკუთარ თავზე და ზედმეტად ქედმაღლურად უყურებენ არაბებს" - წერდა ცნობილი ჟურნალისტი და პუბლიცისტი ხაიმ ხისინი.

XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს იზრდება არაბთა უკმაყოფილება, ამ ფონზე დიდი ბრიტანეთის პოზიციებმა სერიოზული ცვლილებები განიცდა. ინგლისელებს უკვე კარგად ესმოდათ, რომ არაბთა უკმაყოფილების ზრდის ფონზე შეუძლებელი იქნებოდა პალესტინის გაყოფა ებრაელებსა და არაბებს შორის, ვინაიდან ორივე მხარე პალესტინას საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევდა. ამავე დროს გერმანიის და იტალიის გაძლიერება გარდაუვალს ხდიდა ომის დაწყებას, შესაბამისად ინგლისიელები ცდილობდნენ მეტი სიფრთხილე გამოეჩინათ არაბების მიმართ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ომის შემთხვევაში ადვილი შესაძლებელი იყო საბრძოლო მოქმედებების ასპარეზად ახლო აღმოსავლეთი ქცეულიყო.

1937 წელს სამეფო კომისიამ ლორდ პილის ხელმძღვანელობით გამოიტანა ინგლისელთათვის არასასურველი დასკვნები. კომისია თავის დასკვნაში წერდა, რომ სამანდატო რეჟიმის არ შეეძლო მოეგვარებინა პალესტინელებსა და ებრაელებს შორის გაღრმავებული კონფლიქტი. რეკომენდაციის სახით, კომისია დასკვნაში მიუთითებდა, რომ პალესტინაში, მოეწვიათ კონფერენცია ებრაული და არაბული თემების მონაწილეობით.

პილის კომისიამ გასცა შემდეგი შინაარსის დასკვნა:

– კონფლიქტი არ შეიძლება გადაწყდეს ერთი სახელმწიფოს ფარგლებში;

– პალესტინა უნდა გაიყოს ორ – არაბულ და ებრაულ ნაწილებად, მთელი გარდამავალი პერიოდის მანძილზე, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე;

– ებრაულმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს გალილეის დიდი ნაწილი, სანაპირო ზოლი თანამედროვე აშდოდამდე (პალესტინის ტერიტორიის 20%) არაბებმა უნდა მიიღონ მდ. იორდანეს დას. სანაპირო, ნეგევი, ღაზას მიდამოები. უნდა შეიქმნას ერთიანი არაბული სახელმწიფო, რომელშიც შევა ტრანსიორდანიაც;

– ებრაული თემისათვის გამოყოფილი ტერიტორიების ფარგლებში იკრძალება მიწების შეძენა;

– უნდა შეეზღუდოს ებრაელთა იმიგრაცია 8 ათასამდე 1937 წლის აგვისტოდან 1938 წლის 8 მარტამდე პერიოდში;

– ინგლისის კონტროლქვეშ უნდა დარჩეს იერუსალიმი, ბეთლემი და დერეფანი, რომელიც აკავშირებს იერუსალიმს იაფასთან. ასევე ვიწრო ზოლი აკაბას ყურის ჩრდილო-დასავლეთით და შესაძლოა, ქ. ნაზარეთი.

პილის კომისიის დასკვნის რეკომენდაციის გათვალისწინებით 1939 წლის თებერვალში, ლონდონში, სენტ-ჯეიმზში გაიმართა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც არაბები, ისე ებრაელები. იმავე წლის 17 მაისს გამოქვეყნდა ბრიტანეთის კოლონიების მინისტრის მალკოლმ მაკდონალდის ანგარიში ბრიტანეთის პარლამენტისადმი, რომელიც ცნობილია მაკდონალდის „თეთრი წიგნის" სახელით. „თეთრი წიგნის" მიღებით ბრიტანელები ფიქრობდნენ, რომ თავიდან აიცილებდნენ ომში არაბების მხარდაჭერას გერმანელების მიმართ. მაკდონალდის „თეთრი წიგნი" ფაქტიურად წარმოადგენდა „ბალფურის დეკლარაციის" რევიზიას. „თეთრი წიგნის" წინადადებების მიხედვით 10 წლის განმავლობაში უნდა შექმნილიყო დამოუკიდებელი სახლემწიფო პალესტინაში არაბული უმრავლესობით, უახლოესი 5 წლის განმავლობაში პალესტინაში შესვლის უფლება უნდა დაერთოთ არაუმეტეს 75 ათასი ებრაელისთვის. ამასთანავე შეზღუდვა ეხებოდა ებრაელების მიერ მიწების ყიდვას. სიონისტებმა ნეგატიურად მიიღეს „თეთრი წიგნი", რასაც საპასუხოდ მათი მხრიდან პალესტინის ბრიტანული ადმინისტრაციის წინააღმდეგ ტერორისტული აქტები მოჰყვა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც აქტიურად გრძელდებოდა. თვითონ არაბები და ებრაელები ომის პერიოდში მეტნაკლებად მშვიდობიანად თანაარსებობდნენ.

ბრიტანული მანდატით შეთავაზებული გაყოფა მდგომარეობდა შემდეგში: ებრაული სახელმწიფოს ტერიტორია განისაზღვრებოდა გალილეის, ესდრაელონის ვაკესა და სანაპირო ველს, არაბული სახელმწიფო კი პალესტინის დანარჩენი ნაწილით და ტრანს-იორდანიით. იერუსალიმისა და გარკვეული ქრისტიანული წმინდა ადგილებისთვის შეთავაზებულ იქნა მუდმივი მანდატი. გაყოფა მიუღებელი იყო ორივე მხრისთვის.

ებრაელებმა ბალფურის დეკლარაციის პირობების დარღვევაში დაადანაშაულ;ა ბრიტანეთის

1 Shlaim A. The Iron Wall: Israel and the Arab World, Norton Paperback, 17 January, 2001

მთავრობა, მაგრამ მოგვიანებით სიონისტურმა ორგანიზაციამ და ებრაულმა სააგენტომ, როგორც უფლებამოსილებმა მოლაპარაკებები ეწარმოებინათ ბრიტანეთის მთავრობასთან, შეესწავლათ ებრაული სახელმწიფოს შექმნისთვის შეთავაზების ზუსტი პირობები. მიიღეს არაბულმა კომიტეტმა ასევე დაგმო დანაწევრების შეთავაზება და კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი მოთხოვნა დამოუკიდებლობის შესახებ.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე 8 ათასი პალესტინელი და 21 ათასი ებრაელი ჩაერთო ინგლისელების სასარგებლოდ ომში. თუმცა ორივე მხარე ითვალისწინებდა ბრიტანულ იმპერიალიზმს, როგორც თავისუფლების მტერს. გახშირდა სიონისტების თავდასხმები ბრიტანეთის შეიარაღებებზე.

მეორეს მხრივ არაბი ნაციონალისტი და მუსლიმი რელიგიური ლიდერი, იერუსალიმის დიდი მუფთი ჰაჯ ამინ ალ-ჰუსეინი წავიდა ბერლინში, სადაც ის ავრცელებდა მიმართვებს და მოუწოდებდა მშობლიურ ქვეყანაში მოკავშირეთა წინააღმდეგ არეულებების, საბოტაჟის და აჯანყებებისკენ. აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა მოკავშირეთა ჯარებში მყოფ მუსლიმ მებრძოლებში.

1942-1945 წლებში ნაცისტურმა გერმანიამ გააძლიერა ებრაელთა მასობრივი ხოცვა მათი საბოლოო გაწყვეტის მიზნით. ამ წლებში გერმანელებმა და მათმა მოკავშირეებმა ექვს მილიონზე მეტი ებრაელი მოკლეს, ეს იყო ებრაელთა მასობრივი გენოციდი. „როდესაც მოკავშირეთა ჯარები საკონცენტრაციო ბანაკებში შევიდნენ, მათ აღმოაჩინეს გვამები, ძვლების და ადამიანების ფერფლი - ნაცისტების მასობრივი მკვლელობის მოწმობა. ჯარისკაცებმა ასევე აღმოაჩინეს ათასობით გადარჩენილი, შიმშილით დაუძლურებული და დაავადებული ებრაელი და არაებრაელი ტყვე.“[1]

ჰოლოკოსტმა ნათელი გახადა ებრაელების სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა. სიონისტებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ბრიტანელების დამოკიდებულება ებრაული სახელმწიფოს შექმნის საკითხში. დაიწყეს ახალი მოკავშირის ძებნა და შეეცადნენ აშშ-ს მხარდაჭერის მოპოვებას.

1942 წლის 11 მაისს ნიუ-იორკში, სასტუმრო ბალტმორში გაიმართა ებრაული სააგენტოს კომიტეტის სხდომა. სხდომაზე, რომელიც „ბილტმორის პროგრამის“ სახელითაა ცნობილი ოფიციალურად გამოცხადდა სიონისტური მოძრაობის პრიორიტეტების ცვლა პოლიტიკური მოკავშირეების არჩევაში. „ბილტმორის პროგრამის“ მთავარ მიზანს წარმოადგენდა ებრაული სახლემწიფოს შექმნა შეუზღუდავი იმიგრაციის გზით. სიონისტების პოლიტიკური მოკავშირე აშშ გახდა. თვითონ აშშ-ს სურდა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში და მათ შორის პალესტინის საკითხის გადაწყვეტაში აქტიური ჩარევა. სიონისტების ეს შეთავაზება მათთვის მისაღები იყო.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე შეიქმნა ინგლისურ-ამერიკული კომიტეტის. კომიტეტის მიზანს წარმოადგენდა დეტალურად შეესწავლა პალესტინაში არსებული სიტუაცია.

კომიტეტის საქმიანობის შედეგები მიუღებელი აღმოჩნდა სიონისტებისათვის უახლოეს დროში პალესტინისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების იდეა შეუძლებლი აღმოჩნდა, ვინაიდან მტრობა პალესტინელებსა და ებრაელებს შორის აუცილებლად გამოიწვევდა მათ შორის სამოქალაქო ომს. მანდატის დასრულების შემდეეგ პალესტინა უნდა გადასულიყო გაერთიანებილი ერების ორგანიზაციის მზრუნველობის ქვეშ, ასევე კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია შეეცვალათ „თეთრი წიგნის“ დებულება და პალესტინაში დასახლების ნება დაერთოთ 100 ათასი ებრაელისთვის. კომიტეტის ყველა რეკომენდაცია ბრიტანეთის მთავრობისთვის მიღებული იყო როგორც ცნობა. ვერც ლონდონის კონფერენციამ ვერ შეუწყო ხელი პალესტინის საკითხის გადაწყვეტას. დიდი ბრიტანეთი უძლური აღმოჩნდა უზრუნველეყო მშვიდობა წმინდა მიწაზე. მხარეთა მკაცრმა პოზიციამ და თავისმა უძლურებამ დიდი ბრიტანეთის მთავრობა აიძულა უარი ეთქვა მანდატზე და პალესტინის ყველა პრობლემა გადასცა გაერთიენებული ერების ორგანიზაციას.

1947 წლის 14 თებერვალს პალესტინის საკითხი გადაეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განსახილველად. იმავე წლის 15 მაისს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით შეიქმნა გაეროს სპეციალური კომისია პალესტინაზე. კომისიას უნდა გამოეკვლია პალესტინაში არსებული ვითარება და წარედგინა ისეთი წინადადებები, რომელსაც პალესტინის პრობლემის გადასაჭრელად მიზანშეწონილად ჩათვლიდა.

კომისია, რომლის შემადგენლობაში იყო 11 ქვეყნის წარმომადგენელი, 15 ივნისს ჩავიდა პალესტინაში ადგილზე მდგომარეობის შესასწავლად. კომისიის წევრები 5 კვირის განმავლობაში სწავლობდნენ არსებულ ვითარებას, გამოვლინდა რომ ებრაელები პალესტინაში კვლავ უმცირესობას წარმოადგენდნენ. 1947 წლის 31 აგვისტოს სპეციალურმა კომისიამ გაეროს წარუდგინა თავისი მოხსენება მთელი რიგი რეკომენდაციებით. მანდატის შეცვლა, პალესტი-

1 National Catholic Reporter "A Middle Eastern House of Cards," nrconline.org, May 4, 2015

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)


ნისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება და სხვა. კომისიამ ერთდროულად წარმოადგინა პალესტინის მოწყობის ორი გეგმა, პირობითად „ უმრავლესობის გეგმა" და „უმცირესობის გეგმა".

„უმრავლესობის გეგმა" ითვალისწინებდა პალესტინის დაყოფას ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არაბულად და ებრაულად, იმის გათვალისწინებით, რომ არაბები იყვნენ მოსახლეობის 60% და ებრაელები მოსახლეობის 40%. იერუსალიმი კი გაეროს მეურვეობის ქვეშ უნდა მოქცეულიყო. ორი წლის განმავლობაში ანუ გარდამავალ პერიოდში, გაეროს ზედამხედველობის ქვეშ პალესტინის მართვა უნდა განეხორციელებინა დიდი ბრიტანეთს. გეგმას ემხრობოდა კანადა, ჩეხოსლოვაკია, გვატემალა, ნიდერლანდები, პერუ, შვეცია და ურუგვაი.

„უმცირესობის გეგმის" მიხედვით უნდა შექმნილიყო ერთიანი ფედერაციული სახელმწიფო არაბული და ებრაული შტატებისგან დედაქალაქით იერუსალიმი. ვინაიდან მცხოვრებთა უმრავლესობა 90% მუსლიმი არაბი იყო ქვეყანა უნდა ემართათ მათ. ამ გეგმას მხარეს უჭერდა იუგოსლავია, ინდოეთი და ირანი. „უმცირესობის გეგმა" უარყვეს სიონისტებმა, ისევე როგორც დასავლეთმა და სსრკ-მ.

სიონისტებისთვის მომავალი ებრაული სახელმწიფოს საერთაშორისო პოლიტიკის მოდელი შვეიცარიის მსგავსი ნეიტრალიტეტი იყო. „ებრაულ სახელმწიფოს არ სურს ორიენტაცია რომელიმე განსაზღვრულ ქვეყანაზე, ამის გამო უფრო სწორია, რომ ახალი ებრაული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსი ეფუძნებოდეს ნეიტრალიტეტს და ორიენტაციას გაეროზე."[1]

1947 წლის 29 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 118, პალესტინის დაყოფაზე ებრაულ და არაბულ სახელმწიფოებად, იერუსალიმი კი საერთაშორისო კონტროლის ქვეშ მყოფი ქალაქი ხდებოდა. 33 სახელმწიფომ დაუჭირა მხარი რეზოლუციას, 13 სახელმწიფო წინააღმდეგი წავიდა, 10 ქვეყანამ თავი შიკავა. პალესტინა დაიყო ორ სახელმწიფოდ - ერთი ებრაელთათვის ნეგევას უდაბნოდან სანაპირო დაბლობზე თელ-ავივსა და ჰაიფას შორის, ჩრდილოეთ გალილეის ნაწილები და სხვა. და პალესტინელი არაბებისთვის, რომელიც მოიცავდა იორდანიის დასავლეთი სანაპიროს, ღაზას ოლქს, იაფისა და გალილეის არაბულ ტერიტორიებს. იერუსალიმი, რომელსაც როგორც ებრაელები ისე მუსლიმები თვლიდნენ წმინდა ქალაქად, გახდა საერთაშორისო ანკლავი გაეროს მეურვეობის ქვეშ.

აშშ-ს და სსრკ-ს პოზიციების შედეგად ებრაული სახელმწიფოს არსებობა რეალობად იქცა. არათანმიმდევრული იყო აშშ-ს პოზიცია პალესტინის საკითხების მიმართ. ამერიკელი ნავთობმომპოვებელი კომპანიები არ იზიარებდნენ ქვეყნის პროსიონისტურ პოზიციას. მეორე მხრივ ებრაული ლობი დახმარებისკენ მოუწოდებდა თავიანთ თანატომელებს პალესტინაში და სერიოზული გავლენა ჰქონდა პრეზიდენტ ჰარი ტრუმენზე. საინტერესოა ჰარი ტრუმენის პოზიცია: „ბოდიშს ვიხდი ბატონებო, მე უნდა გავცე პასუხი ასობით ათასს, რომელთაც სურთ სიონიზმის წარმატება. მე არა მყავს ასობით ათასი არაბი ჩემს ამომრჩეველებს შორის" მანვე განაცხადა, რომ ქვეყნის გაყოფა „გზას გაუხსნის არაბებისა და ებრაელების მშვიდობიან თანაარსებობას."[2] ისრაელის აღიარებას ეწინააღდეგებოდა გავლენიანი პოლიტიკოსი ჯორჯ მარშალი, ამერიკელი დიპლომატები და პენტაგონის წარმომადგენლები.

აშშ-ს პოზიციებში გარკვეული შემობრუნება მოხდა, მათ უარი განაცხადეს ებრაული ორგანიზაციებისათვის იარაღის მიყიდვაზე და გაეროს რეზოლუციაზე მხარდაჭერაზე, რომელიც ითვალისწინებდა პალესტინის გაყოფას. აშშ-მ წარადგინა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც რეზოლუციის შესრულება ძალის გამოყენების გარეშე შეუძლებელს ხდიდა და გამოვიდა წინადადებით გაეროს დროებით მეურვეობის თაობაზე. არაბულმა მხარემ პოზიტიურად მიიღო ამერიკული ინიციატივა, სიონისტებმა კი ამერიკელები იმპერიულ ზრახვებში და ებრაელთა საქმის ღალატში დაადანაშაულეს.

პალესტინის გაყოფას მშვიდობა არ მოჰყოლია, ვინაიდან ეს გაყოფა მიუღებელი იყო ორივე მხარისთვის. „სამშობლოს გაყოფა უკანონოა. ის არასადროს იქნება აღიარებული... ეს არ შეკრავს ებრაელ ხალხს. იერუსალიმი იყო და სამუდამოდ იქნება ჩვენი დედაქალაქი. ვერც ისრაელი იქნება აღდგენილი ისრაელის ხალხისთვის მთლიანად და სამუდამოდ".

სიონისტებმა, მიუხედავად იმისა, რომ სურდათ მიეღოთ მთელი დასავლეთ პალესტინა და იერუსალიმი, მიიღეს დანაწევრების გეგმა. პალესტინის არაბებმა და მიმდებარე არაბულმა სახელმწიფოებმა უარყვეს გაყოფის გეგმა, რაც გახდა არაბული სამყაროს გამაერთიანებელი ფაქტორი, თუმცა არასაკმარისი ეფექტური წინააღმდეგობისთვის.

სულ უფრო გახშირდა არაბებსა და ებრაელებს

**1 ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს. – XXI ს.-ის დასაწყისი), კრებული, სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. თავი XIV, ალასანია გ. გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი, თბილისი, 2011, გვ. 45**

**2 ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს. – XXI ს.-ის დასაწყისი),**

შორის შეიარაღებული კონფლიქტი, რასაც ორივე მხრიდან დიდი მსხვერპლი ახლდა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთის ფლოტი მაქსიმალურად ახდენდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების ბლოკირებას და ხელს უშლიდა იარაღის შეტანას, აშშ კი აწესებდა ემბარგოს მის შეტანაზე, ებრაელები მაინც იღებდნენ იარაღს არალეგალურად.

მეორე მხრივ პალესტინელებს ეხმარებოდნენ არაბული ქვეყნები ინგლისური იარაღით, პალესტინაში ჩავიდნენ მოხალისე მებრძოლები ერაყიდან, ტრანსიორდანიიდან, სირიიდან, ლიბანიდან.

გაეროს რეზოლუციით გათვალისწინებულ ინგლისურ მანდატს ვადა 1948 წლის 15 მაისს ეწურებოდა. ინგლისელები ჩქარობდნენ გამოეყენებინათ დრო თავიანთი ამოცანების გადასაწყვეტად, რაც ძირითადად პალესტინაში გავლენის შენარჩუნება და პალესტინის არაბული ნაწილის ტრანსიორდანიასთან მიერთებაზე იყო ორიენტირებული.

არსებობს ვარაუდი, რომ ინგლისური ადმინისტრაცია ცდილობდა ჩაეშალა გაეროს გადაწყვეტილება პალესტინის დაყოფაზე და ინსპირირებას უკეთებდა არაბულ-ებრაულ შეტაკებებს. ფაქტის უარყოფა ან დადასტურება ძნელია, თუმცა ის ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ ინგლისის ადმინისტრაცის პასიურობამ გამოიწვია პალესტინაში სიტუაციის გამწვავება.[1] ოფიციალურად ინგლისი აცხადებდა ნეიტრალურ პოზიციას და სურვილს პალესტინაში მშვიდობის შენარჩუნებაზე.

პალესტინის დაყოფის გაეროს რეზოლუციის მიღების დღიდან ინგლისის მანდატის ამოწურვამდე პალესტინის ტერიტორიაზე სამოქალაქო ომი მძინვარებდა. ამ დაპირისპირების ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ხოცვა-ჟლეტა ებრაელების არარეგულარული რაზმების ბოევიკებმა განახორციელეს არაბულ სოფელ დაირ-იასინში 1948 წლის 9 აპრილს. მოკლულ იქნა 250 ადამიანი, მათ შორის ქალები და ბავშვები. ამ სასტიკ ხოცვა ჟლეტას მოჰყვა ის, რომ პალესტინიდან არაბთა მასობრივი მიგრაცია დაიწყო. საპასუხოდ პალესტინელებმა თავდასხმა განახორციელეს იერუსალიმში საავადმყოფოზე და დახოცეს ექიმები, მოწყალების დები და სტუდენტები, სულ 79 ადამიანი. საინტერესოა, რომ შეტაკების ადგილიდან ორას მეტრში მყოფი ინგლისელი სამხედროები არც კი ჩაერივნენ რათა აეცილებინათ სისხლისღვრა.

ინგლისელთა მანდატის ამოწურვამდე ერთი დღით ადრე, 1948 წლის 14 მაისს პოლიტიკოსმა დავიდ ბენ გურიონმა გაეროს 118-ე რეზოლუციის საფუძველზე ისრაელის დამოუკიდებელი სახელმწიფო გამოაცხადა.

1948 წლის 14 მაისს ნაშუადღევს ოთხ საათზე, თელ-ავივის ხელოვნების მუზეუმში, იიშუვის ლიდერების წინ, დავიდ ბენ-გურიონმა წაიკითხა დამოუკიდებლობის დეკლარაცია და გამოაცხადა პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნა, რომელსაც ისრაელის სახელმწიფო ეწოდა.

დამოუკიდებლობის დეკლარაციამ პირობა დადო, რომ ისრაელის სახელმწიფო დაფუძნებული იქნებოდა თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის პრინციპებზე. მხარს დაუჭერს ყველა მისი მოქალაქის სრულ სოციალურ და პოლიტიკურ თანასწორობას, რელიგიის, რასისა და სქესის განსხვავების გარეშე. ერთგულად დაიცავდა გაეროს წესდების პრინციპებს. იგი კონკრეტულად ჰპირდებოდა თანაბარ უფლებებს ისრაელის სახელმწიფოს არაბ მოსახლეობას და მშვიდობის ხელს უწვდიდა ყველა მეზობელ არაბულ სახელმწიფოს.

იმავე საღამოს ჰარი ტრუმენმა დე ფაქტო აღიარა ისრაელის სახელმწიფო, 18 მაისს ისრაელი დე ფაქტო ცნო საბჭოთა კავშირმა, რამდენიმე დღის შემდეგ კი, 25 მაისს აღიარა დე-იურედ.[2]

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ისრაელს ომი გამოუცხადა არაბულმა ქვეყნებმა. არაბული ქვეყნებისა და ისრაელის პირველ ომში, ანუ „დამოუკიდებლობისთვის ომში" როგორც მას არაბები უწოდებენ, სხვა ბევრ პრობლემასთან ერთად ერთ-ერთი უმთავრესი გახდა პალესტინელი ლტოლვილების პრობლემა. ებრაული ეროვნული მიწის ფონდის დირექტორი ჯოზეფ ვაიტცი, ჯერ კიდევ 1940 წლის 19 დეკემბერს წერდა: „ნათელი უნდა იყოს, რომ ორივე ხალხისათვის ამ ქვეყანაში ადგილი არ არის. სხვა გზა არ არის, გარდა არაბების გასახლებისა აქედან მეზობელ ქვეყნებში, მათი სრულად გაყვანა.[3] უფრო ადრე დავიდ ბენ გურიონიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ის იძულებითი გასახლების მომხრე იყო, თუმცა ომის დროს მას მსგავსი ბრძანება არ გაუცია. პალესტინელთა მასობრივმა მიგრაციამ თავიანთი მიწებიდან

კრებული, სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. თავი XIV, ალასანია გ. გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი, თბილისი, 2011, გვ. 458

1 ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს. – XXI ს.-ის დასაწყისი), კრებული, სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. თავი XIV, ალასანია გ. გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი, თბილისი, 2011, გვ. 458

2 ხონელიძე ნ. ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, თბილისი, 2003

3 William R.P. Gaza and The Palestine Crisis in History, 2014

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



მიიღო სახელწოდება ნაკბა (კატასტროფა). მნიშვნელოვანია პალესტინელთა გაქცევის მნიშვნელობა როგორც ებრაელთათვის პალესტინელთა მიწების შემოერთების ლეგალიზებისთვის ასევე პალესტინელთათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისას.

პროისრაელურ შრომებში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ პალესტინელებმა, არაბული ქვეყნების მოწოდების საფუძველზე ნებაყოფლობით დატოვეს თავიანთი სახლები, პროარაბულ ნაშრომებში კი ამ გადასახლების იძულებით ფაქტორებზეა საუბარი. როგორც უკვე ვთქვით, პალესტინელი არაბების გაქცევა დაიწყო არაბული ქვეყნებისა და ისრაელის პირველი ომის დაწყებამდე. სწორედ დაირ-იასინში ებრაელი ბოევიკების მიერ მოწყობილი სისხლიანი მოვლენების შემდეგ მიიღო პალესტინელთა გაქცევამ ფართო მასშტაბები. არაბებმა მას საჩვენებელი სადამსჯელო ოპერაცია უწოდეს. „მითი „მიწა ხალხის გარეშე" განხორციელდა ებრაული ტერორისტული ორგანიზაციების ძალით და განმტკიცდა არაბების უუნარობით დაეცვათ თავიანთი სახლები."[1]

ისრაელის სამხედრო წარმატებები ხელს უწყობდა მის აღიარებას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიერ. ნელ-ნელა გაუმჯობესდა ურთიერთობა აშშ-სთან და დიდი ბრიტანეთთან. 1949 წელს აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა ნატოს ტიპის სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა და ამ ორგანიზაციაში ისრაელს წევრობა შესთავაზეს, თუმცა ისრაელის მთავრობამ უარი განაცხადა გაერთიანება რომელიმე სამხედრო ბლოკში. ასევე უარი განაცხადა აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის სამხედრო ბაზების თავის ტერიტორიაზე განლაგებაზე. ის მყარად ინარჩუნებდა გამოცხადებულ ნეიტრალიტეტს ბიპოლარულ სამყაროში. ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის, რომელთა არაპირდაპირი მონაწილეობით შეიქმნა ისრაელი, საკმაოდ რთული იყო ნეიტრალიტეტის შენარჩუნება.

## დასკვნა

ისრაელსა და პალესტინას შორის კონფლიქტი უკვე რამდენიმე ათეული წელია მიმდინარეობს. ამ კონფლიქტს ეთნო-ტერიტორიული ხასიათი აქვს. კონფლიქტიდან გამომდინარე ახლო აღმოსავლეთი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ცხელი წერტილია. ევროპიდან მასობრივი მიგრაციის ფონზე, ებრაელებმა პალესტინის მიწაზე დასახლება ჯერ კიდევ პოლიტიკური სიონიზმის ოფიციალურად დაფუძნებამდე ათწლეულებით ადრე დაიწყეს. პროცესის მასშტაბები XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში საგრძნობლად გაიზარდა. ის რამდენიმე ტალღად განხორციელდა.

XIX საუკუნის 90-იან წლებში, ევროპასა და რუსეთში ანტისემიტური განწყობების გაძლიერებასთან ერთად ჩაისახა მოძრაობა სიონიზმი. ის ეფუძნებოდა იმ დროისთვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაფანტულ ებრაელთა პალესტინაში დამკვიდრებისა და იქ სახელმწიფოს შექმნის იდეას.

პალესტინაში ებრაელთა იმიგრაციამ მასობრივი სახე მიიღო XX საუკუნის 30-აინ წლებში, აღმოსავლეთ ევროპაში ანტისემიტური ტალღისა და ჰიტლერის აღზევების ფონზე. პალესტინის ებრაული მოსახლეობის რაოდენობა გაორმაგდა. პარალელურად, მომძლავრდა წინააღმდეგობა და უკმაყოფილება ადგილობრივ არაბებში. ამ უკმაყოფილებამ ზოგიერთ შემთხვევაში ძალადობრივი სახე მიიღო. ამავე პერიოდში დაიწყო არაბული ნაციონალიზმის მომწიფება. ვითარებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია 1936-39 წლებში, ე.წ. „არაბთა ამბოხის" დროს, როცა პალესტინაში ბრიტანეთის მმართველობასა და ებრაელთა მასშტაბურ იმიგრაციას აპროტესტებენ. ეს ჯერ გაფიცვებში გამოიხატა, შემდეგ კი - შეიარაღებულ გამოსვლებში, რომლებიც ბრიტანეთმა ჩაახშო.

ჰოლოკოსტის შემდეგ, როცა პალესტინას ებრაელთა ახალი ტალღა მიაწყდა, საერთაშორისო საზოგადოებაში გაიზარდა მხარდაჭერა ებრაელთა სახელმწიფოს შექმნისადმი. გაეროს წარმომადგენლებმა ვითარება შეისწავლეს და მას შემდეგ, რაც ერთ სახელმწიფოში ამ ორი ერის მშვიდობიანად თანაცხოვრების პერსპექტივა გამოირიცხა, ორგანიზაციამ 1947 წელს გამოსცა რეზოლუცია პალესტინის გაყოფის შესახებ.

გეგმის თანახმად, ებრაულ სახელმწიფოს რჩებოდა პალესტინის მიწის 56.47%, არაბულს კი — 43.53%. ებრაულ სახელმწიფოში იცხოვრებდა 498 000 ებრაელი და 325 000 არაბი, არაბულში კი — 807 000 არაბი და 10 000 ებრაელი.

ქალაქ იერუსალიმს ენიჭებოდა სპეციალური სტატუსი და რჩებოდა საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ, რომელიმე სახელმწიფოზე მიკუთვნების გარეშე.

ებრაელებმა ეს გეგმა მიიღეს, არაბებმა კი უსამართლოდ მიიჩნიეს და იუარეს. გაეროს რეზოლუცია პრაქტიკაში არასდროს განხორციელებულა.

საბოლოოდ, შეთანხმება ვერ შედგა: ბრიტანეთი სამანდატო ტერიტორიიდან გავიდა, 1948 წლის 14 მაისს კი ებრაულმა სახელმწიფომ, ებრაელებსა და არაბებს შორის მძიმე შეტაკებების ფონზე, დამოუ-

1 Masalha Nur, Expulsion of the Palestinians: the Concept of „Transfer". Zionist Political Thought, 1882-1948. Washington, Institut for palestine Stadies, 1992

კიდებლობა გამოაცხადა ისრაელის სახელწოდებით.

15 მაისს, პალესტინის გათავისუფლების საბაბით, ისრაელს ომი გამოუცხადა ხუთმა არაბულმა ქვეყანამ, რომლებიც შეუთანხმებელი სტრატეგიისა და ისრაელის მზარდი სამხედრო რესურსების ფონზე, დამარცხდნენ.

ისრაელის ტერიტორია სამანდატო პალესტინის 77%-მდე გაფართოვდა, ეგვიპტემ დაიკავა ღაზა, იორდანიამ კი — მდინარე იორდანეს დასავლეთი სანაპირო. ზავის შედეგად, იერუსალიმი გაიყო: დასავლეთი ისრაელს დარჩა, აღმოსავლეთი — იორდანიას. გაეროს მონაცემებით, ამ პერიოდში ასობით ათასი პალესტინელი იძულებით გადაადგილდა ან განიდევნა საკუთარი საცხოვრებლებიდან. ამჟამად ისრაელი იერუსალიმს თავის განუყოფელ დედაქალაქად განიხილავს. აღნიშნულს საერთაშორისო საზოგადოების დიდი ნაწილი არ ეთანხმება, აღმოსავლეთ იერუსალიმს კი ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად მიიჩნევს.

ამ დროისთვის ისრაელის დამოუკიდებლობა აღიარებული აქვს და მასთან დიპლომატიურ ურთიერთობებშია ექვსი არაბული ქვეყანა. ეგვიპტემ და იორდანიამ დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან გასულ საუკუნეში გააფორმეს, კერძოდ 1979 წელს ეგვიპტემ და 1994 წელს იორდანიამ. არაბეთის გაერთიანებულმა საამიროებმა, ბაჰრეინმა, სუდანმა და მაროკომ კი 2020 წელს გააფორმა შეთანხმება ისრაელთან. მსგავს შეთანხმებებს გმობენ არაბული რეგიონის სხვა სახელმწიფოები, რომლებიც აღნიშნულს პალესტინის იდეის ღალატად განიხილავენ.

2021 წლის მონაცემებით ისრაელს ფორმალური დიპლომატიური ურთიერთობა აქვს მსოფლიოს 168 სახელმწიფოსთან.

რეგიონის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშე, თურქეთი, ისრაელთან ურთიერთობების დათბობის გზას ადგას, თუმცა 2021 წლის მაისში განვითარებულმა კონფლიქტმა ამ პროცესზე, როგორც მინიმუმ, დადებითად არ იმოქმედა. ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციამ (OIG) 2021 წლის მაისში ღაზაში განვითარებულ მოვლენებს „ბარბაროსული" უწოდა დაგმო „სისტემური დანაშაული" პალესტინელთა წინააღმდეგ. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ პალესტინელთათვის საერთაშორისო დაცვის მექანიზმი მოითხოვა, ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის (OIC) წინაშე კი თქვა, რომ ისრაელმა პასუხი უნდა აგოს ომის დანაშაულებისთვის.[1]

„ისრაელის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს ირანიც, რომელიც არ აღიარებს მის სახელმწიფოებრიობას და ათწლეულებია, მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებით გამოირჩევა ისრაელის მიმართ, რაც შეიარაღებული დაჯგუფებების (ჰამასი და სხვ.) მხარდაჭერაშიც გამოიხატება."[2]

გაეროს მონაცემებით იმ ადამიანებისა და მათი შთამომავლების რიცხვი, რომელთაც ამ კოფნლიქტის გამო თავიანთი საცხოვრებლის დატოვება მოუწიათ ხუთ მილიონს შეადგენს.

მათი დიდი ნაწილი ღაზაში, დასავლეთ სანაპიროზე, სირიაში, ლიბანსა და იორდანიაში ცხოვრობს. ამ ადამიანების დაბრუნება პალესტინელთა ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა, რასაც არ იზიარებს ისრაელი. ამ რაოდენობის ადამიანების მიღებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან, ამბობენ რომ ქვეყანა მეტად გადაიტვირთება და დასრულდება ებრაული სახელმწიფოს არსებობა. პრობლემებია ებრაული ახალშენების კანონიერების საკითხში, იერუსალიმის სტატუსში და სხვ. ნებისმიერი სამშვიდობო შეთანხმების რეალიზებას ორივე მხარის თანხმობა დასჭირდება. სწორედ ამიტომ, მიუხედავად ათწლეულების, ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა, პრობლემების უმრავლესობა კვლავ ღიად რჩება.

2021 წლის მაისის მოვლენების შემდეგ ცხადი იყო, რომ ამ კონფლიქტის დარეგულირება საკმაოდ ხანგრძლივი და დაუსრულებელი პროცესია. ამ ფაქტს ადასტურებს 2023 წლის 7 ოქტომბერს „ჰამასის" მებრძოლების თავდასხმა ისრაელზე, რომელიც ბოლო წლებში განხორციელებულ თავდასხმათა შორის ყველაზე მასშტაბურია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს თავდასხმა არ იყო შემთხვევითი თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ერთი დღით ადრე შესრულდა იომ ქიფურის ომის დაწყების, ეგვიპტისა და სირიის ისრაელზე თავდასხმის 50 წლისთავი.[3]

ძნელია განისაზღვროს როგორი იქნება კონფლიქტის განვითარება განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუკი კონფლიქტში ჩაერთვება „ჰეზბოლა," ირანი ან სხვა არაბული სახელმწიფო, რადგან კონფლიქტის ესკალაცია რამდენიმე აქტორის, მათ შორის რუსეთის ინტერესებშიც შედის[4].

---

1 @netgazeti.ge, გვაძაბია მ. ისრაელ პალესტინის კონფლიქტი, 18 მაისი, 2021
2 @netgazeti.ge). გვაძაბია მ. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი, 18 მაისი, 2021
3 https://forbes.ge ბერაძე დ. „ჰამასის" ისრაელზე თავდასხმის მიზეზები და მოვლენათა ქრონოლოგია, 9 ოქტომბერი, 2023 წელი
4 https://forbes.ge ბერაძე დ. „ჰამასის" ისრაელზე თავდასხმის მიზეზები და მოვლენათა ქრონოლოგია, 9 ოქტომბერი, 2023 წელი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



# GEOECONOMIC STRATEGY IN THE CONDITIONS OF MODERN GEOPOLITICAL CHALLENGES

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: Yanuary 29, 2024
Published: February 17, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19012024-60



**Mariam Khorava**
PHD student at Tbilisi State University
ORCID-ID - 0009-0000-7918-7637
E-Mail: mm.khorava@gmail.com
Cell: (+995) 555454452

## ABSTRACT

*This article examines contemporary geoeconomic strategy amidst global geopolitical and economic challenges. Coined by Edward Lutwak, geoeconomics integrates international economics, geopolitics, and strategy, emphasizing economic power in global dynamics.*

*Examining the connection of economic policies with geopolitical interests, the article investigates how states use economic instruments to assert power, maneuver regional hegemonies, and safeguard strategic objectives. The article highlights the transformative impact of events like Brexit, the COVID-19 pandemic, and the Russian invasion of Ukraine in February of 2022, emphasizing the importance of economic diplomacy in the complexity of contemporary challenges.*

*In navigating this landscape, states must adopt nuanced geoeconomic strategies to secure their national interests effectively. The article underscores the necessity for innovative approaches to address modern geopolitical complexities and ensure relevance in an interconnected world.*

***Keywords:*** *geoeconomics, geopolitics, economic policy, world economic order, international economic relations.*

**REFERENCES:**

1.Kvinikadze, G. (2018) Geoeconomics, 168-223. “Universal” press;

2.Luttwak, E. N. (1990). From Geopolitics to Geo-Economics: Logic of Conflict, Grammar of Commerce. The National Interest, 20, 17–23;

3.Soren Scholvin & Mikael Wogell (2018), Power politics by economic means: Geoeconomics as an analytical approach and foreign policy practice;

4.Blackwill, R.D., Harris, J. (2016). War by Othermeans: Geoeconomics and Statecraft. Harvard, Belknep Press;

Analytical Bases of Geoeconomics: Analysis Methods and State Practices (2020) J. Polit. Econ. 40 (1);

5.Cowen D, and Smith N. (2009), “After Geopolitics?: From the Geopolitical Social to Geoeconomics,” Antipode, vol. 41, no. 1;

6.Babić, M., Dixon, A.D., Liu, I.T. (2022). Geoeconomics in a Changing Global Order;

7.In: Babić, M., Dixon, A.D., Liu, I.T. (eds) The Political Economy of Geoeconomics: Europe in a Changing World. International Political Economy Series. Palgrave Macmillan, Cham;

8.World Economic Forum, Geo-economics Seven Challenges to Globalization, Global Agenda Councils.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



# გეოეკონომიკური სტრატეგია თანამედროვე გეოპოლიტიკური გამოწვევების პირობებში

**მარიამ ხორავა**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ელ.ფოსტა: mm.khorava@gmail.com
ტელ: (+995) 555454452

**აბსტრაქტი**

*სტატია განიხილავს თანამედროვე გეოეკონომიკურ სტრატეგიას გლობალური გეოპოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევების ფონზე. ედვარდ ლუტვაკის მიერ შექმნილი ტერმინი „გეოეკონომიკა" აერთიანებს საერთაშორისო ეკონომიკას, გეოპოლიტიკას და სტრატეგიას, და შესაბამისად, ხაზს უსვამს ეკონომიკური ძალის მნიშვნელობას გლობალურ დინამიკაში.*

*ეკონომიკური პოლიტიკის გეოპოლიტიკურ ინტერესებთან კავშირის შესწავლისას, სტატია იკვლევს, თუ როგორ იყენებენ სახელმწიფოები ეკონომიკურ ინსტრუმენტებს ძალაუფლების დასამტკიცებლად, რეგიონალური ჰეგემონიების მანევრირებისა და სტრატეგიული მიზნების დასაცავად. სტატიაში ხაზგასმულია ტრანსფორმაციული გავლენა ისეთი მოვლენებისა, როგორიცაა Brexit, COVID-19 პანდემია და რუსეთის შეჭრა უკრაინაში 2022 წლის თებერვლის თვეში. შესაბამისად, აღნიშნულ მოვლენებზე დაყრდნობით, ხაზგასმულია თანამედროვე გამოწვევების პირობებში ეკონომიკური დიპლომატიის მნიშვნელობა.*

*არსებული ეკონომიკურ-პოლიტიკური ლანდშაფტიდან გამომდინარე, სავულისხმოა, რომ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ფრთხილი და გაცნობიერებული გეოეკონომიკური სტრატეგიები, რათა ეფექტიანად დაიცვან თავიანთი ეროვნული ინტერესები. სტატიაში აღნიშნულია სწორედ ინოვაციური მიდგომების აუცილებლობა თანამედროვე გეოპოლიტიკური სირთულეების გადასაჭრელად და ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში სტრატეგიათა შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.*

***საკვანძო სიტყვები:*** *გეოეკონომიკა, გეოპოლიტიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.*

## შესავალი

დღევანდელ კომპლექსურ გლობალურ ლანდშაფტში, გეოეკონომიკური სტრატეგიის კონცეფცია ჩნდება, როგორც სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ინსტრუმენტი ეკონომიკისა და გეოპოლიტიკის სინქრონული არსებობისათვის.

სტატია იკვლევს გეოეკონომიკური სტრატეგიის არსს თანამედროვე გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე. იგი ასახავს, თუ როგორ იყენებენ სახელმწიფოები ეკონომიკურ ძალას თავიანთი სტრატეგიული ინტერესების წინსვლისთვის, იყენებენ რა ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა სავაჭრო პოლიტიკა და ფინანსური სანქციები გლობალური საქმიანობის სირთულეებში ნავიგაციისთვის.

როდესაც ჩვენ ვხედავთ ისეთი მოვლენების ტრანსფორმაციულ გავლენას, როგორიცაა Brexit და COVID-19 პანდემია, გეოეკონომიკური სტრატეგიების მნიშვნელობა სულ უფრო აშკარა ხდება. მრავალპოლარული კონკურენციიდან ეკონომიკასა და უსაფრთხოებას შორის ტრადიციული საზღვრების დაბინდვამდე, გეოეკონომიკა გვთავაზობს ყოვლისმომცველ ჩარჩოს თანამედროვე გეოპოლიტიკის გასაგებად.

გეოეკონომიკური სტრატეგიის თანამედროვე შესწავლა სცილდება დისციპლინურ საზღვრებს. იგი იძენს შეხედულებებს ეკონომიკის, პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობებიდან. მისი თეორიული საფუძვლების, პრაქტიკული გამოყენებისა და სტრატეგიული შედეგების გაანალიზების საფუძველზე, სტატია მიზნად ისახავს გლობალური ეკონომიკური წესრიგის ფორმირების პროცესში გადაწყვეტილებების მიღებისთვის საჭირო გარემოებების კვლევას.

## საკითხი 1: გეოეკონომიკა და მასზე ზემოქმედი ფაქტორები

გეოეკონომიკა შეისწავლის, თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა საერთაშორისო გარემოში. ეს ძირითადად არის შრომის, კაპიტალისა და ბაზრის გლობალური მოძრაობის კვლევა. ამგვარად, გეოეკონომიკის კონცეფცია ურთიერთქმედებს სახელმწიფოების გეოგრაფიულ და დემოგრაფიულ

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



ასპექტებთან და, შესაბამისად, გავლენას ახდენს მათ პოლიტიკაზე საერთაშორისო ვაჭრობისა და კომერციის მიმართულებით. გეოეკონომიკა ასევე გვაწვდის ინფორმაციას ყველაზე დიდი ეკონომიკური სიძლიერის მქონე სახელმწიფოების შესახებ და იმაზე, თუ როგორ მოქმედებენ ისინი გლობალური ძალაუფლების სტრუქტურაზე.

გეოსტრატეგია არის სახელმწიფოთა შორის პოლიტიკის შემუშავების პრაქტიკული სამყარო საერთაშორისო დონეზე. ის ძირითადად აცნობებს სახელმწიფოებს, ჩამოაყალიბონ სტრატეგიული კურსი, თუ რომელი პოლიტიკა უნდა გაატარონ საერთაშორისო წესრიგის თვალსაზრისით საკუთარი პოზიციის გასაუმჯობესებლად. ეს შეიძლება მოიცავდეს პოლიტიკას, რაც სახელმწიფო აქცევს მსოფლიოში გამორჩეულ ძალად, ან ჩამოყალიბდეს ლიდერ ეკონომიკურ ძალად რეგიონში. აღსანიშნავია, რომ გეოსტრატეგიის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა.

მნიშვნელოვანია, რომ გეოეკონომიკური ინტერესები ქვეყნის პოლიტიკურ ინტერესებთან იყოს ჰარმონიაში. თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკაში მიმდინარე უარყოფით ექსტერნალიებსა თუ სხვა ფაქტორებს (უმუშევრობა, მიგრაცია და ა.შ.), კრიტიკულად აუცილებელია ქვეყნის მთავრობებმა კომპლექსური ღონისძიებები გაატარონ ეკონომიკურ-პოლიტიკური მექანიზმების შემუშავებითა და გეოპოლიტიკური ამოცანების ამოხსნის მიმართულებით. ზოგადად, გეოეკონომიკა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც საერთაშორისო ეკონომიკის, გეოპოლიტიკისა და სტრატეგიის ურთიერთკავშირი.

ტერმინი „გეოეკონომიკა“ ლექსიკონში 1990 წელს ედვარდ ლუტვაკის სტატიით გამოჩნდა. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი დაიწყო. ლუტვაკი ამტკიცებდა, რომ ცივი ომის შემდეგ სამხედრო ძალაუფლების მნიშვნელობამ ადგილი დაუთმო გეოეკონომიკურ ძალას. გეოეკონომიკა, როგორც საგარეო პოლიტიკური სტრატეგია გულისხმობს სახელმწიფოების მიერ ძალაუფლების ეკონომიკური საშუალებების გამოყენებას სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით.

ლუტვაკმა აღწერა სახელმწიფოებს შორის მეტოქეობის მთავარი ასპარეზი, არა როგორც სამხედრო, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისით. მან მოგვიანებით (1993) კოლაბორაციის საფუძველზე მოგვცა თავისი იდეების განხორციელების გზები სამი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ წიგნში. ევროპასა და შეერთებულ შტატებში საბჭოთა საფრთხის გაქრობის გარდა, ის არ ითვალისწინებდა უახლოეს მომავალში რაიმე სამხედრო დაპირისპირებას.

გლობალური ეკონომიკური წესრიგი გამუდმებით განიცდის ცვლილებებს. მიუხედავად იმისა, რომ ნეოლიბერალური გლობალიზაცია თითქოს გადაურჩა 2008 წლის ფინანსურ კრიზისს, მისი ერთგვარი მახასიათებლები მომდევნო წლებში განვითარებული პოლიტიკური მოვლენებისათვის მოძველებული აღმოჩნდა. ამრიგად, ადრეული გეოეკონომისტების აზრით, ცივი ომის დასასრული არ უტოლდებოდა „ისტორიის დასასრულს“, რაც იწინასწარმეტყველა ფრენსის ფუკუიამამ (1992). ახალ გეოეკონომიკურ ეპოქაში, სახელმწიფოები კვლავ უნდა ესწრაფოდნენ მიზნებს სამხედრო საშუალებების ნაცვლად ეკონომიკური გზით.

გეოეკონომიკა შეიძლება განვსაზღვროთ ორი განსხვავებული მიმართულებით: 1. როგორც კავშირი ეკონომიკურ პოლიტიკას, ეროვნულ ძალებსა და გეოპოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებებს შორის. (სხვა სიტყვებით, ეკონომიკური ფენომენების გეოპოლიტიკური შედეგები); 2. ან, როგორც გეოპოლიტიკისა და ძალაუფლების ტენდენციების ეკონომიკური შედეგები. აღნიშნული ორივე მოსაზრება, რომ ეროვნული ძალაუფლების პროექციას აქვს ეკონომიკური შედეგები და პირიქით, რომ არსებობს ძირეულად ეკონომიკური ფენომენების გეოპოლიტიკური შედეგები, მიუთითებს გეოეკონომიკის საგანზე.

ნებისმიერ შემთხვევაში, გეოეკონომიკის ინტელექტუალური ფესვები მე-17 საუკუნის ევროპულ, ძირითადად ფრანგულ მერკანტილიზმშია ჩადებული. ბაზრების, რესურსებისა და სამხედრო დევნა, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში მეტი ექსპორტის განვითარებასა და ნაკლები იმპორტის წახალისებას, და იაფად შესყიდვისა და ძვირად გაყიდვის პრინციპებს, წინ უძღოდა თავისუფალი ვაჭრობისა და laissez-faire-ს იდეებზე დაფუძნებული თანამედროვე ეკონომიკის გამოჩენას. გეოეკონომიკა არ ემთხვევა ტრადიციულ გეოპოლიტიკას, რადგან ის მოიცავს და აძლიერებს ეკონომიკურ განზომილებას, როგორც სტრატეგიულ ასპექტს. გეოეკონომიკა კვეთს ეკონომიკური და გეოპოლიტიკური სფეროების საშუალებებსა და მიზანს.

გეოეკონომიკის ანალიტიკურ ჩარჩოებში, ცენტრალურ ადგილს იკავებს ეკონომიკური ძალა გეოპოლიტიკური ძალაუფლების მდგრადობისათვის. სამხედრო ძალის, დიპლომატიური აპარატის, სადაზვერვო სამსახურების შენარჩუნებაც კი,

განპირობებულია ეკონომიკური ძალაუფლების განხორციელებით. შესაბამისად, შეიმჩნევა, რომ გეოეკონომიკური სტრატეგია ეფუძნება ეკონომიკური რესურსების გამოყენებას პოლიტიკური მიზნებისათვის, თუმცა, ამ გამოყენებამ შეიძლება ეკონომიკური მოგებაც კი მოიტანოს.

ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება ეროვნული ინტერესების ხელშეწყობისა და დაცვისათვის, ასევე მომგებიანი გეოპოლიტიკური შედეგების მისაღებად, გეოეკონომიკის სინთეზად გვევლინება. (Blackwill and Harris) გეოპოლიტიკა ერთი მხრივ ანალიზის მეთოდია, მეორე მხრივ - სახელმწიფო პრაქტიკა. გეოეკონომიკა ეხება იმის ანალიზს, თუ როგორ ავითარებს და ახორციელებს სახელმწიფო ძალაუფლებას ეკონომიკური პერსპექტივიდან და არა მკაცრად გეოგრაფიული პერსპექტივიდან. ამრიგად, გეოეკონომიკა აერთიანებს გეოპოლიტიკის ლოგიკას ეკონომიკურ ინსტრუმენტებთან. აღქმა, რომ ეკონომიკა იძენს ახალ განზომილებას გლობალური ძალაუფლების განაწილებაში, აყალიბებს რესურსების განლაგებას, როგორც ცენტრალურ ფაქტორს სახელმწიფოთაშორისი კონკურენციის სტატუსის გაგებისათვის.

ჩვენს სამყაროში გლობალური ნაკადები და ურთიერთკავშირები, სახელმწიფოს სტრატეგიული იმპერატივები გამუდმებით იცვლება. ყველა სახელმწიფო უფრო და უფრო მეტადაა დამოკიდებული კაპიტალის, მონაცემების, საქონლისა და ადამიანების ეროვნულ უსაფრთხოებასა თუ კეთილდღეობაზე. შესაბამისად, მათთვის პრიორიტეტულად უნდა იქცეს დადებით ნაკადებზე მუდმივი წვდომის უზრუნველყოფა.

როგორც საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, გეოეკონომიკა გულისხმობს სახელმწიფოების მიერ ძალაუფლების ეკონომიკური საშუალებების გამოყენებას სტრატეგიული მიზნების რეალიზაციის მიზნით. ასევე, ანალიტიკური ჩარჩოს მსგავსად, გეოეკონომიკა ეხება საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმს, მიუხედავად იმისა, რომ ის უფრო ორიენტირებულია ისეთ გეოგრაფიულ მახასიათებლებზე, რომლებიც საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობებისათვის თანდაყოლილია.

შესაბამისად, გეოეკონომიკა ეხება ძალაუფლების ეკონომიკურ ბაზებს, რომლებსაც აქვთ მკაფიო გეოგრაფიული განზომილება: ზოგიერთ ქვეყანას აქვს რესურსები, რომლებიც სხვებს სჭირდებათ და ეს რესურსები ტრანსპორტირდება სტრატეგიულად გადამწყვეტი დერეფნების გასწვრივ. ალტერნატიულად, გეოეკონომიკა ეხება იმას, თუ როგორ გამოიყენება ეკონომიკური ინსტრუმენტები კონკრეტული გეოგრაფიული ტერიტორიების გასაკონტროლებლად, როგორიცაა რეგიონული ჰეგემონის გავლენის სფერო.

გეოეკონომიკის ეპოქა აღინიშნება იმით, რომ გლობალური წარმოება უფრო და უფრო სეგმენტირებულია, რაც თან ახლავს ტრანსნაციონალური საწარმოების, როგორც ძირითადი აქტორების ზრდას. უსაფრთხოების ისეთი საფრთხე, როგორიცაა ტერორიზმი, ტერიტორიულ საზღვრებს არ უკავშირდება. გეოეკონომიკის განსაზღვრისას მისი განსაკუთრებული ტერიტორიული ლოგიკით, კოუენი და სმიტი ამტკიცებენ, რომ გეოეკონომიკა გადამწყვეტი იყო საერთაშორისო ურთიერთობებისათვის ცივი ომის დასრულებამდე დიდი ხნით ადრე: მე-20 საუკუნის დასაწყისში შეერთებული შტატების მიერ გლობალური ძალაუფლების მოპოვება აგრეთვე ეხებოდა თავისუფალ ვაჭრობას ან უფრო მეტიც, „სიმდიდრის დაგროვებას ბაზრის კონტროლის გზით“.

### საკითხი 2: გეოეკონომიკა თანამედროვე მოთხოვნების წინაშე

გლობალური ეკონომიკური წესრიგი ახალი გამოწვევების წინაშეა. ტრამპის მმართველობამ, ბრექსიტმა და COVID-19-მა, მსოფლიოს სხვა ცვლილებებთან ერთად, უდიდესი წვლილი შეიტანა ძველი გლობალური მმართველობის ნაცნობი რეჟიმების დაშლაში. BREXIT-მა საპირისპირო დაუმტკიცა ევროკავშირთან დაახლოების ტრადიციულ აღქმას. ტრამპიზმმა აჩვენა, რომ შესაძლებელია და სასურველი გლობალური ინსტიტუტების ძირეული შეცვლა. COVID-19-მა კი მტკივნეული გაკვეთილების საფუძველზე ცხადჰყო, რომ უაღრესად ურთიერთდამოკიდებული, მაგრამ არათანაბარი და არასტაბილური გლობალური პოლიტიკური ეკონომიკა უფრო ამძაფრებს, ვიდრე ხელს უწყობს ვირუსების გავრცელების შეკავებას.

აქედან გამომდინარე, თუ 1990-იანმა წლებმა მოიტანა წინასწარი „ისტორიის დასასრული“ (ფუკუიამა, 1992), 2020-იანი წლები იქცა თავის მხრივ „ისტორიის დასასრულის დასასრულად“ (Hochuli et al., 2021).

გლობალური პოლიტიკური ეკონომიკისათვის ეს ნიშნავს, რომ ნეოლიბერალური გლობალიზაციის დროს ფარდობითი ჰეგემონური სტაბილურობის ფაზის დაშლა იწვევს შედარებითი არასტაბილურობის ახალ ფაზას. დიდი ხნის განმავლობაში

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



უგულებელყოფილი კონკურენცია და კონფლიქტი ძალაუფლებისათვის, ბატონობისა და შედარებითი მიღწევებისათვის კვლავ უფრო აქტუალური ხდება იმის გასაგებად, თუ საით მიემართება გლობალური პოლიტიკა მომდევნო ათწლეულში. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ნეოლიბერალური გლობალიზაციის ათწლეულების შემდეგ, გლობალური ეკონომიკური წესრიგი გარდაიქმნება. ის სულ უფრო მოუხერხებელი, რთული და ანტაგონისტური გახდება.

მკვლევართა დაკვირვების მიხედვით, სამხედრო, სახელმწიფოზე ორიენტირებული „მძიმე“ ძალაუფლების წინააღმდეგობრივი ფორმების მიღმა, დღევანდელი გლობალური ლანდშაფტი იმართება დაპირისპირებების, კონკურენციისა და თანამშრომლობის უფრო ეკონომიკური, ქსელზე ორიენტირებული და კომპლექსური ფორმებით.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ გამოვლენილი აგრესია და საომარი მოქმედებების დაწყება უკრაინაში დროთა განმავლობაში სწორედ გეოეკონომიკურ ხასიათს იძენს: ეკონომიკური სანქციებიდან ენერგეტიკულ ემბარგოებამდე, მრავალი ინსტრუმენტი იქნა გამოყენებული რუსეთის შემოჭრის წინააღმდეგ.

გეოეკონომიკური კონკურენციისა და კონფლიქტის ზრდა ვაკუუმში არ ხდება. საერთაშორისო პოლიტიკის ბუნება იცვლება „ძველი“ წესრიგის ფარგლებში, რომელიც ძლიერ გავლენას ახდენს განვითარებადი წესრიგის ფორმაზე, მიმართულებასა და აგენტურ სივრცეზე. მაგალითად, ნეოლიბერალური გლობალიზაციის დროს, გლობალური ღირებულებების ჯაჭვები გაფართოვდა საზღვრებს მიღმა და ნაკლებ სავარაუდოა, რომ ისინი ითამაშებენ ნაკლებ როლს ძალაუფლებისა და სიმდიდრის განაწილებაში პოსტნეოლიბერალურ (და პოსტ-პანდემიურ) სამყაროში (Linsi, 2021).

გლობალური წარმოების ქსელები, რომლებიც აერთიანებს ღირებულებებისა და სიმდიდრის ჯაჭვებს და გაზრდილი ქსელის მსგავსი ურთიერთდამოკიდებულებები გლობალურ პოლიტიკურ ეკონომიკაში, ასევე, გავლენას მოახდენს მომავალ გეოეკონომიკურ კონკურენციაზე. ახალი ტიპის აქტორებსაც კი, როგორიცაა სახელმწიფო კაპიტალის ჰიბრიდები, სჭირდებათ მობილობა ასეთ არსებულ ქსელებში (Babić, 2021).

გეოეკონომიკურ სამყაროში ურთიერთდამოკიდებულება გლობალური ვაჭრობისა და ინვესტიციების ან გლობალური ღირებულებების ჯაჭვებისა და წარმოების ქსელების არსებობის გზით ხდება დაუცველობის წყარო და არა უფრო მჭიდრო გლობალური ინტეგრაციის ძალა. მოკლედ, ცვალებადი გლობალური წესრიგი გადადის შედარებით სტაბილური ფაზიდან უფრო ტურბულენტურ გლობალურ პირობებში.გეოეკონომიკა ეს არის აბსოლუტურად ყველა ქვეყნის დამოკიდებულება გლობალურ ეკონომიკაზე, რაც ასე ცხადს ხდის მისი დახურვის საფრთხეს. შეერთებულ შტატებს სწყურია ენერგეტიკული დამოუკიდებლობა, ჩინეთს სურს შიდა მოხმარების სტიმულირება, გერმანიას სურს დაიცვას თავი მისი ეკონომიკური გადაწყვეტილებებისგან, რუსეთი ცდილობს გაილაშქროს დასავლური ბაზრებისა და აშშ-ს დომინირებულ ფინანსურ სისტემაზე.

გეოეკონომიკის უპირველეს გამოწვევად ეკონომიკური კეთილდღეობა გვევლინება. შეერთებული შტატები, ევროპა და სხვა განვითარებული ეკონომიკები, რთული ფისკალური მდგომარეობისა და სუსტი საყოფაცხოვრებო პოლიტიკური ჩართულობით, სულ უფრო ნაკლებად ცდილობენ სამხედრო ძალების პროექციით საგარეო პოლიტიკური მიზნების განხორციელებას. აღნიშნულის საკომპენსაციოდ, ისინი ცდილობენ გაზარდონ თავიანთი გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე (დოლარისა და ევროს ჩათვლით) და მრავალეროვნულ კორპორაციებზე, რომლებიც არსებობენ თავიანთ ქვეყნებში.

ეკონომიკური სანქციები, როგორც წესი „ორპირიანი მახვილია“. ქვეყანა, რომელიც სანქციებს გამოიყენებს, ზიანს აყენებს თავისსავე ბიზნესს და ვაჭრობას სამიზნე ქვეყანასთან. ამერიკულ კომპანიებს მოუწიათ, რომ ირანისგან შორს დაეჭირათ თავი, გერმანულ მანქანათმშენებელ კომპანიებს მოუხდათ ექსპორტის შემცირება რუსეთსა და საფრანგეთში. სანქციებს ასევე შეუძლიათ კონტრსანქციების პროვოცირება. 2014 წელს რუსეთმა უპასუხა დასავლეთის მიღებულ ზომებს იმპორტის აკრძალვით იმ ქვეყნებიდან, რომლებიც მოსკოვისკენ მიმართულ სანქციებს შეუერთდნენ. ამ ტენდენციის შედეგები ვითარდება, მაგრამ ისინი პოტენციურად გულისხმობენ კომპანიების „გლობალიზაციას“. ანუ, რამდენადაც კომპანიები საკუთარ მთავრობებზე დამოკიდებული არიან, ისინი სამომავლოდ კიდევ დაფიქრდებიან, ვიდრე უცხოურ ბაზრებზე ინვესტირებას გადაწყვეტენ.

ეფექტიანი გლობალური ლიდერობის არარსებობის პირობებში, გლობალური ნორმები და სტანდარტები იშლება - მიემართება მულტიპოლალური სამყაროსაკენ, სადაც დიდი ძალები ეჯიბრებიან თითოეულს სხვა ეკონომიკური საშუალებებით და რეგიონული ძალები კიდევ უფრო დიდ სამეზობლო

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



როლს ასრულებენ.

როდესაც მთავრობები იყენებენ გლობალური ეკონომიკის ინფრასტრუქტურას თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ისინი სისტემის უნივერსალურობას გამოწვევის წინაშე აყენებენ და კიდევ უფრო მოსალოდნელს ხდის იმას, რომ სხვა ძალებმა შეზღუდონ მათი ძალაუფლება.

როდესაც მცირე ქვეყანა ზედმეტად დამოკიდებული ხდება ძლიერ რეგიონალურ ცენტრზე, მისი უნარი, რომ გარკვეული ეკონომიკური და სტრატეგიული შესაძლებლობები შეინარჩუნოს, მისთვის გარკვეულწილად იზღუდება. იმისათვის, რომ რეგიონული ჰეგემონების გვერდით მოქცევა თავიდან იქნეს არიდებული, უფრო მცირე სახელმწიფოებმა მეტი უნდა გააკეთონ თავიანთი რესურსების გაერთიანებისათვის, და დაუპირისპირდნენ ადგილობრივ დომინანტურ ძალებს ტანდემში.

ცივილიზებულ სამყაროს მეტად პრაგმატულობა მართებს გლობალური პრობლემების ძიების პროცესში. მხოლოდ ბრედონ ვუდსის უნივერსალურ პრინციპებსა და ინსტიტუციებზე დაყრდნობა არ კმარა, აუცილებელია რეგიონული და სუბრეგიონული საკითხების შესწავლა და ინტეგრირება პოლიტიკურ სისტემებში.

1990-იან წლებში ცივი ომის დასრულება გარდამტეხი მომენტი იყო გლობალური პოლიტიკის წარმართვაში. გეოპოლიტიკა, ტრადიციული მამოძრავებელი ძალა საგარეო პოლიტიკისა და სტრატეგიის მიღმა, შეიცვალა გეოეკონომიკით - ტერმინი, რომელიც აკრედიტებულია ამერიკელი სტრატეგისა და სამხედრო კონსულტანტის ედვარდ ლუტვაკის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი თავისუფლად არის განსაზღვრული, გეოეკონომიკა კარნახობს, რომ სახელმწიფოებმა გამოიყენონ თავიანთი ეკონომიკური და პოლიტიკის ინსტრუმენტები - როგორიცაა საინვესტიციო პოლიტიკა, სასაქონლო შეზღუდვები და ფინანსური სანქციები - გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად, რითაც ხელს შეუწყობენ და გაზრდიან ეროვნულ ინტერესებს.

განსხვავებით მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა, როცა მსოფლიო ეკონომიკა იმართებოდა მკაფიოდ შემოსაზღვრული ტერიტორიული იმპერიებით, ახალ გლობალურ წესრიგში აღნიშნული მდგომარეობა დაკორექტირდა. როგორც ჩანს, პროდუქტიული იქნება გეოეკონომიკის ზოგიერთი დეფინიციის გამოკვეთა ელემენტების მეშვეობით, რათა წარმართოს ანალიზი ახალ გამოწვევებზე და მის შესაბამის პოლიტიკაზე. ჯერ კიდევ 1990 წელს აღინიშნა, რომ გეოეკონომიკა ყოველთვის იყო საერთაშორისო ცხოვრების არსებითი ასპექტი და განიხილებოდა მისი მნიშვნელობა გეოპოლიტიკასთან მიმართებით. მეინსტრიმული გაგება მას „საერთაშორისო ეკონომიკის, გეოპოლიტიკისა და სტრატეგიის ურთიერთქმედებად" აყალიბებს.

ეს გადასვლა სამხედრო გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკაზე ძირითადად ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგად შექმნილი ურთიერთდამოკიდებულების შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული გეოპოლიტიკა არ გამქრალა (და რეალურად არაფერი შეიძლება იყოს იმაზე ცუდი, ვიდრე უბრალოდ იარაღის გამოყენებამდე მისვლა; ძალაუფლება ასევე შეიძლება იყოს „რბილი"), მისი განხორციელება ახლა ეყრდნობა ჩვენი დროის იარაღს: ნაკლები ფოლადი და ბომბი, მეტი. კაპიტალი და სანქციები.

თუმცა, სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების რაოდენობის ეს შემცირება არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოებმა, განსაკუთრებით უმდიდრესმა და ყველაზე ძლიერებმა, უარი თქვეს თავიანთი ინტერესების დაცვაზე ან დაკისრებაზე. ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ ისინი მიდრეკილნი არიან გამოიყენონ ძალაუფლების სხვა ინსტრუმენტები, უფრო ეკონომიური, ვიდრე სამხედრო ხასიათის. ისინი იყენებენ გეოეკონომიკას, რომელიც საგარეო პოლიტიკის კონტექსტში შეიძლება განისაზღვროს, როგორც ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება სხვა ქვეყნის პოლიტიკურ მიზნებზე გავლენის მოსახდენად. გლობალიზაციის ეპოქაში სანქციები გახდა მთავარი სახელმწიფოების ერთ-ერთი სასურველი ინსტრუმენტი, როდესაც მათ სურთ მოწინააღმდეგის დაძლევა. როდესაც სანქციები მოქმედებს, ლიბერალური გლობალიზაციის პოზიტიური ჯამური თამაში იქცევა ნულოვანი ჯამის თამაშად: ყველა ვერ იგებს, როცა გეოეკონომიკა შემოდის.

მემკვიდრეობითი არასტაბილურობა და დიდი დისბალანსი რეგიონის ბაზარზე ახალი გეოპოლიტიკური ტენდენციების კონტექსტში მოითხოვს სერიოზულ გეოეკონომიკურ სტრუქტურულ ცვლილებებს. განვითარება მომავალში იქნება განპირობებული ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებით და ბევრად უფრო დამოკიდებული იქნება შიდა ფაქტორებზე, ვიდრე გარე გარემოზე. მაშასადამე, აუცილებელია განვიხილოთ შესაბამისი გადაწყვეტილებები: პროდუქტიული და ინოვაციური ეკონომიკა უნდა იყოს ევროკავშირის მუდმივი განვითარების სამიზნე, ხოლო მისი მთავარი ეკონომიკური პრიორიტეტი უნდა იყოს ყველა ეკონომიკური სისტემის ინდუსტ-

რიალიზაცია და იმ სექტორების რესტრუქტურიზაცია, რომლებიც იქნება ინოვაციების განვითარების მამოძრავებელი ძალა.

დიპლომატიის მომავალი აისახება ეკონომიკურ დიპლომატიაში. მსოფლიო ეკონომიკისა და პოლიტიკის გლობალიზაციის პირობებში აუცილებელია ახალი გადაწყვეტილებების და ახალი მსოფლიო ბაზარზე შეღწევის საშუალების ძიება. ეკონომიკური დიპლომატიის როლი გულისხმობს დაიცვას ეროვნული ინტერესები საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. ნებისმიერი ცდილობს მიაღწიოს ყველაზე დიდ სარგებელს, თითოეული ქვეყანა მიისწრაფის განსაზღვროს საუკეთესო სტრატეგია და საკუთარი ბიზნესის კეთების ეკონომიკურად ოპტიმალური მიღწევის მცდელობისას დააწესოს საზღვრები. ეროვნული ეკონომიკის ამ განზრახვაში ისინი ხელს უწყობენ ტექნოლოგიურ ინოვაციებს, რათა ეს სარგებელი მაქსიმალურად მიუახლოვდეს განზრახულს. ქვეყნები აქტიურად ცდილობენ განახორციელონ ძალისხმევა, მიუხედავად იმისა, თუ როგორ იმოქმედებს ეს სხვა სახელმწიფოების ინტერესებზე. ლოგიკურია, რომ ეს აუცილებლად წარმოშობს პოტენციური კონფლიქტების ლოგიკას. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი მიზანი გეოეკონომიკურ პოზიციონირებაში არ არის უმაღლესი შესაძლო სტანდარტის მიღწევა, არამედ მსოფლიო ეკონომიკაში სასურველი როლის მოპოვება, გაღრმავება და შენარჩუნება.

## დასკვნა

გეოეკონომიკური სტრატეგია ასახავს ეკონომიკურ ძალებსა და გეოპოლიტიკურ იმპერატივებს შორის არსებულ რთულ ურთიერთკავშირს, რომლებიც აყალიბებენ თანამედროვე გლობალურ ლანდშაფტს. სახელმწიფოები ფლობენ ეკონომიკურ ძალას სტრატეგიულად რთული გეოპოლიტიკური გამოწვევების გადასაჭრელად.

მრავალპოლარული კონკურენციის ზრდა და ტრადიციული საზღვრების დაბინდვა ეკონომიკასა და უსაფრთხოებას შორის ხაზს უსვამს გეოეკონომიკის მნიშვნელობას თანამედროვე სახელმწიფოებრიობაში. სამომავლოდ, გეოეკონომიკური სტრატეგიები გააგრძელებს გლობალური დინამიკის ფორმირებას, გავლენას მოახდენს ენერგიის განაწილებაზე და საერთაშორისო ურთიერთობებზე.

სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობითა და თანამედროვე გამოწვევების შეფასების საფუძველზე, შესაძლოა აღინიშნოს, რომ გეოეკონომიკური პრინციპების დაცვით და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის ხელშეწყობით, პოლიტიკის შემქმნელებსა და მეცნიერებს შეუძლიათ გადალახონ თანამედროვე გამოწვევები გეოეკონომიკური სტრატეგიის შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე. კერძოდ, მნიშვნელოვანია ეკონომიკური ძალაუფლების მუდმივ შესაბამისობაში მოყვანა გეოპოლიტიკის იდეასთან და 21-ე საუკუნის შესაბამისი ადაპტირებული პოლიტიკის შემუშავება.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



# THE SIGNIFICANCE OF DEVELOPING DIGITAL COMPETENCIES AMONG EMPLOYEES IN THE AGRICULTURAL SECTOR

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: Yanuary 24, 2024
Published: February 11, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19012024-67



**Shengelia Nino**
PhD student of Georgian Technical University
ORCID-Id: 0009-0003-4099-1603
E-mail: ninooshengelia@gmail.com
Cell: (+995) 591414638

**ABSTRACT**

*Georgia's agricultural sector possesses vast potential in terms of land resources, biological diversity, and available labor force which can be effectively leveraged to meet the food demands of the population and bolster the export of agricultural products. Furthermore, the innovative advancement of the sector is intricately linked with the adoption of modern information technologies. To enhance the efficiency of the agricultural sector amidst rapidly evolving market needs and regulatory standards, the digitalization of production technologies and management systems plays a pivotal role.*

*However, while the technological aspects of the digital transformation progress, the development of employees' digital skills, the encouragement of collective decision-making, and the instillation of a culture of information technology knowledge all remain crucial components of the process.*

*This paper proposes approaches for constructing a skills model for employees in the agrarian sector, and delineates the requisite skills for employees amid the sector's digitalization.*

*In Georgia's economy, information technologies are rapidly advancing towards establishing a sustainable and secure information and telecommunication infrastructure. This is a direct approach which aims to transform Georgia into not only an advanced digital-agrarian country but also a state with cutting-edge, high-tech production and organization capabilities. Despite the pressing nature of the issue, the digital transformation of the agricultural sector significantly lags behind similar advancements in other industries. One of the key obstacles hindering the digitalization of Georgia's agricultural sector is the low level of information literacy among employees and a shortage of digital skills. A methodological approach is imperative for developing digital competencies among agricultural workers. This approach encompasses defining goals, tasks, and principles, determining educational formats, technologies, and tools, as well as establishing methods for assessing skill development. Consequently, this initiative will help alleviate the shortage of highly skilled personnel in the agricultural sector and address the challenge of fostering economic growth amidst the sector's digitalization.*

***Key words:*** *Agricultural sector, digitalization, information base, digital competences, information technologies.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

**REFERENCES:**

1. Maria Carmela Annosi, F.C.F.P.A.I.B., 2023. Unveiling micro-foundations of digital transformation: Cognitive models, routines, and organizational structures in agri-food SMEs. Technological Forecasting and Social Change, December .197(122922);
2. FAO, "Realizing the potential of digitalization to improve the agri-food system proposing a new international digital council for Food and Agriculture", 2020, http://www.fao.org/3/ca7485en/ca7485en.pdf;
3. KPMG Consulting (2019). Agricultural workforce digital capability framework. Narrabri, New South Wales,: Cotton Research and Development Corporation;
4. Schroeder, Kateryna, Julian Lampietti, and Ghada Elabed. 2021. What's Cooking: Digital Transformation of the Agrifood System. Agriculture and Food Series. Washington, DC: World Bank;
5. OECD, The digitalisation of agriculture (2022), OECD Food, Agriculture and Fisheries Papers. (2022);
6. Elisa Battistoni, S. G. (2023). Adoption paths of digital transformation in manufacturing SME. International Journal of Production Economics, 255(108675). doi:https://doi.org/10.1016/j.ijpe.2022.108675;
7. Bruno S. Sergi, A. K. (2022). Creative abilities and digital competencies to transitioning to Business 4.0. Journal of Business Research, 153, 401-411. doi:https://doi.org/10.1016/j.jbusres.2022.08.026;
8. Rafael Martínez-Peláez, A. O.-B. (2023). Role of Digital Transformation for Achieving Sustainability: Mediated Role of Stakeholders, Key Capabilities, and Technology. Sustainability, 15(11221). doi:https://doi.org/10.3390/su151411221;
9. The Council of the European Union (201). Key competences for lifelong learning;
10. Koghuashvili P., Kharaishvili E., Shengelia N. (2024). From Traditional Agriculture to Industrial (Digital) Agriculture. Journal "Economics and Business", #1. 2024.

# აგრარულ სექტორში დასაქმებულთა ციფრული კომპეტენციების ფორმირების მნიშვნელობა

**ნინო შენგელია**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
ORCID-Id: 0009-0003-4099-1603
ელ.ფოსტა: ninooshengelia@gmail.com
ტელ: (+995) 591414638

**აბსტრაქტი**

საქართველოში სოფლის მეურნეობას აქვს მიწის, ბიოლოგიური და შრომითი პოტენციალი, რომელიც შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის ზრდისთვის. ამასთან, დარგის ინოვაციური განვითარება განუყოფლად არის დაკავშირებული თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვასთან, რომლის თავისებურებას დიდი რაოდენობით ინფორმაციის ფორმირება წარმოადგენს. ფორმირებული ინფორმაციული ნაკადი უზრუნველყოფს საწარმოო საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას, ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების ხარისხის, წარმოება-გადამუშავების სისტემების, შენახვის, რეალიზაციისა და მზა პროდუქციის მომხმარებლებისთვის მიწოდების გაუმჯობესებას. აგრარული სექტორის ეფექტიანობის გასაზრდელად ბაზრის სწრაფად ცვალებადი საჭიროებების, სტანდარტებისა და მრავალი მარეგულირებელი დოკუმენტის მოთხოვნების არსებობისას, წარმოების ტექნოლოგიებისა და მართვის სისტემების გაციფრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ციფრული ტრანსფორმაციის შედეგები სულ უფრო აშკარა და ყოვლისმომცველი ხდება, თუმცა მიუხედავად ტრანსფორმაციის ტექნოლოგიური მხარის განვითარებისა, პროცესში გადამწყვეტი როლი დასაქმებულთა ციფრული უნარ-ჩვევების განვითარებას, კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების სტიმულირებას და საინფორმაციო ტექნოლოგიების შემეცნების კულტურის დანერგვას აქვს.

აღნიშნულ ნაშრომში დაჯგუფებულია აგრარული სექტორის გაციფრების განმსაზღვრელი ძირითადი და მასტიმულირებელი პირობები, შემუშავებულია მიდგომები, რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული აგრარულ სექტორში დასაქმებულთა უნარ-ჩვევების მოდელის ფორმირებისას და განსაზღვრულია დარგის გაციფრების პირობებში დასაქმებულების მიმართ არსებული მოთხოვნები.

**საკვანძო სიტყვები:** აგრარული სექტორი, გაციფრება, საინფორმაციო ბაზა, ციფრული კომპეტენციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



## შესავალი

სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანა - აღნიშნული დარგი გადაიქცეს მაღალგანვითარებულ საქმიანობის სფეროდ, საჭიროებს მოწინავე ქვეყნების გამოცდილების სრულმასშტაბიან გათვალისწინებას წარმოების, შრომის ორგანიზაციის, ტექნიკისა და ტექნოლოგიების სფეროებში, მათ შორის ეკონომიკის გაციფრების ხაზით. აგრარული სექტორის ეფექტიანობა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული თანამედროვე მოწინავე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე [10, Koguashvili P., 2024]. ჯერ კიდევ სულ რაღაც ორი ათწლეულის წინ საინფორმაციო ტექნოლოგიები წარმოადგენდნენ მართვის სისტემის უზრუნველმყოფელ ელემენტს და მმართველობითი პროცესის მონაწილეებს შორის ინფორმაციის გაზიარებისას ასრულებდნენ დამხმარე - ტექნოლოგიურ როლს, დღეს ტექნიკური მოდერნიზაცია და ინტელექტუალიზაცია საშუალებას აძლევს მათ გარდაიქმნან ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის საჭირო ერთ-ერთ ძირითად ელემენტად [5, OECD, 2022]. საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ჩამოყალიბდა ძირითად კომპონენტად, რომელიც განსაზღვრავს ნებისმიერი საწარმოს, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ოპტიმალურობასა და წარმატებას [8, Rafael Martínez-Peláez, 2023]. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა ორგანიზაციის საქმიანობაში იწვევს საწარმოო სისტემის ყველა ელემენტის ეფექტიანობის გაუმჯობესებას, როგორიცაა საწარმოო, გაყიდვების, ლოჯისტიკური, საკადრო და განსაკუთრებით, მმართველობითი ელემენტები [2, FAO, 2020]. აღნიშნული პროცესების უზრუნველსაყოფად აუცილებელია აგრარულ სექტორში დასაქმებულთა ციფრული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების ფორმირება.

## ძირითადი ტექსტი

აგრარული სექტორის გაციფრებასთან დაკავშირებულმა კვლევებმა გამოავლინა მთელი რიგი პირობები, რომლებიც განსაზღვრავს წარმოების გაციფრებას. აღნიშნული პირობები შეიძლება ორ ჯგუფად იქნას გაერთიანებული (დიაგრამა 1) [4, Schroeder, 2021]:

- I ჯგუფი – ძირითადი, ე.ი. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისათვის საჭირო მინიმალური პირობები;
- II ჯგუფი – მასტიმულირებელი პირობები, რომელთა არსებობა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს გაუადვილებს ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას.

დიაგრამა (1) ნათლად აჩვენებს, რომ გაციფრების ერთ-ერთ მასტიმულირებელ ფაქტორს დასაქმებულ პირთა ციფრული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარება წარმოადგენს.

ციფრული კომპეტენცია არის კატეგორია, რომელიც გამოიყენება ადამიანების მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების მუშაობასა და ცხოვრებაში გამოყენების შესაძლებლობის აღსაწერად. კერძოდ, ციფრული კომპეტენცია გულისხმობს სწავლისათვის, შრომით საქმიანობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის ციფრული ტექნოლოგიების თავდაჯერებულ, კრიტიკულ და პასუხისმგებლობით გამოყენებასა და ურთიერთქმედებას. იგი განისაზღვრება ცოდნის, უნარებისა და ქცევების ერთიანობად [9, The Council of the European Union, 2018].

იმის გამოსავლენად, თუ რა უნარ-ჩვევები მოეთხოვებათ აგრარულ სექტორში დასაქმებულებს, ჩატარებულ იქნა აგრარულ სფეროში არსებული ღია ვაკანსიების (დასაქმების მონაცემთა საერთაშორისო და ადგილობრივ პორტალებზე დაყრდნობით) სე-

**დიაგრამა 1. აგრარული სექტორის გაციფრების განმსაზღვრელი პირობების დაჯგუფება**




**წყარო: [4, Schroeder, 2021]**

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



მანტიკური კონტენტ-ანალიზი. განხორციელდა უნარების დაყოფა მაღალ და დაბალ კვალიფიკაციად.

მაღალკვალიფიციური უნარების კატეგორიაში განსაზღვრულ იქნა კომპეტენციები, რომლებიც გულისხმობს:

- ინოვაციურ საქმიანობას,
- კოოპერაციისა და თანამშრომლობის დამყარების უნარს,
- მენეჯერულ კომპეტენციებს,
- კომპიუტერის ცოდნას,
- საველე მონიტორინგს და ა.შ.

დაბალკვალიფიციურად განისაზღვრა უნარები, რომელთა განხორციელება არ საჭიროებს უმაღლეს ან საშუალო პროფესიულ განათლებას, არამედ ეფუძნება მარტივი ოპერაციების შესრულებას, რომელიც განსაზღვრულია ტექნოლოგიური რეგლამენტის მიხედვით.

ამჟამად დამსაქმებლები სულ უფრო ხშირად ითხოვენ მაღალკვალიფიციურ უნარებს. მაღალკვა-

**ცხრილი 1. მიდგომები, რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული აგრარულ სექტორში დასაქმებულთა უნარ-ჩვევების მოდელის ფორმირებისას**

| პრინციპების ნაკრები | პრინციპების დახასიათება |
|---|---|
| დასაქმებულთა ციფრული კომპეტენციების ჩამოყალიბება | ▪ საბოლოო შედეგის განსაზღვრა, ე.ი. დასაქმებულთა ციფრული კომპეტენციების ნაკრების შემუშავება;<br>▪ დასაქმებულთა ახალ მოდელში კომპეტენციების მოთხოვნების შესაბამისობისა და საჭირო რესურსების დონის შეფასება;<br>▪ აგრარული სექტორის ციფრულ ტრანსფორმაციაზე მოქმედი გარე და შიდა ფაქტორების ცვლილების შესაბამისად დასაქმებულთა კომპეტენციების კორექტირების ან შეცვლის შესაძლებლობა;<br>▪ ყველა თანამშრომლის მონაწილეობა ციფრული კომპეტენციების დაუფლებისათვის;<br>▪ აგრარული სექტორის გაციფრების სფეროში პერსონალის მიერ შესაბამისი კვალიფიკაციის მიღწევის პროცესში კონტროლის სისტემის ორგანიზება და შედეგების მიღწევის ინდიკატორების შეფასება;<br>▪ აგრარული სექტორის ციფრულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული კვალიფიკაციის ამაღლებისა და უნარ-ჩვევების მოთხოვნების მიზნების დაყოფა მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან მიზნებად;<br>▪ მომავალი მოთხოვნების და ალტერნატიული ვარიანტების გამოყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომის შემუშავებაში. |
| პერსონალის მართვა ახალი კომპეტენციების მოთხოვნების თვალსაზრისით | ▪ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა;<br>▪ ურთიერთ სწავლების და ადაპტაციის რესურსების ხარისხის გაუმჯობესება;<br>▪ დასაქმებულთა მართვის პროფესიონალიზმის დონის ამაღლება გაციფრების პირობებში. |
| კომპეტენციებზე დაფუძნებული მოდელირების განხორციელება | ▪ დასაქმებულთა აუცილებელი ციფრული კომპეტენციების ნაკრების ჩამოყალიბების და გამოყენების ობიექტური და ეფექტიანი პროცესის განხორციელება;<br>▪ შერჩეული კომპეტენციების რეგულარული მონიტორინგი და განახლება;<br>▪ დასაქმებულთა და მენეჯერების მონაწილეობა კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევაში, გამოყენებასა და აუცილებელ ცვლილებებში;<br>▪ შემუშავებული და დანერგილი მოდელის გამოყენება სასწავლო-საგანმანათლებლო ორგანიზაციის მიერ ყველა ქვედანაყოფის პერსონალის მიერ;<br>▪ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაზიარება და აგრარული სექტორის კადრების მოთხოვნება კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომის ინსტრუმენტების გამოყენების ტექნოლოგიებში |

წყარო: [8, Rafael Martínez-Peláez, 2023]

ლიფიციურ მუშაკებს მიეკუთვნებიან: მენეჯერები, უმაღლესი დონის კვალიფიკაციის სპეციალისტები, საშუალო დონის კვალიფიკაციის სპეციალისტები, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის და მსგავსი საქმიანობის კვალიფიციური მუშაკები.

ჩატარებული ანალიზი მიუთითებს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულებისთვის კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნასთან დაკავშირებული კომპეტენციების (მინიმუმ დაწყებით დონეზე) მოთხოვნის ზრდაზე.

აგრარული სექტორის გარდაუვალი გაციფრება იწვევს სექტორში დასაქმებულთა მაღალპროფესიულ კომპეტენციებთან დაკავშირებული მოთხოვნების გამკაცრებას ვინაიდან ინდუსტრიის განვითარების თანამედროვე პირობები საწარმოო პროცესების მართვის დისტანციურ ტექნოლოგიებზე გადასვლის აუცილებლობას („ჭკვიანი ფერმა", „ჭკვიანი სათბური" და ა.შ.) და ამ მიზნით შექმნილი საინფორმაციო პორტალების, პლატფორმების და სხვა რესურსების გამოყენებას ცხადყოფს [8, Rafael Martínez-Peláez, 2023].

არსებული ტექნიკური ფაქტორები, ისევე როგორც აგრარულ სექტორში დასაქმებულთა დაბალი საინფორმაციო წიგნიერება, იწვევს შესასრულებელი სამუშაოსა და სერვისების სიჩქარის შემცირებას, პროდუქციის ხარისხის დაქვეითებას არასწორი მენეჯერული გადაწყვეტილებების გამო [3, KPMG Consulting, 2019]. ამრიგად, სექტორში დასაქმებულთა ციფრული კომპეტენციების ჩამოყალიბება შესაძლებლობას იძლევა თავიდან აცილებულ იქნას იმ პერსონალის დეფიციტი, რომელსაც შეუძლია აწარმოოს საქმიანობა ინდუსტრიის გაციფრების ეპოქაში.

დასაქმებულთა სწავლების ფორმები შეიძლება განსხვავებული იყოს. დღეს ყველაზე გავრცელებულია სხვადასხვა სახის ვებინარები და კონფერენციები. სწავლების ფორმები შეიძლება განსხვავდებოდეს: ფიზიკურად დასწრებიდან დისტანციური სწავლების ფორმამდე (იხ. ცხრილი 1).

სწავლების განხორციელების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს აგრარულ სექტორში დასაქმებულთათვის საუკეთესო პრაქტიკების გაცნობა. ციფრული უნარების სწავლების გავრცელებულ ფორმებს ასევე წარმოადგენს კონფერენციები, სემინარები და გამოფენები.

აგრარული სექტორის გაციფრების პირობებში დასაქმებულთა საჭირო კომპეტენციების იდენტიფიცირებისა და სისტემატიზაციისათვის საჭიროა კომპეტენციების ძირითადი მახასიათებლების საინფორმაციო ბაზების განვითარება. შექმნილი საინფორმაციო ბაზის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა საკვალიფიკაციო სახელმძღვანელოები, მოთხოვნები, თანამდებობრივი ინსტრუქციები, ეკონომიკის და აგრარული სექტორის გაციფრების საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება, მოთხოვნები, რომლებსაც აღნიშნული პროცესები შრომის ბაზარს უწესებენ [1, Maria Carmela, 2023].

მაგალითად, ამჟამად ყველგან არის დაწყებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაციფრების პროცესი, რაც საშუალებას იძლევა:

- შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მონაცემთა ბაზა;
- განისაზღვროს/გამოიყოს სასოფლო-სამეურნეო მიწების საკუთრება სარგებლობის ნებადართული ფორმების მიხედვით;
- შედგეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რუკები, რომელიც მოიცავს ნიადაგის აგროეკოლოგიურ მდგომარეობას და ა.შ.

ამრიგად, აგრარულ სექტორში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა დასაქმებულებს უამრავ შესაძლებლობას უქმნის, თუმცა, ამასთანავე მათგან მთელ რიგ ახალ კომპეტენციების შეძენასაც მოითხოვს.

დიაგრამა 2-ში ჩამოთვლილი მოთხოვნების განხორციელება უნდა დაეხმაროს აგრარული სექტორის წარმომადგენლებს ციფრული კომპეტენციების განვითარებაში და ამით დააჩქაროს გაციფრების პროცესები ამასთანავე, უზრუნველყოს დარგის ეფექტიანი ფუნქციონირება.

ყველა კომპეტენცია, რომელიც განსაზღვრულია ზემოაღნიშნული მოთხოვნებით და მოიცავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაციფრების პირობებში თანამშრომელთა მომზადების პროფესიულ დონეს, შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: პროფესიული და პიროვნული.

პროფესიული კომპეტენციები გულისხმობს აგრარულ სექტორში მიმდინარე პროცესების მართვის მეთოდებისა და ინსტრუმენტების ფუნქციურ გამოყენებას, ამ პროცესების გაციფრების პროექტებისა და პროდუქტების გამოყენებას, აგრეთვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით რთული პროფესიული საკითხების რეგულარულ გადაწყვეტას.

პროფესიულ კომპეტენციებს შესაძლოა მიეკუთვნოს [6, Elisa Battistoni, 2023]:

- სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში იმ რობოტული სისტემების გამოყენების უნარ-ჩვევების

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

| |
|---|
| დარგში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებაზე უახლესი ტექნოლოგიების შესახებ კონსულტირების საშუალება<br>გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების (GIS) გამოყენება სასოფლო-სამეურნეო საკუთრებების აღსაწერად<br>წარმოებაში ავტომატიზებული სამუშაო ინსტრუმენტების დანერგვა |
| ნიადაგების მონიტორინგი უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით |

| |
|---|
| ნავიგაციის სისტემების გამოყენება საველე სამუშაოების ოპერატიული დაგეგმვისა და ჩატარებისათვის |
| მიწის ფონდის ინვენტარიზაციის ჩასატარებლად საინფორმაციო სისტემების დანერგვა |
| პერსონალური კომპიუტერიზაცია, რომლებიც მოიცავს მონაცემთა გაცვლის ქსელებს, აგრონომიული რუქების აგებისა და ნარგავების კონტროლის გამოყენებისათვის |
| სასოფლო-სამეურნეო მიწების გაციფრება, მათი ინტეგრაცია GIS-თან |
| სოფლის მეურნეობაში ტექნოლოგიური და საწარმოო პროცესების ციფრული ჩართვა |

ფლობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უფრო ეფექტიანი წარმოების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და პირველადი გადამუშავების საშუალებას იძლევა;

- სასოფლო-სამეურნეო მიწების აგროეკოლოგიური შეფასების ჩასატარებლად ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევების ფლობა;
- ციფრული სოფლის მეურნეობის სფეროში საინფორმაციო და ავტომატიზებული სისტემებისთვის აუცილებელი აპარატულ და პროგრამულ საშუალებებთან მუშაობის უნარ-ჩვევების ფლობა;
- საკუთარ პროფესიულ საქმიანობაში საბაზო ციფრულ და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრის უნარების ფლობა.

ახალი ციფრული ტექნოლოგიების დაუფლება შერწყმული უნდა იყოს პიროვნულ კომპეტენციებთან, რომელთა ინტეგრაცია პროფესიულ უნარებთან საშუალებას მისცემს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს გაზარდონ პროდუქტების წარმოების მოცულობა და მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მისი ხარისხი.

პიროვნული კომპეტენციები, რომლებიც მოთხოვნადია გაციფრების ეპოქაში, არის [7, Bruno S. Sergi, 2022]:

- შედეგზე ორიენტირებულობა - უნდა იკვეთებოდეს თანამშრომლის ქმედებების მკაფიო ვექტორი: მიზანი-მოქმედება-შედეგი;
- კომუნიკაციის უნარები - სტრატეგიული და ტაქტიანი თვისებების არსებობა კოლეგებთან და მენეჯმენტთან ურთიერთობაში, ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა;
- კრეატიულობა - გულისხმობს ინიციატივის გამოჩენას, გარემოში მომხდარი ცვლილებებისადმი მოქნილობას. ახალი ტექნოლოგიების სწრაფად დაუფლებისა და გამოყენების და არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღების უნარს;
- კრიტიკული აზროვნების უნარი - საშუალებას იძლევა რაციონალურად შეფასდეს ფორსმაჟორული გარემოებები, გადაწყვეტილების მიღება ეყრდნობოდეს ცოდნისა და გამოცდილების სიმბიოზს და გამოყენებულ იქნას ინფორმაციული ტექნოლოგიები სხვადასხვა მონაცემთა ბაზების სისტემატიზაციისთვის;
- მომხმარებელზე ორიენტირებულობა - ფოკუსირება საზოგადოებრივი საჭიროებების მაქსიმალურ შესაძლო დაკმაყოფილებაზე, უკუკავშირის ღონისძიებების განხორციელება და კოლეგებთან გრძელვადიანი ურთიერთობების ფარგლებში კომუნიკაციის უნარი.

## დასკვნა

ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ამჟამად მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი ცვლილებები, რომელიც უკავშირდება სპეციალისტებისადმი, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუშაკებისადმი, წაყენებულ მოთხოვნებს. აგრარულ სექტორში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩანაცვლება ხორციელდება დიდი მონაცემების ანალიტიკასთან დაკავშირებული სისტემებით და

კომპეტენციებით, რაც ბაზარზე საწარმოს კონკურენტული პოზიციის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს.

საინფორმაციო ტექნოლოგიები საქართველოს ეკონომიკაში სწრაფად ვითარდება და მიიწევს მდგრადი და უსაფრთხო საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნისკენ, რაც გულისხმობს მონაცემების გადაცემის მაღალ სიჩქარეს, დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავებასა და შენახვას, ყველა ორგანიზაციისა და მეურნეობისათვის ხელმისაწვდომობას და ციფრული ტექნოლოგიების შემუშავებასა და პრაქტიკაში დანერგვას. ეს არის პირდაპირი, უალტერნატივო გზა იმისათვის, რომ საქართველო გარდაიქმნას არა მარტო მოწინავე ციფრულ-აგრარულ ქვეყნად, არამედ მთლიანად მოწინავე, მაღალტექნოლოგიური წარმოებისა და ორგანიზაციის მქონე სახელმწიფოდ. მიუხედავად პრობლემის ასეთი აქტუალობისა, აგრარულ სექტორის ციფრული ტრანსფორმაცია ჯერჯერობით მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა სექტორებში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებს. საქართველოში აგრარული სექტორის გაციფრების მრავალი შემაფერხებელი ფაქტორიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასაქმებულთა დაბალი საინფორმაციო წიგნიერება, ციფრული უნარ-ჩვევების ნაკლებობაა. აუცილებელია სოფლის მეურნეობის მუშაკთა ციფრული კომპეტენციების ფორმირებისადმი მეთოდოლოგიური მიდგომის გამოყენება, რომელიც მოიცავს მიზნების, ამოცანებისა და პრინციპების დასაბუთებას, სწავლების ფორმებს, ტექნოლოგიებს და ინსტრუმენტებს, უნარ-ჩვევების ფორმირების შეფასების მეთოდებს. აღნიშნული თავის მხრივ ხელს შეუწყობს აგრარულ სფეროში მაღალკვალიფიციური კადრების დეფიციტის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის პრობლემის გადაჭრას დარგის გაციფრების პირობებში.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



# ECONOMIC POLICY OF ENVIRONMENTAL PROTECTION FACING MODERN CHALLENGES

Copyright © 2024 the Author/s

Peer review method: Double-Blind
Accepted: Yanuary 27, 2024
Published: February 15, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19012024-75



**Natia Zhgenti**
PhD candidate,
Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ORCID: https://orcid.org/0009-0008-1494-2150
E-mail: natia.zhghenti@tsu.ge
Cell: (+995 577) 21 13 44

## ABSTRACT

*Issues of environmental protection in the 21st century are becoming more and more crucial for leading countries and, therefore, for the whole world. This has led to growing the effects of global warming and the lack of certain resources, the reduction of which can cause incredible damage to the world economy.*

*The reaction to the degradation of nature in the USA, Japan, Germany, France, Great Britain, and other economically developed countries was manifested by the creation of a legal system in the field of environmental protection. The public ecological movement was and is considered to be an essential impetus for the development of legislation in the field of environmental protection in the mentioned countries. Laws adopted in the field of environmental protection are mostly a reaction to an acute ecological problem. Environmental protection issues differ between countries. It is known that developed countries regulate environmental pollution, the processing of chemical waste, and the use of chemical materials at work with special legislative acts. Some developing countries do not have these laws, which allow multinational companies to pollute at higher levels than would be allowed in their own countries. Countries are trying to reach a consensus on many environmental issues, reduce emissions, and find new ways of production that will not cause damage to the environment.*

***Keywords****: Environmental protection, Economic policy, Environment pollution, Paris Green Agreement, National environmental programs, EU Climate and Energy Plan.*

**REFERENCES:**

1. Dvalishvili L., Global ecological problems and Georgia, a collection of materials of the international scientific internet conference dedicated to the 80th anniversary of the birth of Doctor of Economic Sciences, Professor Roseta Asatiani, Economic problems in Georgia and other postcommunist countries and ways to solve them, Tbilisi, 2019
2. Erkomaishvili G., Green Economy and Environmental Economic Policy of Sustainable Development in Georgia, International Scientific Conferences of Paata gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, "Economics – XXI Century", 2017
3. Gvelesiani R., Gogorishvili I., Economic Policy, Book II. Tbilisi, 2012
4. Green policy and environmental protection, Tbilisi, 2013

5. The Third National Program of Environmental Protection Actions of Georgia 2017-2021 Tbilisi, 2017

6. Air Pollution Control in Georgia: Existing Policies and Needs, South Caucasus Regional Office of the Heinrich Böll Foundation, 2022

https://ge.boell.org/ka/2022/12/15/atmosperuli-haeris-dabindzurebis-kontroli-sakartveloshi-arsebuli-politika-da

7. The European Green Deal and its importance for Georgia, South Caucasus Regional Office of the Heinrich Böll Foundation, 2021

8. Ossewaarde and Ossewaarde-Lowtoo, "The Eu's Green Deal: A Third Alternative to Green Growth and Degrowth?"

9. World Bank, Georgia: The Road to Green and Sustainable Development, 2020

# გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე

**ნათია ჟღენტი,**
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დოქტორანტი
ORCID: https://orcid.org/0009-0008-1494-2150
ელ.ფოსტა: natia.zhghenti@tsu.ge
მობ: (+995 577) 21 13 44

**აბსტრაქტი**

*გარემოს დაცვის საკითხები XXI საუკუნეში უფრო და უფრო აქტუალური ხდება წამყვანი ქვეყნებისთვის და, მაშასადამე, მთელი მსოფლიოსთვისაც. ეს განაპირობა იმან, რომ იგრძნობა გლობალური დათბობის შედეგები და გარკვეული რესურსების ნაკლებობა, რის შემცირებამაც შეიძლება წარმოუდგენელი ზიანი მოუტანოს მსოფლიო ეკონომიკას.*

*ბუნების დეგრადაციაზე რეაქცია აშშ-ში, იაპონიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებში გამოიხატა გარემოს დაცვის სფეროში საკანონმდებლო სისტემის შექმნით. მოცემულ სახელმწიფოებში გარემოს დაცვის სფეროში კანონმდებლობის განვითარების არსებით იმპულსად მიჩნეული იყო და არის საზოგადოებრივი ეკოლოგიური მოძრაობა. გარემოს დაცვის სფეროში მიღებული კანონები უმეტესწილად არის რეაქცია მძაფრ ეკოლოგიურ პრობლემაზე. ქვეყნებს შორის გარემოს დაცვის საკითხები განსხვავებულია. ცნობილია, რომ განვითარებული ქვეყანა არეგულირებს გარემოს დაბინძურებას, ქიმიური ნარჩენების გადამუშავებას, სამუშაოზე ქიმიური მასალების გამოყენებას სპეციალური საკანონმდებლო აქტებით. ეს კანონები არ გააჩნია ზოგიერთ განვითარებად ქვეყანას, რაც მულტიეროვნულ კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას, იმაზე უფრო მაღალი დონით დააბინძურონ გარემო, ვიდრე დასაშვები იქნებოდა მათ ქვეყნებში. ქვეყნები ცდილობენ მივიდნენ კონსენსუსამდე გარემოსთან დაკავშირებულ უამრავ საკითხზე, შეამცირონ გამონაბოლქვი და აღმოაჩინონ წარმოების ახალი გზები, რომლებიც გარემოსთვის არ იქნება ზიანის მომტანი.*

***საკვანძო სიტყვები:*** *გარემოს დაცვა, ეკონომიკური პოლიტიკა, გარემოს დაბინძურება, პარიზის მწვანე შეთანხმება, გარემოსდაცვითი ეროვნული პროგრამები, ევროკავშირის კლიმატისა და ენერგეტიკის გეგმა.*

## შესავალი

საქართველო, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი გეოგრაფიული ნაწილი, ჩართულია სახელმწიფო მმართველობის გლობალიზაციის პროცესში. 1995 წლის კონსტიტუციით, საქართველომ იკისრა ვალდებულება, დაიცვას ქვეყნის ბუნებრივი და კულტურული გარემო, ხელი შეუწყოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მდგრად გამოყენებას. საქართველო დაახლოებით 50 მრავალმხრივი და ორმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმების მხარეა და თითოეული შეთანხმება გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს ქვეყანას. საქართველომ საერთაშორისო თანასაზოგადოების წინაშე დააფიქსირა საკუთარი პოლიტიკური ნება, წვლილი შეიტანოს გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაში.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



საქართველო ეკონომიკური აღმავლობის გზას ადგას. ეკონომიკური განვითარება ქვეყნის კეთილდღეობის საფუძველია, თუმცა, ამავდროულად, ეს პროცესი ზეწოლას ახდენს ბუნებრივ რესურსებსა და გარემოზე [1. 2019წ. გვ.228]. რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო მწვავდება გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრობლემები. გარემოს დაცვამ ფართო მასშტაბები შეიძინა და სახელმწიფო რეგულირების ორბიტაში მოექცა. საქართველოში ეკოლოგიური სიტუაცია პერმანენტულად უარესდება. ნედლეულის გამოყენებისა და წარმოების ზრდასთან ერთად იზრდება ნიადაგის, წყლის და ატმოსფერული ჰაერის ანთროპოგენური გაჭუჭყიანება. აუცილებელია დასაშვებ ნორმაში მოექცეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მომწამვლელი აირებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ავტომანქანების ტექნიკური გაუმართაობის აღკვეთას. საქართველოში ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროდ ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი რჩება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასევე წყლის რესურსების დაცვას დაბინძურებისგან [1. 2019წ. გვ. 229]. რადგან ჩვენი ქვეყნის წინაშე ბუნებრივი გამოწვევებია, საჭიროა ახალი მიდგომები გარემოსდაცვით პოლიტიკასა და კანონმდებლობაში. ეკოლოგიის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისას განსაზღვრული უნდა იყოს გრძელვადიანი მიზნები, მიმართულებები, ამოცანები და პრინციპები გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ხანგრძლივი მოთხოვნების შესაბამისად, რაც ახალ პროფესიულ ჰორიზონტს გახსნის ქვეყნისთვის [1. 2019წ. გვ.230].

### გარემოს დაცვის ეროვნული პროგრამები, პოლიტიკის მიზნები და მისი განხორციელების მექანიზმი

გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებს გარემოს დაცვასა და მისი ინტენსიური გამოყენების შემცირებას, გარემოს დაცვის პოლიტიკის ინსტრუმენტებით დასახული მიზნის მიღწევას, ასევე მასთან დაკავშირებული ახალი შესაძლებლობების გამოვლენას. გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნების ეფექტიანი განხორციელება მხოლოდ წესრიგის სამართლებრივი და საბაზრო ეკონომიკური ინსტრუმენტების კომბინირებული გამოყენებით არის შესაძლებელი [2. 2017წ. გვ. 2].მეცნიერები დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ გარემოს დაცვის პრობლემის გადაჭრას კაცობრიობის გადარჩენისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. XX საუკუნეში არსებული მიდგომა - დავიმორჩილოთ ბუნება და ჩავაყენოთ იგი საზოგადოების სამსახურში - წარსულს ჩაბარდა. ნაცვლად ამისა, უნდა შევიცნოთ და შევეწყოთ ბუნებას [3. 2012წ. გვ.119].

გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების ხუთი მთავარი გამომწვევი მიზეზია: მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, რესურსების უყაირათოდ და არამდგრადად გამოყენება, სიღარიბე, გარემოს გაუარესებით გამოწვეული დანახარჯების აუსახველობა საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში და ცოდნის ნაკლებობა გარემოში მიმდინარე პროცესებზე [4. 2013წ. გვ.20].

ბუნებრივი გარემოს რესურსებს საზოგადოებრივი პროდუქტის ხასიათი აქვს, რის გამოც ეკონომიკაში მარტო დეცენტრალიზებული ბაზრის არსებობით გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს ვერ გადავჭრით. გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზანთა განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფომ ამ პროცესების რეგულირების ფუნქცია შეასრულოს.

საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ მიღებულ იქნა 1996 წლის 10 დეკემბერს, რომელმაც ცვლილებები რამდენჯერმე განიცადა (2003, 2007, 2011, 2014, 2015, 2016, 2017, 2018წწ.). ქვეყანაში შემუშავდა გარემოს დაცვის მოქმედებათა ოთხი ეროვნული პროგრამა (2000, 2012-2016წწ., 2017-2021წწ., 2022-2026წწ.).

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნულ პროგრამაში (2017-2021) [5, გვ. 148], წარმოდგენილია რიგი კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობების ალეტრნატიული მიდგომების შემუშავებისა და დანერგვისაკენ. კერძოდ, რესურსებისა და მასალების ეფექტურობა, ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმამდე შემცირება და თავიდან აცილება, წყლის რესურსების მდგრადი მოხმარება, მწარმოებლის პასუხისმგებლობის ზრდა, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით რესურსების გონივრული მოხმარება და ა.შ.

საქართველოს ევროპასთან ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-3 თავი ეთმობა გარემოს დაცვას. ამ თავის 302-ე მუხლში ვკითხულობთ, რომ თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და საერთაშორისო დონეზე ძალისხმევის ხელშეწყობას, გარემოს დაცვის ისეთ პრობლემებთან გასამკლავებლად, როგორიცაა, მაგალითად, ჰაერის ხარისხი. შეთანხმებაში ასევე საუბარია

წარმოების ეკოლოგიურად მდგრადი მოდელების ჩამოყალიბების მნიშვნელობასა და სამრეწველო სექტორში მოდერნიზაციისა და რესტრუქტურიზაციის ხელშეწყობაზე. გარდა ზემოთ აღნიშნული საკითხებისა, ასოცირების შეთანხმებაში ჰაერს პირდაპირ უკავშირდება სამრეწველო დაბინძურებისა და სამრეწველო საფრთხეების თავი, სადაც განხილულია შეთანხმების ძალაში შესვლიდან 12 წლის ვადაში შესასრულებელი ისეთი ვალდებულებები, როგორიცაა „არსებული საუკეთესო ტექნოლოგიების" დანერგვის ვალდებულება, წვის ქარხნებისთვის გაფრქვევის ზღვრული ნორმების ლიმიტების დაწესება, გარდამავალი ეროვნული გეგმების შემუშავება არსებული ქარხნებიდან მთლიანი ყოველწლიური ემისიის შესამცირებლად.

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნულ პროგრამაშიც (NEAP 4) ვკითხულობთ, რომ ამჟამად, ქვეყანაში არ არსებობს სამრეწველო სექტორის რეგულირების ერთიანი უნიფიცირებული საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც გაითვალისწინებდა სამრეწველო სექტორიდან მომდინარე ყველა რისკს. თუმცა, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში საქართველომ აიღო ვალდებულება, განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას „სამრეწველო დაბინძურებისა და სამრეწველო საფრთხეების" სფეროში. კერძოდ, ამ მიზნით, უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია „სამრეწველო ემისიების შესახებ" დირექტივის საქართველოსთვის სავალდებულო დებულებებთან. მათ შორის, გათვალისწინებულია ინტეგრირებული სანებართვო სისტემის ამოქმედება და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დანერგვა. [6. 2022წ. გვ.5]. კანონაღსრულებით გამოწვევებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამ დრომდე, საწარმოების ნაწილს, რომელთაც ფუნქციონირების დაწყების დღიდანვე უნდა ჰქონოდათ აირმტვერდამჭერი სისტემები, ეს ვალდებულება ჯერ კიდევ არ აქვთ შესრულებული. შესაბამისად, ზოგიერთი საწარმო უკვე ათეულ წელზე მეტია კანონდამრღვევია.

მნიშვნელოვანი გამოწვევაა საწარმოების ინსპექტირების საკითხი. გარდა ინსპექტირებების არასაკმარისი რაოდენობისა, პრობლემაა ისიც, რომ მათი დიდი ნაწილი არის გეგმური და იმაზე ნაკლები, ვიდრე რეალურად საჭიროა. სასურველია გაიზარდოს არაგეგმური და მოულოდნელი ინსპექტირებების რიცხვი. გეგმური ინსპექტირების შესახებ, როგორც წესი, საწარმოებს წინასწარ აქვთ ინფორმაცია და, შესაბამისად, იზრდება იმის შანსი, რომ არსებული სიტუაცია უფრო უკეთესად წარმოაჩინონ, ვიდრე ეს მათი ყოველდღიური საქმიანობის დროსაა. მაგალითად, თუ ფილტრები აქვთ და ყოველდღიურად არ იყენებენ, შეიძლება ინსპექტირების დროს ეს ფილტრები აამუშაონ.

NEAP 4-ში ვკითხულობთ, რომ საქართველოში გამოწვევაა სამრეწველო სექტორიდან ემისიების რეგულირების ეფექტიანი მექანიზმის არარსებობა, რაც განპირობებულია ინტეგრირებული სანებართვო სისტემის არარსებობით. კონტროლის მხრივ პრობლემაა ისიც, რომ არ არსებობს კანონმდებლობის მეთხოვნათა შესრულების ხელშემწყობი ელექტრონული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მეწარმეების მიმართ დადგენილი სავალდებულო მიწერილობების შესაბამისად გასატარებელი ღონისძიებებისა და მათი შესრულების გონივრული ვადების სისტემატიზაციასა და კონტროლს.

ჰაერის დაბინძურებაში საწარმოების გარდა მნიშვნელოვანი როლი აქვს ავტოსატრანსპორტო საშუალებებს. აზოტის ოქსიდების მთლიანი გაფრქვევების 43% ავტოტრანსპორტზე მოდის. საზოგადოებრივი ტრანსპორტის არასათანადო განვითარება კი კიდევ უფრო ზრდის ემისიებს ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან. რეგისტრირებული ავტომობილების (სულ 1,47 მილიონი) 83% 10 წელზე მეტი ხნის წინ არის გამოშვებული, აქედან 23% - 30 წლის და მეტი ხნისაა. ძველი ავტოპარკი კიდევ უფრო მეტად აბინძურებს ჰაერს. აუცილებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტის სათანადო განვითარება, ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედის სავალი გზების გაუმჯობესება და ამით კერძო ავტომობილების მოხმარების შემცირება, იმის გათვალისწინებით, რომ მსუბუქი ავტომობილები მთლიანი ავტოპარკის 85%-ს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ 2018 წელს აღდგა ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო ტექინსპექტირების სისტემა, ამ მექანიზმის სათანადო მუშაობა დღემდე გამოწვევად რჩება. [6. 2022წ. გვ.8].

ხშირად ავტომობილები ტექინსპექტირებას გადიან ნათხოვარი ნაწილებით და მეორე დღეს ისევ დარღვევით აგრძელებენ მოძრაობას. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად დაიწყო საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა. მოსალოდნელი ცვლილებების მიხედვით, ავტომობილების გაუმართაობაზე გაიზრდება ჯარიმები, ასევე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი დაიწყებს გზებზე

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



გამონაბოლქვის კონტროლს. გარდა გაუმართავი ავტომობილების პრობლემებისა, ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ჰაერის დაბინძურება მჭიდროდ არის დაკავშირებული საწვავის ხარისხთან. ბოლო წლებში საწვავის ხარისხის გასაკონტროლებლად არაერთი ნაბიჯი გადაიდგა და გამკაცრდა კანონმდებლობა.

მნიშვნელოვანია, რომ ავტოგასამართი სადგურებისთვის გაიზარდა ჯარიმები საწვავის ხარისხის ნორმების დარღვევისთვის. წინა წლებში ჯარიმა 8,000 ლარი იყო, ახლა ეს თანხა 20,000 ლარი გახდა. ამასთან, ამ ჯარიმას დაემატა რეალიზებული საწვავის რაოდენობაც - ანუ ფიქსირებული ჯარიმის გარდა, ობიექტი გადაიხდის რეზერვუარში არსებული საწვავის რაოდენობის საბაზრო ფასის გახუთმაგებულ რაოდენობას.

გამოწვევად რჩება ფინანსური რესურსის ნაკლებობაც, რათა საწვავის ხარისხის შემოწმების რაოდენობა ევროპული სტანდარტის შესაბამისად გაიზარდოს.ბენზინსა და დიზელს საკმაოდ ბევრი კომპონენტი დაემატა (მაგ.ორთქლის წნევა, აფეთქების ტემპერატურა, დიზელში წყლის შემცველობა), რამაც მნიშვნელოვნად გააძვირა მათი ხარისხის შემოწმების ფასი. [6]

პარიზის შეთანხმება ევროპას მოიაზრებს, როგორც პირველ ნახშირბადნეიტრალურ კონტინენტს 2050 წლისთვის. ამ მიზნის მისაღწევად, ევროკავშირი გეგმავს 2030 წლისთვის ემისიების 50%-ით შემცირებას, 1990 წელთან შედარებით. ბუნებრივია, ამის მიღწევა მხოლოდ შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტებისა და გადაწყვეტილებების მიღებითა და განხორციელებით იქნება შესაძლებელი. [7]

მწვანე შეთანხმება ითვალისწინებს პოლიტიკის სამ მიმართულებას: გარემოსდაცვითს, ფისკალურსა და სამრეწველოს. ევროკავშირმა აღნიშნული შეთანხმება 2019 წელს სამოქმედო გეგმით განამტკიცა.

2019 წლის მწვანე შეთანხმება მოიცავს ოთხ კომპონენტს, ესენია:

- სუფთა, ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგიის მიწოდება;
- შენება და განახლება ენერგოდამზოგავი ეფექტური საშუალებებით;
- მდგრად და ჭკვიან მობილურ სისტემებზე გადასვლის დაჩქარება;
- სამართლიანი, ჯანსაღი და გარემოსთან თავსებადი საკვები. [8]

ეს სისტემური ცვლილება უნდა განხორციელდეს შესაბამისი გარემოსდაცვითი და ფინანსური ინიციატივების შედეგად. კერძოდ, გარემოსდაცვითი მიმართულებისთვის, აღნიშნული გულისხმობს წარმოების მობილიზებას უფრო სუფთა და ცირკულარული ეკონომიკის გზით, ევროკავშირის კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას 2030 წლისთვის და შემდგომ პერიოდში, ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, განახლებასა და ნულოვანი დაბინძურების მიღწევას არატოქსიკური გარემოს უზრუნველსაყოფად.

ევროპის მწვანე შეთანხმებასთან ერთად, ევროკავშირმა შეიმუშავა კლიმატისა და ენერგეტიკის გეგმა, რომელიც გულისხმობდა პარიზის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას 2030 წლისთვის.

## რა შედეგების მოტანა შეუძლია პარიზის მწვანე შეთანხმებას და ევროკავშირის კლიმატისა და ენერგეტიკის გეგმას საქართველოში?

მწვანე შეთანხმების მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის თვალისწინებს არა ეკონომიკური ზრდის შეფერხებას, არამედ ეკონომიკის ზრდასა და ემისიების შემცირებას შორის კავშირის გაწყვეტას, განახლებადი ენერგიებისა და ენერგოეფექტურობაში მზარდი ინვესტირების განხორციელების გზით [9]. მწვანე შეთანხმებას აქვს როგორც სამართლებრივი, ისე ფინანსური სირთულეები. შეთანხმების მიხედვით, ევროკავშირი გეგმავს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მეოთხედი 2030 წლისთვის იყოს ორგანულად მოყვანილი, 50%-ით დაიკლოს სასუქისა და პესტიციდების მოხმარებამ, დაირგოს 3 მილიარდი ხე და აღდგეს ის ეკოსისტემა, რომელიც დამამტვერიანებლების საჭირო რაოდენობას შეინარჩუნებს. თუმცა, იგივე მიზნები არ გვხვდება ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობებში. ევროკავშირის ერთი მეხუთედი ისეთი ქვეყნიდანაა იმპორტირებული, სადაც მკაცრი გარემოსდაცვითი ზომები ნაწილობრივ ან საერთოდ არ არის შემოღებული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პარიზის შეთანხმების შესაბამისად, ნახშირბადის ემისიებს ითვლიან ეროვნული წარმოებიდან და არა იმპორტირებული მოხმარებული პროდუქციიდან, რაც ქმნის გარემოსდაცვითი პრობლემების განვითარებად ქვეყნებში გადატანის საშიშროებას. ამიტომ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ევროკავშირის მიერ მისსავე ტერიტორიაზე მიღებული სტანდარტების მაქსიმალური გავრცელება საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებზე


N1 (72) 2024, Vol. 19, Issue 1.

და, ასევე, მის მიერ წარმოების გაზრდა, ხორცისა და რძის პროდუქტების მოხმარების შემცირება და სხვა. სოფლის მეურნეობის სექტორში იგივე სტანდარტების გავრცელება შესაძლოა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვისაც მიმზიდველი აღმოჩნდეს. საქართველოს და უკრაინის მსგავსმა ქვეყნებმა შესაძლოა ისარგებლონ ორგანული და ჭკვიან ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობის დასანერგად და განსავითარებლად.

კითხვაზე, რისი მოტანა შეუძლია საქართველოსთვის მწვანე შეთანხმებას, პასუხი ცალსახა არ არის. საკმაოდ მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად არის მზად თვითონ საქართველო ამ პროცესში პროაქტიულად ჩასართავად და სამიზნე თემების განსასაზღვრად, რადგან გარემოსდაცვით მიმართულებაში იკვეთება ეკონომიკური სარგებლის მომტანი თემები (ნარჩენების უტილიზაცია, ინოვაციური ტექნოლოგიები) და თემები, რომლებიც, პირიქით, თავდაპირველად დიდ ინვესტირებას საჭიროებს, თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, მათაც მოაქვს ფინანსური სარგებელი დაზოგილი ჯანდაცვის ხარჯებით (მაგალითად, ჰაერის დაბინძურების აღმოფხვრის შემთხვევაში), ან ეკოსისტემის სერვისების მიღებით და სხვა. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, სტრატეგიულად განისაზღვროს მთავრობისა და კერძო სექტორის როლი და სახელმწიფომ იტვირთოს „გარანტორის" ფუნქცია ფინანსურად ნაკლებმიმზიდველი გარემოსდაცვითი პროექტების განსახორციელებლად. ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის მიმართულებით ისედაც მრავალი ვალდებულების, სტრატეგიული დოკუმენტისა თუ საკანონმდებლო აქტის მიღება და განხორციელებაა საჭირო, რაც ამჟამინდელი ინსტიტუციური მოწყობითა და ადამიანური რესურსებით საკმაოდ რთულია. [7]

საქართველოს გარემოსდაცვითი სამოქმედო მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021 წლების პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტია. მასზე გავლენას ახდენს ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები და ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებები, შესაბამისი ეროვნული პოლიტიკა და სტრატეგიული დოკუმენტები. საქართველოს გარემოს დაცვით მოქმედებათა მესამე ეროვნულ პროგრამაში ასახული იყო შემდეგი სტრატეგიული მიზნები:

- გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა, ადამიანის ჯანმრთელობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის რისკების შერბილება.
- რეგიონული და გლობალური გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებებთან თავსებადობის გაზრდა და ევროკავშირის ზოგად გარემოსდაცვით პოლიტიკასთან, ჩარჩო კანონმდებლობასა და დირექტივების სპეციფიკურ მოთხოვნებთან შემდგომი დაახლოება.
- ადმინისტრაციული სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდა, რაც საჭიროა ეფექტური გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველსაყოფად.
- მდგრადი განვითარების ხელშეწყობა გარემოსდაცვითი ასპექტების ინტეგრირებით სოციალურ და ეკონომიკურ სექტორულ პოლიტიკაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განახლებაში, მნიშვნელოვანი ხარვეზები არსებობს ეროვნულ კანონმდებლობასა და კარგ საერთაშორისო პრაქტიკას შორის. ბოლო დროს მომზადებული რამოდენიმე შესაბამისი გარემოსდაცვითი კანონის მიღება მნიშვნელოვნად გააძლიერებდა მარეგულირებელ ეროვნულ სისტემას. ასევე საჭიროა კანონმდებლობის განვითარება ისეთ სფეროებში, როგორიცაა შრომისა და სამუშაო პირობები; სოციალური შეფასება; მიწის შეფასება და მისი კომპენსაცია; ქონებრივი და ეკონომიკური ზარალი; საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. გარემოსდაცვითი კანონების აღსრულება უნდა განმტკიცდეს კონკრეტული პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით და ძირითადი ინსტიტუტების აღმასრულებელი შესაძლებლობების გაზრდით, მაგალითად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრორი. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების შემუშავება პროექტის განმახორციელებელ დაწესებულებებში (მათ შორის სამთავრობო უწყებებსა და სახელმწიფო საწარმოებში) აამაღლებდა პოლიტიკის განხორციელების როგორც ხარისხს, ასევე თანმიმდევრულობას.

ევროკომისიამ, როგორც უკვე აღინიშნა, 2019 წელს გამოაცხადა ევროპული მწვანე შეთანხმება. იგი მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევა საქართველოსთვის, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნისთვის. ევროპული მწვანე შეთანხმება აყალიბებს ევროკავშირის ვალდებულებებს კლიმატთან და გარემოსთან დაკავშირებული გა-

მოწვევებთან მიმართებაში. ეს არის ზრდის ახალი სტრატეგია, რომლის მიზანია 2050 წელს კლიმატის ნეიტრალიტეტის მიღწევა და ეკონომიკური ზრდის გაცალკევება რესურსების გამოყენებისგან. ევროპული მწვანე შეთანხმება ასევე მიზნად ისახავს ბუნებრივი კაპიტალის დაცვას, შენარჩუნებას და გაძლიერებას, აგრეთვე მოქალაქეების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვას ბუნებრივი გარემოდან მომდინარე რისკებისა და უარყოფითი ზემოქმედებისგან. ევროპულ მწვანე შეთანხმება რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტია, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს მდგომარეობასთან. მათ შორისაა გარემოს ნულოვანი დაბინძურება, აგრეთვე ეკოსისტემებისა და გარემოს დაცვა, და სხვა არსებითი ელემენტები. ევროპული მწვანე შეთანხმება პირდაპირ გავლენას ახდენს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებზე, როგორიცაა საქართველო. გარემოს მართვასთან დაკავშირებული კანონშემოქმედების პროცესზე გავლენა მოახდინა აგრეთვე საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერამ 2014 წლის ივნისში.

საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი მოიცავს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას, ასევე შერბილებას, ხაზს უსვამს მზაობას, ადაპტაციურ შესაძლებლობებს და სათბურის გზების ემისიების შემცირებას, როგორც მწვანე ზრდის პრიორიტეტს. საქართველო აანალიზებს 2030 წლისთვის ნახშირბადის გამონაბოლქვის შემცირების უფრო ამბიციური მიზნების დასახვის ხარჯებსა და სარგებელს. ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის მხარდამჭერი ფონდი არის სასტარტო ფონდი მრავალი დონორის მონაწილეობით, რომელიც შეიქმნა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განხორციელების ხელშესაწყობად. აღნიშნულმა ფონდმა მხარი დაუჭირა ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებას საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში კლიმატის ცვლილებიდან მომდინარე უარყოფით ზემოქმედებასთან ადაპტაციისთვის. ეს იქნება ეროვნული ადაპტაციის გეგმის სამშენებლო ელემენტი, რომელიც კლიმატიც ცვლილებასთან ადაპტაციისა და შერბილების ღონისძიების სახით ხელს შეუწყობს მედეგი ლანდშაფტების ჩამოყალიბებას.

მიუხედავად იმისა, რომ ნარჩენების მართვის გარემოსდაცვითი რეგულაციები მიღებულია, მათი აღსრულება კვლავ სუსტად ხდება. საქართველოში არ არის ნარჩენების მართვის ყოვლილსმომცველი მიდგომა, რაც შეიძლება მიღწეულიყო წრიული ეკონომიკის მიდგომით. წრიული ეკონომიკა არის სისტემური დონის მიდგომა ეკონომიკური განვითარებისადმი, რომელიც ემყარება პროდუქტებისა და მასალების მრავალჯერადი გამოყენებისა და ბუნებრივი სისტემების განახლების პრინციპებს. ამჟამინდელი წრფივი ეკონომიკა (აიღე-გააკეთე-გადააგდე) დაბინძურების საკითხს არ განიხილავს სისტემურად. ქვეყანაში მხოლოდ რამდენიმე სტანდარტული სანიტარული ნაგავსაყრელი არსებობს, ისევე როგორც ნარჩენების განადგურების რეგისტრირებული ობიექტების შეზღუდული რაოდენობა. საქართველოს სოფლებში უამრავი არალეგალური ნაგავსაყრელი არსებობს. მათ შორის ყველაზე საზიანო ისინია, რომლებიც მდინარის კალაპოტებშია მოწყობილი. არ არსებობს სახიფათო ნარჩენების უსაფრთხოდ მოშორების საშუალებები. საშიში ნარჩენების წარმომქმნელი საწარმოების უმეტესობა მათ საკუთარ შენობებში ინახავს, რაც არ საჭიროებს ლიცენზირებას. მაღალია ჯანმრთელობის რისკები საზოგადოებისა და გარემოს მიმართ.

ზოგიერთ შემთხვევაში, სუფთა წარმოებისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ჩარჩოებად შემოღებული პოლიტიკა არაეფექტურია და ვერ ქმნის სწორ სტიმულებს. „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპი შემოღებულია გარემოსდაცვით კანონმდებლობაში, მაგრამ წახალისება არ არის საკმარისად ძლიერი, რომ ქცევის შეცვლა განაპირობოს. დამაბინძურებელი საწარმოებისთვის დაწესებული ჯარიმები საკმაოდ დაბალია. ხშირ შემთხვევაში ისინი არაეფექტურია, რადგან დამაბინძურებლებს არ უქმნიან მოტივაციას, რომ ინვესტირება მოახდინონ სუფთა ტექნოლოგიების შესაძენად. დაცულ ტერიტორიებზე ადმინისტრაციებს ურჩევენ საკუთარი შემოსავლის გამომუშავებას, რომელიც შეუძლიათ დაიტოვონ. ამის შედეგად, დაცულმა ტერიტორიებმა უნდა დააბალანსდოდ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მცდელობები და შემოსავლის მომტანი საქმიანობები, როგორიცაა ტურიზმი და დასვენება. კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ აშკარად განსაზღვრავს დაცული ტერიტორიების სხვადასხვა ზონაში დაშვებული საქმიანობის ტიპებს. მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელობას რჩება ადგილი ინდივიდუალური ინვესტიციებისა და მოქმედებების დასაზუსტებლად, რომლებიც ყოველთვის არ შეესაბამება კანონის სულისკვეთებას.

ეფექტურ და ეკონომიკურად რენტაბელურ გარემოსდაცვით სისტემებზე საქართველოში გავლენას ახდენს სათანადო დაფინანსების არარსე-

ბობა განხორციელების ხელშესაწყობად. გარემოსდაცვითი მართვა მნიშვნელოვან შიდა რესურსებს იღებს როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისა და საერთაშორისო განვითარების პარტნიორებისგან, რომლებმაც ქვეყნის გარემოსდაცვითი ხარჯების საერთო ოდენობის 39-დან 47 პროცენტამდე შეადგინეს. მიუხედავად ამისა, ფინანსური რესურსები ჩამოუვარდება სავარაუდო საჭიროებებს. მაგალითად, ტყის ახალი კოდექსის შესრულების ხარჯები 60 მილიონ აშშ დოლარად იქნა შეფასებული, რაც დაახლოებით ორჯერ აღემატება გარემოსდაცვითი ბიუჯეტის წლიურ ოდენობას ყველა სექტორში. შიდა რესურსების უმეტესობა განკუთვნილია ცენტრალური ადმინისტრაციისა და გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის.

განვითარებაში საქართველოს პარტნიორები უზრუნველყოფენ გარემოსდაცვითი სექტორებისთვის სახელმწიფო დაფინანსების თითქმის ნახევარს. ყოველწლიური საგარეო დაფინანსება 20-25 მილიონი აშშ დოლარის ფარგლებში იყო, 2010-იანი წლების განმავლობაში კი საგარეო დაფინანსების მცირედი ზრდის ტენდენციაც არსებობდა. გარე პარტნიორების მიერ დაფინანსებული პროექტების უმეტესობა მიმართულია მყარი ნარჩენების მართვაზე, ხოლო ბუნებრივი გარემოს დეგრადაციის სავარაუდო წლიური ღირებულების გამომწვევმა სხვა სექტორებმა კი ნაკლები მხარდაჭერა მიიღეს. COVID-19 პანდემიამ და მისმა ეკონომიკურმა ზეგავლენამ კიდევ უფრო გაზარდა ფისკალური დაძაბულობა და მასთან ერთად გაიზარდა ეკონომიკის აღდგენისა და გარემოსდაცვითი პრიორიტეტებისთვის განვითარების პარტნიორების მარდაჭერის საჭიროება. ეს ხაზს უსვამს „მოგება-მოგების" პოლიტიკასა და ინვესტიციების მნიშვნელობას, რომლებიც მიმართულია გადაუდებელ აღდგენით საჭიროებებზე და, ამავე დროს, საფუძველს უყრის გრძელვადიან მწვანე ზრდას. [10]

## დასკვნა

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის თანამედროვე კანონმდებლობის განხორციელება მნიშვნელოვნად იზღუდება ადმინისტრაციული ორგანოების არასაკმარისი ტექნიკური შესაძლებლობებით. წყლის რესურსების, ტყეებისა და ბიომრავალფეროვნების მართვის მიზნით ტრანსფორმაციული კანონმდებლობის მიღებას დასჭირდება ექსპერტიზის ახალ სფეროები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ისევე როგორც მის დაქვემდებარებულ ორგანოებში - ეროვნული სატყეო სააგენტოსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოში. შესაძლებლობების განვითარების აშკარა საჭიროებები მოიცავს ლანდშაფტისა და ტყის მართვის გეგმების შემუშავებას და განხორციელებას; ტყის რეესტრისა და ინვენტარიზაციის მონაცემთა ბაზის ადმინისტრირებას; ეკოსისტემური სერვისების იდენტიფიცირებასა და შეფასება; ბიომრავალფეროვნების კომპენსაციების შემუშავებასა და უზრუნველყოფას. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მანდატი მოიცავს საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზოგად შემოწმებას; ეს გულისხმობს დაბინძურების კონტროლის პასუხისმგებლობის ფართო სპექტრს, რომელიც ძალიან ფართოა იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს კონკრეტული შემამსუბუქებელი ზომების გაკონტროლება.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



# LABOUR MARKET INSTITUTIONS AND FEATURES OF THEIR FUNCTIONING IN GEORGIA

Copyright © 2024 the Author/s

Peer review method: Double-Blind
Accepted: February 5, 2024
Published: February 22, 2024
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC19012024-82



**Tornike Osadze**
Akaki Tsereteli State University,
Faculty of Business, Law and Social Sciences,
Doctoral student in Economics
ORCID-ID- 0009-0009-0811-3046
E-mail: osadze.tornike@atsu.edu.ge
Cell: 599-30-35-04

## ABSTRACT

*Today unemployment and related socio-economic problems are perceived by the society as particularly painful. Therefore, the issues of the effective functioning of the labor market are particularly prominent. Due to these challenges, the issue of development of institutions is becoming more and more urgent, which is confirmed by the experience of advanced countries of the world.*

*With purpose to study the labor market institutions, this paper uses Douglas North's division of institutions into formal and informal institutions.*

*The paper considers the institutions as an economic category and discusses the role of the formal and informal institutions in the functioning of the labor market, and the peculiarities of the functioning of labor market institutions in Georgia.*

*As this study confirms, labor market formal and informal institutions are closely connected with other institutions and changes in one area affect other areas. Therefore, economic decisions should take into account the interests of all areas as much as possible. In addition, the state have to give priority to formal institutions in the functioning of the labor market, since the existence of informal institutions in Georgia is characterized by shortcomings and in many cases injustice.*

*The institutional development of the labor market in Georgia is characterized by a number of peculiarities: the connection between institutions of different fields is characterized by instability and does not have a complex approach at the state level; A changing political course changes the agenda and undermines the importance of institutions; Informal institutions of the labor market are mostly characterized by shortcomings, which are widespread among the population of Georgia and have deep historical roots.*

***Key words:*** *labor market institutions; institutional development; institutional framework; government agencies; Social psychology.*

**REFERENCES:**

1. Balarjishvili I., 2008, Barrier character of institutional transformation Transplantation or evolution". Tbilisi magazine "Economy and Business, N1, 2008;
2. Arnania-Kepuladze T., 2014, Institutions: Uncertainty in Definition of the Term. A Brief Look at the history: 1890-1930, Quarterly Journal of Economic Policy 9, no. 4. Pp. 79-102;
3. Arnania-Kepuladze, T., & Kepuladze, G., 2021, Poverty definitions diversity and clusters of poverty. Journal of the Belarusian State University. Philosophy and Psychology, 2:21–28. https://elib.bsu.by/bitstream/123456789/267623/1/21-28.pdf;
4. Blaug, Mark, 1990, Economic theory in retrospect, Published by the Press Indicate of the University of Cambridge, 4th edition;
5. Ederveen Sjef, Laura Thissen, Can Labor Market Institutions Explain Unemployment Rates in New EU Member States?, ISBN 92-9079-504-2, ENEPRI Working Paper No. 27/June 2004;
6. Freeman Richard B., Labor Market Institutions Around the World, CEP Discussion Paper no 844, LSE, 2008, ISBN 978-0-85328-219-8;
7. Hodgson, M. G., 2006, What Are Institutions? Journal of Economic Issues, Vol. XL No. 1 March 2006, 40(1);
8. Kepuladze G., Arnania-Kepuladze T., 2017, Cooperatives and Social Capital: Innovative approach towards definition of an interconnection. 9th International Research Conference Management Challenges in the 21st Century, Bratislava, Slovakia. https://www.researchgate.net/publication/338611800_Cooperatives_and_Social_Capital_Innovative_approach_toward_definition_of_an_interconnection;
9. North, D., 1990, Institutions, Institutional Change and Economic Performance. Cambridge: Cambridge University Press;
10. Арнания-Кепуладзе Т. Г., 2018, Рынок труда как система формальных и non-formal institutions. International Scientific and Practical Conference World science. 2018; 6(34):38-42, DOI: https://doi.org/10.31435/rsglobal_ws/12062018/5868.

# შრომის ბაზრის ინსტიტუტები და მათი ფუნქციონირების თავისებურებანი საქართველოში

**თორნიკე ოსაძე**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის,
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
ORCID-ID-0009-0009-0811-3046
ელ. ფოსტა: osadze.tornike@atsu.edu.ge
ტელ: 599-30-35-04

**აბსტრაქტი**

*თანამედროვე რეალობაში უმუშევრობა და მასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები განსაკუთრებულად მტკივნეულად აღიქმება საზოგადოების მიერ, რის გამოც განსაკუთრებულად იკვეთება შრომის ბაზრის ეფექტიანად ფუნქციონირების საკითხი. ამ გამოწვევებიდან გამომდინარე სულ უფრო აქტუალური ხდება ინსტიტუტების განვითარების საკითხი, რასაც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებაც ადასტურებს.*

*შრომის ბაზრის ინსტიტუტების შესწავლისთვის მოცემულ ნაშრომში გამოყენებულია დუგლას ნორტის მიერ შემოთავაზებული ინსტიტუტების დაყოფა ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებად.*

*ნაშრომში ინსტიტუტი განხილულია, როგორც ეკონომიკური კატეგორია და შესწავლილია ინსტიტუტების როლი შრომის ბაზრის ფუნქციონირებაში, შესწავლილია შრომის ბაზრის ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები და გაანალიზებულია შრომის ბაზრის ინსტიტუტების ფუნქციონირების თავისებურებანი საქართველოში.*

*როგორც მოცემული კვლევა ადასტურებს, შრომის ბაზრის ინსტიტუტები მჭიდრო კავშირშია სხვა ინსტიტუტებთან. ერთ სფეროში მიმდინარე ცვლილებები გავლენას ახდენს სხვა სფეროზე. ამიტომ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული ყველა სფეროს*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

*ინტერესები. გარდა ამისა, სახელმწიფომ შრომის ბაზრის ფუნქციონირებაში უმჯობესია პრიორიტეტი ფორმალურ ინსტიტუტებს მიანიჭოს, ვინაიდან არაფორმალური ინსტიტუტების არსებობა საქართველოში ხარვეზებით და ხშირ შემთხვევაში უსამართლობით ხასიათდება.*

*შრომის ბაზრის ინსტიტუციორი განვითარება საქართველოში რიგი თავისებურებებით ხასიათდება: სხვადასხვა სფეროს ინსტიტუტებს შორის კავშირი არასტაბილურია და სახელმწიფოს შრომის ბაზრის ინსტიტუტების მიმართ არ გააჩნია კომპლექსური მიდგომა; ცვალებადი პოლიტიკური კურსი ცვლის დღის წესრიგს და აკნინებს ინსტიტუტების მნიშვნელობას; შრომის ბაზრის არაფორმალური ინსტიტუტები უმეტესწილად ნაკლოვანებებით ხასიათდება, რომელიც საქართველოს მოსახლეობაში ფართოდ არის გავრცელებული და დიდი ისტორიული ფესვები გააჩნია.*

***საკვანძო სიტყვები:*** *შრომის ბაზრის ინსტიტუტები; ინსტიტუციორი განვითარება; ინსტიტუციური ჩარჩო; საზოგადოებრივი ინსტიტუტები; საზოგადოებრივი ფსიქოლოგია.*

## შესავალი

საქართველოს, ისევე როგორც სხვა ქვეყნების, ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას დასაქმების ზრდა და უმუშევრობის შემცირება წარმოადგენს. შრომის ბაზრის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი და პრეროგატივაა.

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი შრომის ბაზარს უჭირავს.

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების, საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული პროცესების ამსახველი სფეროა. შრომის ბაზარი უზრუნველყოფს სამუშაო ძალის მყიდველებისა და გამყიდველების დაკავშირებას, რაც გაშუალებულია იმ პოლიტიკით, რომელსაც ატარებს სახელმწიფო.

## ძირითადი ტექსტი

შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება, პიროვნების თუ საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმ ინსტიტუტებზე, რომლებიც მოქმედებენ როგორც საზოგადოებაში ზოგადად, ასევე საზოგადოებივი ცხოვრების ცალკეულ სფეროში, მ.შ. შრომის ბაზარზე [Abbritti 2010; Ederveen 2004; Arnania-Kepuladze 2018; Freeman 2008]. შრომის ბაზრის განვითარება და ფუნქციონირება კი მეტწილად განისაზღვრება იმ ინსტიტუციური ჩარჩოებით, რომლის ჭრილშიდაც ხდება დასაქმების, უმუშევრობის, ადამიანური თუ სოციალური კაპიტალის და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება.

ამასთან, ინსტიტუციური სივრცე ხასიათდება დროში ცვალებადობით [Hodgson 2006; North 1990; Arnania-Kepuladze 2014], როცა ახალი გამოწვევებიდან გამომდინარე ინსტიტუტებმა შეიძლება ერთმანეთი ჩაანაცვლონ. ეს პროცესი განიხილება, როგორც პროგრესისა და საზოგადოებრივი სიკეთის მუდმივი არსებობის საწინდარი.

შრომის ბაზრის ინსტიტუტები არ წარმოადგენენ მონოლიტურ ფენომენს და მათი სტრუქტურა საკმაოდ განშტოებულია [Arnania-Kepuladze 2018:39]. აქედან გამომდინარე, შრომის ბაზრის ინსტიტუტების შესწავლისთვის მოცემულ ნაშრომში გამოყენებულია დ. ნორტის მიერ შემოთავაზებული ინსტიტუტების დაყოფა ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებად [North 1990]. ამასთან, არაფორმალურ ინსტიტუტებში დუგლას ნორტი მოიაზრებდა ქცევის წესების ერთობლიობას, რომელიც კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ხოლო ფორმალურ დაჯგუფებაში მან გააერთიანა ის იურიდიულად განსაზღვრული უფლება-მოვალეობები, რომლებიც კონსტიტუციიდან გამომდინარე დაკანონებულია სხვადასხვა კანონების თუ ინდივიდუალური კონტრაქტების სახით.

შრომის ბაზრის თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე აუცილებელი ხდება დასაქმების მაღალი დონისა და სოციალური კეთილდღეობის მიღწევა, რაც შესაძლებელია შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფით, ინსტიტუციური გარემოს სრულყოფის საფუძველზე. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს იმ ინსტიტუტების არსებობას, რომლებიც ხელს შეუწყობს შესაბამისი ჩარჩო-პირობების ჩამოყალიბებას და შრომის ბაზარზე არსებული პრობლემების გადაწყვეტას.

## ინსტიტუტი, როგორც ეკონომიკური კატეგორია

ეკონომიკური განვითარება დიდწილად დამო-

კიდებულია იმ ინსტიტუციურ ჩარჩოებზე, რომლის შიგნითაც მიმდინარეობს ესა თუ ის ეკონომიკური პროცესები. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით შესამჩნევია ინსტიტუციური ეკონომიკის როლისა და მნიშვნელობის ზრდა, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით [Blaug, 1990].

ტერმინი „ინსტიტუტი" ეკონომიკურ მეცნიერებაში დამკვიდრებამდე ფართოდ გამოიყენებოდა ფილოსოფიაში, პოლიტოლოგიაში და სოციოლოგიაში. მიუხედავად ამისა, დღემდე არ არის ჩამოყალიბებული კატეგორია „ინსტიტუტი"-ს სრულყოფილი განმარტება [Arnania-Kepuladze 2014].

ინსტიტუციონალიზმის წარმომადგენლები განიხილავენ ინსტიტუტებს, როგორც საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელ ძალას. ამასთან, ინსტიტუტებში იგულისხმება როგორც საზოგადოებრივი ფსიქოლოგია, რომელიც მოიცავს ქცევის მოტივაციას, აზროვნებას, ტრადიციებს, ადათ-წესებს. ასევე ოჯახი, სახელმწიფო, პროფკავშირი და სხვ., რასაც ინსტიტუციონალიზმის წარმომადგენლები აერთიანებენ საზოგადოებრივ ინსტიტუტებში.

ინსტიტუციური ეკონომიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ამერიკელი ეკონომისტის, დუგლას სესილ ნორტის განმარტებით „ინსტიტუტები არის ადამიანების მიერ შექმნილი წესები, რომლებიც არეგულირებენ ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ ურთიერთობებს" [North 1990]. დუგლას ნორტისთვის ინსტიტუტები არის „თამაშის წესები" ანუ საზოგადოებაში დადგენილი გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც მიზნად ისახავს გაურკვევლობის შემცირებას და ეკონომიკური აგენტების ქცევის პროგნოზირების შესაძლებლობას თითოეულ კონკრეტულ სიტუაციაში, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში წესრიგის დამყარებას და შენარჩუნებას.

ინსტიტუტების არსებობა განპირობებულია იმით, რომ შეასრულონ ის მიზნები, რისთვისაც ეს ინსტიტუტები არის შექმნილი. ამ ფაქტთან დაკავშირებით დუგლას ნორტი აღნიშნავს [North 1990], რომ ინსტიტუტების არსებობის მიზანია შეამციროს გაურკვეველობა გაცვლის პროცესში. გაურკვევლობა ძირითადად დაკავშირებულია ინფორმაციის ნაკლებობასთან (ინფორმაციის ასიმეტრიულობასთან), როცა მხარეები ინფორმაციას არათანაბრად ფლობენ. მ.შ. გაცვლის პროცესში მონაწილე მხარის მიზნებზე, შესაძლებლობებზე და ა.შ. ასეთ ვითარებაში გაცვლის პროცესის ერთ-ერთ მხარეს უწევს გადაწყვეტილებების მიღება არასრულყოფილი მონაცემების საფუძველზე. ყოველივე ზემოდ აღნიშნული უშუალოდ ეხება შრომის ბაზარს.

### ინსტიტუტების როლი შრომის ბაზრის ფუნქციონირებაში

შრომის ბაზრის ინსტიტუტების საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში, რომელშიც ინსტიტუტები განიხილება, როგორც შრომის ბაზრის თანამედროვე გამოწვევების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტი, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის.

შრომის ბაზარზე ხდება დასაქმებულთა და დამსაქმებელთ შორის ინტერესების გაცვლა - სამუშაოს მაძიებლები მზად არიან საკუთარი შრომის და უნარების გამოყენების სანაცვლოდ მიიღონ გარკვეული შრომის ანაზღაურება, დამსაქმებლები კი თავის მხრივ მზად არიან გაწიონ გარკვეული ხარჯი, რათა მიიღონ მათთვის სასარგებლო შრომითი უნარები. შესაბამისად შრომის ბაზრის სუბიექტებს შორის ხდება ინტერესთა რეალიზება. თუმცა ეს გაცვლის პროცესი მარტივად არ მიმდინარეობს. შრომის ბაზრის სუბიექტთა შორის ურთიერთობის რეგულირება ხდება სხვადასხვა ნორმებით და კანონებით, რომელთა ერთობლიობას ქმნის ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები.

შრომის ბაზარი ფუნქციონირებს სპეციალურ ინსტიტუციურ გარემოში, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს, დამსაქმებლებსა და მუშაკებს შორის ურთიერთქმედებას, ხელს უწყობს მათ მოლაპარაკებას დასაქმების პირობებთან, მხარეების უფლება-მოვალეობებთან და ა.შ. დაკავშირებით [Arnania-Kepulkadze 2018]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შრომის ბაზრის ინსტიტუციები - ესაა მოცემულობა, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის აგენტების პოზიციას შრომის ბაზარზე და პროგნოზირებადს ხდის შრომით ურთიერთობებში ჩართული პირების ეკონომიკურ ქცევას.

### შრომის ბაზრის ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები

შრომის ბაზარზე მკაფიოდ იკვეთება ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების მნიშვნელობა. ეს ინსტიტუტები პირდაპირ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე.

შრომის ბაზრის ფორმალურ ინსტიტუტებში იგულისხმება საკანონმდებლო-სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც შრომის ბაზრის ინსტიტუტების საფუძველს წარმოადგენს. რაც შეე-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



ხება არაფორმალურ წესებს, ის ყალიბდება სტიქიურად, შრომის ბაზრის სუბიექტებს შორის სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის პროცესში. ხოლო ფორმალური წესები უკვე არსებული არაფორმალურის წერილობითი დადასტურებაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავდაპირველად წარმოიქმნება შეხედულება და დამოკიდებულება იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, ხოლო ამის საფუძველზე საზოგადოებაში თავად გამომუშავდება გარკვეული პასუხი, თუ როგორ უნდა იქნას ფორმალიზებული და სამართლებრივი სახით ჩამოყალიბებული. აქვე შიეძლება ისიც ვთქვათ, რომ არაფორმალური წესების სისტემის ფარგლებში განიხილება ის საკითხები, რომელთა თაობაზე შეთანხმება ჯერ არ არსებობს.

შრომის ბაზრის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, ერთი მხრივ, ფორმალური ნორმების და, მეორე მხრივ, ამ ნორმების და რეალური პრაქტიკების ურთიერთანხვედრაზე. განვითარებულ საზოგადოებებში კანონები და ნორმები მოქალაქეების უმრავლესობის მიერ აღიქმება, როგორც სამართლიანი და მათი რეალიზება ხდება თავისუფალი ნების გამოხატულებით. ხშირ შემთხვევებში სახელმწიფო თავად იღებს ზომებს წონასწორობის აღსადგენად, თუ ამას ინსტიტუციური კონტროლი ვერ უზრუნველყოფს. ამის რეალიზებას კი ახდენს ფორმალური, სამართლებრივი ნორმების საშუალებით, რაც გულისხმობს მათ დაახლოებას კულტურულ წარმოდგენებთან თუ მოსახლეობის ინტერესებთან.

შრომის ბაზრის ფორმალური ინსტიტუტების განვითარების ძირითადი სოციალური საფუძველია სამართლებრივი სახელმწიფო. რეალობაა რომ სამართალი ვერასოდეს ვერ დაფარავს სოციალური ცხოვრების ყველა სფეროს, შესაბამისად კნინდება მისი ღირებულება და აქტიურდება ალტერნატიული მექანიზმები.

შრომის ბაზარზე არაფორმალური ინსტიტუტების არსებობა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ეს თავისებურება განსხვავებული ნიშნებით ვლინდება, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას როგორც დადებით, ისე უარყოფით კონტექსტში. ასე, არაფორმალური ინსტიტუტის უარყოფით გამოვლინებას ის, რომ შესაძლებელია სამსახურში ძალაუფლების ოფიციალური მატარებლის მიერ მართვის სფეროს სრულად მითვისება მოხდეს. არაფორმალური ინსტიტუტების დადებით გამოვლინებას წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებული წარმატების მიღწევის ჟინი და შემართება, რომ საკუთარი თავის რეალიზებისათვის შრომისმოყვარეობა ყველაზე კარგი საშუალებაა. ეს ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების გაზრდას და ახალი უნარების შეძენას.

### შრომის ბაზრის ინსტიტუტების ფუნქციონირების თავისებურებანი საქართველოში

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, ისეთი როგორიც საქართველოა, ინსტიტუციური სისტემების დაკნინება უმეტეს შემთხვევაში ხასიათდება ფორმალური ნორმებისგან გადახრით, რომლებიც არასამართლებრივ ხასიათს იღებენ. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალშისაცემია შრომის ბაზრის მაგალითზე, როცა ბაზარი კარგავს თავის დანიშნულებას და აღარ ხდება დასაქმებულთა თუ დამსაქმებელთა ინტერესების ზუსტი თანხვედრა. გარდა ამისა, არასამართლებრივი პრაქტიკების ინსტიტუციონალიზაცია ნიშნავს არსებული ინსტიტუტების გადაგვარებას, რაც რათქმაუნდა უარყოფითად აისახება საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროზე.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში, არაფორმალური, არასამართლებრივი ურთიერთობები განსაკუთრებით ძლიერია, რაც ხელს უშლის ფორმალური ინსტიტუტების განვითარებას და შესაბამისად მთლიანად საზოგადოებრივ კეთილდღეობას. ქართულ საზოგადოებაში ფორმალური ინსტიტუტები იცვლის სახეს და ტრანსფორმირდება არაფორმალური ურთიერთობებისა და პირადი კავშირების დეფორმირებულ სისტემად, რის შედეგადაც ისინი კარგავენ ფუნქციას და ველარ ასრულებენ ეფექტურად თავიანთ დანიშნულებას. ეს მანკიერება განსაკუთრებით პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო, საჯარო დაწესებულებებში, რადგან სახელმწიფო არის უპირველეს ყოვლისა სამართლებრივი ნორმების დაცვის მარეგულირებელი და გარანტი. ყოველივე აქედან გამომდინარე, სასიცოცხლოდ აუცილებელია ამ ნაკლოვანებების პრევენცია და აღმოფხვრა.

სამწუხარო რეალობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოში შრომის ბაზარი ხელმძღვანელობს პატრიმონიალური (პატრიარქალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ქცევის წესები, როცა უფროსი (ოჯახის თავი, შედარებით წარმატებული ნათესავი ან მეგობარი) გარშემო იკრებს მასზე დაქვემდებარებულ ადამიანთა ჯგუფს და მათთვის გარკვეული პრივილეგიების მინიჭებით ქმნის თავისი ძალაუფლების დასაყრდენს) ლოგიკით. თანამდებობების და ძალაუფლების რესურსების მითვისების

პრაქტიკები განსაზღვრავენ სამსახურში კადრების მიღებას და კარიერულ წინსვლას, რაც შესაბამისად უარყოფით გავლენას ახდენს შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე. ეს კი გულისხმობს საჯარო და კერძო ინტერესის სფეროების არაადეკვატურ გამიჯვნას. შრომის ბაზრის ეფექტურად ფუნქციონირებას სწორედ ეს მანკიერი, არაფორმალური ჩვევები აფერხებს და ხელს უშლის კვალიფიციური კადრების მოზიდვას თუ შენარჩუნებას. რაც საბოლოო ჯამში მოსახლეობის კეთილდღეობაზე უარყოფითად აისახება, როგორც შემოსავლების კუთხით, ისე სოციალური განვითარების მხრივაც. ეს მანკიერება განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ჰპოვებს არასტაბილური სამუშაო ადგილების მქონე მუშახელზე, რომელიც უმეტესწილად წარმოდგენილია დაბალშემოსავლიანი და ნაკლებკვალიფიციური კადრებით. ეს გარემოება კიდევ უფრო ცუდად აისახება მათ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე, რაც ხშირ შემთხვევაში მიზეზი ხდება იმისა, რომ ამ სამუშაო ძალამ გადაინაცვლოს არაფორმალურ ეკონომიკურ სისტემაში. ყოველივე ეს კი წარმოშობს ჩრდილოვან ეკონომიკას, რითაც ზიანი ადგება როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოებრივ ინტერესებს, რადგან ვერ ხდება მათი ზუსტი აღრიცხვიანობა და საჭიროებების სწორად განსაზღვრა. რის გამოც ისინი ხშირად სახელმწიფო და სოციალური პროგრამების გარეთ აღმჩნდებიანხოლმე.

ინსტიტუტების შექმნის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი მიზეზი არის ხელფასების რეგულირება და ღირსეული ცხოვრების პირობებით უზრუნველყოფა დასაქმებულთათვის. ამ მხრივ დიდ როლს თამაშობს პროფკავშირების ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს შუამავალს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. როგორც ვხედავთ, საქართველოში არსებული ინსტიტუტები და მათი ფუნქციონირება ავლენს გარკვეულ თავისებურებებს შრომის ბაზრის რეგულირებაში.

### დასკვნა

განვითარებული სახელმწიფოების ტენდენცია მოწმობს, რომ ქვეყნის სწორი და მდგრადი განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინსტიტუტების არსებობას. წარმატებულ ინსტიტუტებს ერთგვარად უნდა ეკისრებოდეს ის ფუნქცია-მოვალეობები, რაშიც სამართლებრივი სახელმწიფოს როლი ნაკლებად იკვეთება. ეს ხელს შეუწყობს, როგორც კერძო სექტორის, ისე საჯარო სექტორის დამოუკიდებლობას და უწყებების უკეთ ფუნქციონირებას. ინსტიტუტებმა უნდა შეასრულოს მარეგულირებელი როლი სხვადასხვა სამართლებრივი თუ ეკონომიკური ურთიერთობების წარმოშობის დროს.

შრომის ბაზრის ინსტიტუციური განვითარება საქართველოში რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რომელიც დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პარალელურად და დღესაც ჩამოყალიბების პროცესშია. ამ კუთხით, პირველ რიგში გასათვალისწინებელია ინსტიტუტების ურთიერთკავშირი გამოწვევებზე საპასუხოდ. უნდა ვთქვათ ისიც, რომ ეს კავშირი არასტაბილურობით ხასიათდება და სახელმწიფო დონეზე არ გააჩნია კომპლექსური მიდგომა, სადაც მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნება ყველა სფეროს ინტერესი. შრომის ბაზრის სტრუქტურა და სამუშაო ძალის კვლავწარმოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ და სოციალურ პოლიტიკაზე. დემოგრაფიული თვალსაზრისით კი საქართველო არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება.

სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს, ქვეყანაში არსებული განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე განხორციელებული რეფორმები, საერთო მიზნის მისაღწევად ერთიანი ძალისხმევის ნაკლებობა და ქვეყნის ცვალებადი პოლიტიკური კურსი. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს როგორც სახელმწიფოებრივ ინტერესებზე, ისე ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე. ეს პროცესი განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება შრომის ბაზრისათვის, რადგან ქვეყანაში არსებული არასტაბილური ეკონომიკური გარემო უარყოფით გავლენას ახდენს ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე.

საქართველოს რეალობიდან გამომდინარე ნიშანდობრივია არაფორმალური ინსტიტუტების ნაკლოვანებაც, რომელიც საქართველოს მოსახლეობაში ფართოდ არის გავრცელებული და დიდი ისტორიული ფესვები გააჩნია. ეს არის ჩვევებიდან და წარმოდგენებიდან გამომდინარე, რომელიც ხშირ შემთხვევაში ხელს უშლის ქვეყნის სწორ განვითარებას. ამ ჩვევებიდან გამომდინარეა ქვეყანაში არსებული ბიუროკრატია და ნეპოტიზმი, რომელიც რა თქმა უნდა აფერხებს შრომის ბაზრის ეფექტურად ფუნქციონირებას.

შრომის ბაზარი და მასთან დაკავშრებული უმუშევრობა განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება ქვეყნის მოსახლეობისთვის, რადგან ღირსეულმა სამუშაო ადგილებმა უნდა უზრუნველყოს მათი კეთილდღეობა. სახელმწიფო კი თავის მხრივ უნდა ზრუნავდეს სამართლებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზე, რომელიც ორიენტირებული იქნება არსებულ გამოწვევებზე.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



# გიორგი მალაშხია – 90

*„ჭეშმარიტების მივდევ ნათებას,*
*სანთლით დავეძებ, ფიქრებში ვხედავ...“*
***გიორგი მალაშხია***



გიორგი მალაშხია, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მრავალი დარგობრივი სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი, არაერთი ქართული და უცხოური სამეცნიერო საზოგადოების წევრი, მსოფლიო მასშტაბის აღიარებული მეცნიერი და ღვაწლმოსილი პედაგოგი - დღეს 90 წლისაა.

ბატონი გია ნახევარ საუკუნეზე მეტი მოღვაწეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონმიკის, სოციალური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევთ ინსტიტუტში, ფინანსების სამეცნიერო-კლევით ინსტიტუტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებელში. მისი ხელმძღვანელობითა და ზრუნვით აღიზარდა უმაღლესი კვალიფიკაციის ეკონომისტთა არაერთი თაობა.

გიორგი მალაშხია დღეს 300-მდე სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომის ავტორია, ისინი გამოქვეყნებულია ქართულ, გერმანულ, ინგლისურ, რუსულ და სხვა ენებზე. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში, სადაც ღირსეულად წარმოადგენდა ჩვენს ქვეყანას. ბატონი გიორგი მიწვეულია მრავალი ქართული და საერთაშორისო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში, რამდენიმე ათეული სადოქტორო ნაშრომი იქნა მომზადებული მისი ხელმძღვანელობითა და ძალისხმევით.

გია მალაშხიას უმნიშვნელოვანესი წვლილი აქვს შეტანილი ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემების სამეცნიერო კვლევაში. მისი ნაშრომებით ხელმძღვანელობენ არა მხოლოდ ქართული, არამედ უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და სადისერტაციო ნაშრომების მომზადებისას.

გიორგი მალაშხია არის ის აღიარებული მეცნიერი, რომლის იდეები, მაგალითად, ეკონომიკის ადამიანურობის პრობლემა, საერთაშორისო მეცნიერული დისკუსიის საგანს წარმოადგენს, ხოლო მისი ნაშრომები ხასიათდება მოვლენებისა და პროცესების ორიგინალური და ღრმა წვდომით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ახლებური ხედვით. სამეცნიერო საზოგადოებაში უდიდესი აღიარებით სარგებლობს მისი ნაშრომები: „დიდი ილია“, „მეტაეკონომიკა - ეკონომიკის ფილოსოფია“, „საქართველოს ეკონომიკა, საუკუნოვანი პანორამის შტრიხები“, „სოფელი და კაცობრიობა“, „მოგების მეტათეორია“, „სოციალური ენერგია, სიმდიდრე, კეთილდღეობა“, „ზომიერი ადამიანი“, „ეკონომიკურ-ფილოსოფიური ესეები“, „კაპიტალიზმისა და კომუნიზმის შუქჩრდილები“ და მრავალი სხვა.

ბატონი გიორგი მალაშხია კვლავაც დგას ქართული მეცნიერების, ჰუმანურობისა და ანტროპოცენტრული ფილოსოფიის განვითარების წინა ხაზზე. ამაგდარ მეცნიერსა და მოაზროვნეში ჰარმონიულად ერწყმის ჭაბუკთა შემართება, თითქმის საუკუნოვან სიბრძნეს!

ვუსურვოთ ღირსებით დამშვენებულ მამულიშვილს, პატრიოტსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ გიორგი მალაშხიას, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, მზეგრძელობა, კიდევ მრავალი ბრწყინვალე ნაშრომის შესაქმნელად!

**პაატა კოღუაშვილი**
**აკადემიკოსი;**
**ლოიდ ქარჩავა**
**ჟურნალის მთავარი რედაქტორი.**

# ელენე ხარაბაძე – 80



ადამიანის ბიოგრაფია ბევრის მთქმელია, ბუნებრივია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი პიროვნული თვისებები. თავიდან, როცა ქალბატონი ელენე ხარაბაძე შემოვიდა ჩვენთან ლექციის ჩასატარებლად, წინამორბედმა სტუდენტებმა გაგვაფრთხილეს, ძალიან მკაცრი ლექტორიაო. შემდეგ როგორც გაირკვა, უბრალოდ, მომთხოვნი გახლდათ, სტუდენტისგან ითხოვდა, ესწავლა თავისი საგანი. ამიტომ ზოგიერთისთვის მკაცრი იყო, ჩემთვის კი - თავისი საქმის უბადლოდ მცოდმე და შესანიშნავი გადმოცემის უნარის მქონე ჭეშმარიტი პროფესორი. მისი ყოველი სიტყვა მსმენელთათვის აღქმადი იყო. ქალბატონი ელენე ჩემს საყვარელ ლექტორთა შორის ერთ-ერთია, რომელთანაც დღემდე ვმეგობრობ და მეამაყება.

ქალბატონმა ელენე ხარაბაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობით 1966 წელს დაამთავრა. შემდეგ სწავლა ასპირანტურაში გააგრძელა, დისერტაცია დაიცვა და ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიიღო. სხვადასხვა დროს ამავე უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის კათედრის ჯერ ასისტენტად, შემდეგ კი, უფროს მასწავლებლად და დოცენტად მუშაობდა. 1992-1997 წლებში არჩეული იყო თსუ ბუღალტრული აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის კათედრის გამგედ, ხოლო 2006, 2009, 2012 წლებში, 2018 წლამდე კონკურსის წესით არჩეული იყო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის პროფესორად და კათედრის ხელმძღვანელად. 2018 წლიდან ქალბატონი ელენე ხარაბაძე თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ემერიტუს პროფესორია. 2007-2009 წლებში თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ მუშაობდა, ხოლო 2009-2012 წლებში - დეკანის მოვალეობის შემსრულებლად. ის 120-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორის, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებებისა და სალექციო კურსების სახით ბუღალტრული აღრიცხვის თეორიის, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლებისა და ფინანსური აღრიცხვის მიმართულებით. მისი პოპულარული წიგნებია: „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“, თბ., ბიზნეს-კურიერი, 2002. 269გვ., „ბუღალტრული აღრიცხვის თეორია“, თბ., განათლება, 190გვ., „საქართველოს კონტროლის პალატის მოხელეთა კონკურსი და ატესტაცია (რედაქტორი). თბ., 2001. 180გვ. იგი მრავალი სამეცნიერო, მათ შორის, საერთაშორისო კონფერენციების მონაწილე და მრავალი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელია. ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისთვის ქალბატონი ელენე ღირსების ორდენითა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით არის დაჯილდოებული.

ქალბატონი ელენე ჩვენი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრია ჟურნალის დაარსების დღიდან, სადაც მრავალი სტატია აქვს გამოქვეყნებული და აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალთან, რისთვისაც დიდ მადლიერებას გამოვხატავთ.

ყოვლივე ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, ჩემგან მოულოდნელად, წლების წინ თავისი ლექსების კრებული წარწერით მაჩუქა. თავისთავად ლექსების ავტორობა უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს. როგორც ალბერტ აინშტაინი ამბობდა, მეცნიერებასაც პოეზია სჭირდება.

ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით საიუბილეო თარიღს ვულოცავთ ქალბატონ ელენე ხარაბაძეს, კვლავაც ხანგრძლივ, ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ვუსურვებთ თავისი საყვარელი უნივერსიტეტისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**ლოიდ ქარჩავა**
**ჟურნალის მთავარი რედაქტორი,**
**ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი.**

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)






# THE TEXT-BOOK „CSR IN THE EUROPEAN UNION“

**The text-book “CSR in the European Union” was developed within the framework of the Jean Monnet Module of the Erasmus+ Program (project N101083295-CSREU-ERASMUS-JMO-2022-HEI-TCH-RSCH)**

The text-book “Corporate Social Responsibility in the European Union” (author Professor Larisa Takalandze) was developed at the Sokhumi State University within the framework of the Jean Monnet Module of the Erasmus+ Program (101083295-CSREU-ERASMUS-JMO-2022-HEI-TCH-RSCH) (Acronym: CSREU, Project period: 2022 - 2025) (DOI: **10.5281/zenodo.10775964**). The textbook comprehensively discusses the main theoretical and methodological issues of Corporate Social Responsibility (CSR), generalizes and analyzes the European Union experience; special emphasis is made on the European Union's Policy in the field of CSR, peculiarities of social responsibility in the EU countries and adaptation of the best practices in Georgian companies.  The book is intended for the students, teachers and researchers of Higher Educational institutions. It will be interesting for a business practitioners (CSR managers) and wide range of readers interested in these issues. The invited Professors and Experts of the Summer School within the framework of Jean Monnet Module (Project No. 101083295-CSREUERASMUS-JMO-2022-HEI-TCH-RSCH) took part in the elaboration of some paragraphs of the text-book: 3.1 – Nina Didenko (Professor, Shupyk National Healthcare University (Ukraine), 1.2, 5.1, 5.2 (Sustainable Development, Green Economic), Topic VI - Lela Khoperia (CSR Expert, Center for Strategic Research and Development of Georgia (CSRDG), https://csrgeorgia.com), 8.3 - Khatuna Chikviladze (Expert, Advisor to the Director of the Solid Waste Management Company) 8.4 - Khatia Basilashvili (Expert, Sabuko – Society for Nature Conservation, Georgia), 9.3 - Zaneta Simanaviciene (Professor, Mykolas Romeris University, Lithuania), 13.1- Gvantsa Patsatsia (CSR Expert, CSRDG, Georgia).

**Link** https://zenodo.org/records/10775964

# The New ECONOMIST ახალი ეკონომისტი

**International Precise and Review Scientific-Practical Magazine**

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.
3. The article must have abstract in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.
4. The article will published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 10 GEL (Lari) or 5 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 10 GEL (Lari) or 5 USD.

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE33LB0113168905809000,, "liberty bank", central office, bank code LERTGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 558 944 800.
PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

saerTaSoriso referirebadi da recenzirebadi
samecniero-praqtikuli Jurnali

სტატიების მიილება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში,  Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა — 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;
3. სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია იბეჭდება ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება — 10 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE33LB0113168905809000, სს „ლიბერთი ბანკი",  ბანკის კოდია LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
tel: 299-05-76; 555 277 554; 558 944 800.
PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.



www.neweconomist.com.ge

E-mail: editor@neweconomist.com.ge